ლელო 80 წლისაა
პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
22 აპრილი **სამშაბათი** 2014
№075 (14 296) ფასი 80 თეთრი

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

# მადრიდი, ბრძოლა პირველი




9

# ოქროს ინტრიგა გაქრა!

## სამაგიეროდ, გაჩნდა ვერცხლის ინტრიგა: ვინ იქნება მეორე?




ალექსანდრე გოგობერიშვილმა ორიდან ერთი პენალტით გაიტანა

თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტოები

2,3



ლადო ბურდულის გუნდმა ზესტაფონიც დაამარცხა და ვიცეჩემპიონობას უმიზნებს!



## მოიესის აღსასრული ახლოვდება!

მასმერე, რაც **დევიდ მოიესმა** თავის ყოფილ გუნდ „ევერტონთან“ წააგო, მედიაში აქტიურად დაიწყეს იმაზე საუბარი, რომ შოტლანდიელ სპეციალისტს „მანჩესტერ იუნაიტედის“ მთავარი მწვრთნელის პოსტიდან მოხსნიან. უკვე დასახელდა მოიესის რამდენიმე სავარაუდო შემცვლელიც: **დიეგო სიმეონე** (ატლეტიკო), **ანტონიო კონტე** (იუვენტუსი), **იურგენ კლოპი** (დორტმუნდი) და **ლორან ბლანი** (პსჟ).

**გიორგი პაპაბაძე**

# ოსტატობაც, გამოცდილებაც...

19.04. რუსთავი. ფოლადი. 800 მაყურებელი

მეტალურგი **0**

დინამო **2**

0:1 ჩისკო (19. მარცვალაძის პასით) 0:2 პაპუნაშვილი (88. მერებაშვილის პასით)

მეტალურგი (4-2-3-1): ბედიაშვილი - ექვთიმიშვილი, მახვილაძე, ვ. კილასონია, დ. საჯაია - გიგაური (58. ვასაძე), დობროვოლსკი (74. ცნობილაძე) - ქავთარაძე (79. კაკაშვილი), მიქაბერიძე, ჩირგაძე - ჩიმაკაძე.

*სათადარიგოები: სეფიაშვილი, კიტეიშვილი, ლომაია, გ. კილასონია*

მწვრთნელი: ვარლამ კილასონია

დინამო (4-4-2): ლორია - ხურცილავა, რეხვიაშვილი, ხიდეშელი, კვირკველია - გიორგიაშვილი (60. პაპუნაშვილი), ძარია, ცინცაძე, მერებაშვილი - ჩისკო (89. გოგა), მარცვალაძე (81. მოდებაძე).

*სათადარიგოები: მიგინეიშვილი, გლიშიჩი, ვუო, პაპავა*

მწვრთნელი: მალხაზ ჟვანია

გაფრთხილება: ხურცილავა (10), ექვთიმიშვილი (32), კვირკველია (45), მახვილაძე (62)

არბიტრი: ა. კრიჟაშვილი

ამ ტურამდე ჩატარებულ ბოლო ორ მატჩში „დინამომ" მხოლოდ 1 ქულა მოიპოვა და ზედიზედ მესამე წაფორხილების შემთხვევაში, ადვილი წარმოსადგენია, თუ რა ინტრიგა მიეცემოდა საჩემპიონო რბოლას. თუმცა მეორე ეტაპის ბოლო ტურში ისეთი შედეგები დაფიქსირდა, შესაძლოა, უკვე მომდევნო ტურშიც გაირკვეს ჩემპიონის ვინაობა.

„დინამოს" ზედიზედ მეორე ტრიუმფი რომ მართლაც დროის ამბავია, ყველას კარგად მოეხსენება. საჩემპიონო ზეიმისკენ ერთ-ერთი ნაბიჯი კი რუსთავში გადაიდგა - გვარიან სიცხეში „დინამომ" თითო ტაიმში თითო გოლი გაუტანა მასპინძლებს და დამსახურებული 3 ქულაც მოიპოვა.

კი, ბატონო, „მეტალურგის" ფეხბურთელებს მონდომებას ვერავინ დაუკარგავდა, მაგრამ „დინამოს" მოთამაშეთა უმრავლესობის საშემსრულებლო ოსტატობა დღესდღეობით ბევრად აღემატება სხვათა დონეს. როცა გუნდში **ჩისკოს, ოთარ მარცვალაძისა** და **გიორგი მერებაშვილის** დონის ინდივიდუალისტები გყავს, ჩვენი ჩემპიონატის პირობებშიც დიდი ფუფუნებაა. აი, თუგინდ, პირველი გოლის ეპიზოდი გავიხსენოთ: დინამოელთა კიდევ ერთმა ლიდერმა **დავით კვირკველიამ** მარცხენა ფლანგიდან ჩინებული რეიდი წამოიწყო, მერე ჩისკოსთან „კედელი" გაითამაშა, თავის მხრივ, სტუმართა ესპანელმა ლეგიონერმა ამჯერად უკვე მარცვალაძესთან გაითამაშა ორსვლიანი კომბინაცია და ეს მართლაც ქრესტომათიული შეტევა ჩისკოს ზუსტი და, ფაქტობრივად, აუღებელი დარტყმით დამთავრდა.

ამ გოლამდე „დინამოს" ორი კარგი მომენტი ჰქონდა: პირველ ეპიზოდში, ჩისკო-მერებაშვილის კომბინაციას **ირაკლი ძარია** ერთი შეხებით და ძლიერი დარტყმით აგვირგვინებდა, მაგრამ ბურთი მიზანს ასცდა. მეორე მომენტის დროსაც ესპანელი მოგვევლინა ასისტენტის როლში, მაგრამ ხელსაყრელ პოზიციაში მყოფმა მარცვალაძემ შანსი ვერ გამოიყენა.

ეს ყველაფერი დაახლოებით მე-15 წუთიდან დაიწყო, მანამდე კი მასპინძლები ბევრად უფრო აქტიურად გამოიყურებოდნენ და ჯერ **გიორგი ჩირგაძეს** შეეძლო ანგარიშის გახსნა, შემდეგ კი **ბესიკ ჩიმაკაძისა** და **გიორგი ქავთარაძის** ეფექტური კომბინაცია სტუმართა მცველებმა (რომელთა რიგებშიც აშკარად გამოირჩეოდა **გიორგი რეხვიაშვილი** - გ.ტ.) სულ ბოლო მომენტში განმუხტეს.

პირველი ტაიმის ბოლომდე მასპინძლებმა კიდევ ერთი შანსი გაანიავეს, როცა კუთხურის შემდეგ ჩირგაძემ თავით ზუსტად ვერ დაარტყა. ბევრად უფრო რეალური იყო სტუმართა მომენტები, როცა ჩისკოს პასით მარცვალაძემ კარგად ვერ გადაუგდო ბურთი თავზე მასპინძელთა მეკარეს, მერე კი „დინამოს" ფორვარდებმა „როლები" გაცვალეს და ამჯერად უკვე ჩისკოს მართებდა მარცვალაძის ჩინებული გადაცემის შემდეგ გოლის გატანა...




**მეტალურგი-დინამო**
**ნინო გელაშვილის** ფოტო

მეორე ტაიმის დასაწყისშივე მასპინძლებმა სწრაფი იერიში განახორციელეს და მარცხენა ფლანგიდან ჩიმაკაძის გამჭოლ ფლანგურ გადაცემას ვერავინ მიუსწრო, თორემ ხიფათი გარდაუვალი იქნებოდა. საპასუხო შეტევაში კი ისევ ჩისკომ იყოჩაღა და **თორნიკე გორგიაშვილს** ჩინებული პასი მისცა, თუმცა ეს უკანასკნელი ერთობ მახვილი კუთხიდან ურტყამდა და ბურთი მიზანს ასცდა.

ამასობაში, „მეტალურგის" თავკაცმა **ვარლამ კილასონიამ** და მისმა ვიზავიმ **მალხაზ ჟვანიამ** შეცვლებს მიმართეს. სწორედ შეცვლაზე შესულმა ფეხბურთელმა გადაწყვიტა კიდეც მატჩის ბედი - 18 წლის **გიორგი პაპუნაშვილი** რომ იმ პოზიციაზე აღმოჩნდა, სადაც უნდა ყოფილიყო და გამოცდილი შემტევივით ბურთი ზუსტად გაგზავნა მეკარისგან დაუცველ კუთხეში. ამ გოლში ლომის წილი მერებაშვილს ეკუთვნოდა, მარცხენა ფლანგზე ინდივიდუალურად რომ გაიბრწყინა და ახალგაზრდა პარტნიორს ეფექტური პასიც გადააწოდა.

ეს მატჩის დამთავრებამდე ორიოდ წუთით ადრე მოხდა, მანამდე კი, რასაც სახიფათო მომენტი ჰქვია, ისევ და ისევ „დინამომ" შექმნა, თუმცა ჩისკოს მიერ ეშმაკურად შესრულებული „სტანდარტულიდან" გოლი რომ არ გავიდა, მასპინძლები თავიანთ გამოცდილ მეკარეს **გრიგოლ ბედიაშვილს** (ურთულესი ბურთი მოიგერია) უნდა უმადლოდნენ.

**გია ტუხაშვილი**
რუსთავი-თბილისი

# ოქროს ინტრიგა გაქრა, ვერცხლისა გაჩნდა

19.04. თბილისი. მ. მესხი. 400 მაყურებელი

სიონი **2**

ზესტაფონი **1**

1:0 გოგობერიშვილი (33), 1:1 გენაძე (33), 2:1 გოგობერიშვილი (75-პენ)

სიონი (4-2-3-1): მერლანი - დ. ფოფხაძე, აბრამიძე, სვანიძე, თოთაძე - იმედაშვილი, ცხადაია - ზ. ლობჟანიძე (90. კანდელაკი), გოგობერიშვილი, სამხარაძე (62. განუგრავა) - კახელიშვილი (82. ვ. უგრეხელიძე).

*სათადარიგოები: ზუხბაია, ქემოკლიძე, ადამია, მამასახლისი*

მწვრთნელი: ლადო ბურდული

ზესტაფონი (4-2-3-1): პავლოვიჩი - თედორე გრიგალაშვილი, რენე ფერეირა, ზ. ჭელიძე, გ. გურული - შარიქაძე, ჭანკოტაძე (77. კაპანაძე) - დოლიძე (70. ფანცულაია), ჭანტურიშვილი, გენაძე - ტატანაშვილი (64. საბანაძე).

*სათადარიგოები: მეშველიანი, გაგოშიძე, თორნიკე გრიგალაშვილი, სარდალიშვილი*

გაფრთხილება: იმედაშვილი (41), შარიქაძე (74), თოთაძე (88)

არბიტრი: თ. გვანცელაძე




**სიონი-ზესტაფონი**
**თამუნა ყულუმბეგაშვილის** ფოტო

ეროვნული ჩემპიონატის გასულ ტურამდე ჯერ კიდევ არსებობდა საჩემპიონო ინტრიგა, „სიონის" მორიგი შთამბეჭდავი გამარჯვების გამოისობით კი ეს საკითხი „დინამოს" სასარგებლოდ უკვე მოიხსნა დღის წესრიგიდან, სამაგიეროდ, უკიდურესად დაიძაბა ბრძოლა მეორე ადგილისთვის.

ტურის ცენტრალური მატჩის წინ პროგნოზის გაკეთება იოლი არ იყო, თუმცა ბევრი ელოდა, რომ „ზესტაფონი" მცირედ საჩემპიონო შანსს ბოლომდე მოეჭიდებოდა და „მიხეილ მესხზე" სამ ქულას მოიპოვებდა. თუმცა **გია გეგუჩაძის** გუნდმა ბოლნისელებს ვერაფერი დააკლო და **ლადო ბურდულმა** და მისმა განწვრთნილებმა ზეექვსეულის მეხუთე შეხვედრაში მეხუთე გამარჯვება იზეიმეს.

პირველ ტაიმში ბურთს უფრო ხშირად ნომინალური სტუმრები ფლობდნენ, თუმცა ტაიმის მიწურულამდე ეს ფაქტი სახიფათო მომენტებში მაინცდამაინც არ ასახულა. 37 წლის **ალექსანდრე გოგობერიშვილმა,** რომელიც მატჩის გმირი გახდა, ანგარიში აუტის ხაზის სიახლოვიდან შესრულებული ჯარიმით გახსნა. ბურთმა „ზესტაფონის" ფეხბურთელთათვის უხერხული ტრაექტორია მოხაზა და კარში ისე აღმოჩნდა, გზად არავის შეხებია.

ბოლნისელებმა ანგარიში ასევე საჯარიმო დარტყმით გაათანაბრეს - **რევაზ გენაძემ** ბურთი ცოცხალ კედელში გააძვრინა, მცირე რიკოშეტსაც ჰქონდა ადგილი და მირზა მერლანი ბურთს ვერ შესწვდა.

მანამდე, 0:0-ისას, გოგობერიშვილსა და **ირაკლი სამხარაძეს** შეეძლოთ უკეთ დარტყმა, მათზე ბევრად ხელსაყრელი შანსი კი ხელიდან **გიორგი ჭანკოტაძემ** გაუშვა, როცა ზედ შესვენების წინ მეკარესთან პირისპირ გავიდა და ბურთი კარს ააცილა.

შეხვედრის მეორე ნახევარში ყურადღების ცენტრში მერლანი მოექცა. „სიონის" კარის დარაჯმა მეტოქის სამი სახიფათო შეტევა განმუხტა - გატანა **გრიგოლ დოლიძეს, ვახტანგ ჭანტურიშვილსა** და **დიმიტრი ტატანაშვილს** არ დაანება.

ქვემოქართლელები მეტოქეს მწყობრი თამაშითა და მწვავე კონტრიერიშებით პასუხობდნენ და თავადაც შეეძლოთ დაწინაურება. საბოლოოდ, „სიონს" თავდადება დაუფასდა და 75-ე წუთზე პენალტის დარტყმის უფლება მოიპოვა - **ლევან შარიქაძემ** სიონელთაგან ერთ-ერთი ყველაზე აქტიური **ზვიად ლობჟანიძე** საკუთარ საჯარიმოში წესების დარღვევით შეაჩერა.

თანაგუნდელებმა თერთმეტმეტრიანის შესრულება ყველაზე გამოცდილ გოგობერიშვილს მიანდეს და მანაც მოლოდინი არ გააცრუა - 2:1.

დარჩენილ დროში „ზესტაფონმა" თამაში ველარ გაამწვავა და „სიონი" ვერცხლის მედლების მოპოვების რეალურ პრეტენდენტად გადაიქცა.

პრაქტიკული თვალსაზრისით, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლებს შორის დიდი სხვაობა არ არის - ევროპის ლიგის საგზურს ორივე იძლევა, თუმცა რალა თქმა უნდა, „ზესტაფონისთვისაც" და „სიონისთვისაც" მაინც არ არის სულ ერთი, შეწვდებიან თუ ვერა საქართველოს ვიცე-ჩემპიონის წოდებას. სეზონის დარჩენილი ინტრიგაც, თასის გათამაშებასთან ერთად, სწორედ ეს გახლავთ.

**ლევან ჯანეზაშვილი**
მცხეთა-თბილისი

# როცა თავმოყვარეობა მოტივაციაზე მეტია

19.04. ივანწმინდა. 400 მაყურებელი

ჩიხურა 3
გურია 0

1:0 გაბედავა (28. ჯილაურის პასით), 2:0 ჭელიძე (40), 3:0 კვასხვაძე (83. ბეჭვაიას პასით)

ჩიხურა: სომხიშვილი, ჭელიძე, ბეჭვაია, ჩიკვაიძე, კაშია, ჯილაური (69. გრიგალაშვილი), ქიმაძე, ლომაშვილი, დათუნაიშვილი, გაბედავა (79. ნ. კვასხვაძე), წინამძღვრიშვილი (86. ლომია).

*სათადარიგოები: მწყერაშვილი, ივანიშვილი, ოდიკაძე, ნადირაძე.*

მწვრთნელი: სოსო ფრუიძე

გურია: ბობლიაშვილი, ქურდაძე, ჭეიშვილი, მეგრელიძე, ჩუენსუ, ისიანი, კუკულაძე, (61. გაჩეჩილაძე), კვირტია (73. რაზმაძე), ტეიდი, ნიქაბაძე (67. გაგნიძე).

*სათადარიგოები: კილაძე, ინგოროყვა, ბერიანიძე, ხვედელიძე*

მწვრთნელი: დავით მახარაძე

გაფრთხილება: წინამძღვრიშვილი (25)

არბიტრი: ხვიჩა გაგნიძე

ვერავის დავეთანხმები უმოტივაციობის გამო რომელიმე გუნდის ცუდი თამაშის გამართლებაზე. თუნდაც „ბაიერნივით" თითქმის პირველ წრეშივე მოგებული გქონდეს ჩემპიონატი, როგორ შეიძლება და ვით გეკადრება, მოტივაცია დაკარგო? აბა, რისთვის გადიხარ მოედანზე, სად არის თავმოყვარეობა?

კაცმა რომ თქვას, „გურიამაც" და „ჩიხურამაც" ბოლოსკენ იმდენი ქულა არიგეს ბითუმად და ცალობით, მოტივაცია მართლაც ძალიან მცირე დარჩათ - ანი, რაც უნდა მოხდეს, მეექვსე ადგილზე ქვემოთ ალარ დაეშვებიან.

საბედნიეროდ, ამ მდგომარეობაში კი მათ თავმოყვარეობა აღმოაჩნდათ და ერთობ სანახაობრივი, სწრაფი, თავდაუზოგავი ფეხბურთი აჩვენებს მაყურებელს. ამაზე მეტყველებს თუნდაც **რატი წინამძღვრიშვილის** ერთადერთი გაფრთხილება (ისიც მსაჯთან კამათისთვის). არბიტრი, ხისტ, ძალისმიერ თამაშზე ხშირად არ რეაგირებდა. „გამონაკლისებმა" კი, მაინცდამაინც, ორივე გუნდიდან ყველაზე აქტიური **გიორი გაბედავა** დააზარალა: ჯერ იყო და, 52-ე წუთზე მეკარესთან პირისპირ გამავალი საჩხერელთა თავდამსხმელის მინიმუმ „სიყვითლე" მოცელვა „გაატარა", 79-ე წუთზე კი მოწინააღმდეგესთან ორთაბრძოლაში ცხვირგატეხილი გაბედავა იძულებული შეიქმნა, მოედანი დაეტოვებინა. თუმცა საჩხერლებს ეს მომენტი „ზოგი ჭირი მარგებელიად" ექცათ - შეცვლაზე შესულმა **ნიკა კვასხვაძემ** პირველივე გარღვევა ლამაზი გოლით დააგვირგვინა. ასისტენტობა მას შესანიშნავად გაუწია **ბეჭვაიამ**.

უნდა ითქვას, რომ საჩხერლებს მანამდე ჰქონდათ საქმე მოთავებული: ჯერ გაბედავამ შეირგო **ჯილაურის** უზუსტესი პასი და ფეხებს შუა გაუძვრინა ბობლიაშვილს, შემდეგ, მე-40 წუთზე, **ჭელიძემ** დაარტყა აულებელი.

ერთს კი არა, რამდენიმე შეხვედრას ეყოფოდა დიდებული კომბინაციები, რომლებითაც „ჩიხურას" კიდევ ბევრჯერ უნდა ეხეირა. მაგალითად, ერთ მომენტში წინამძღვრიშვილმა ეს შეძლო კიდეც უძლიერესი და უზუსტესი დარტყმით, მაგრამ მსაჯმა მიიჩნია, რომ ბურთის მიღების მომენტში ხელით თამაშს ჰქონდა ადგილი (მოხვდა თუ განზრახ, მნიშვნელობა არ აქვს). **გაბედავას, დათუნაიშვილის, ჯილაურის, ლომაშვილის, ქიმაძისა** და **გრიგალაშვილის** დარტყმები უშედეგო იყო, მეკარისა და მცველების თავდადებული თამაშის გამო.

მშრალი ანგარიში იმაზე არ მეტყველებს, რომ გურულებს წარმატების შანსი არ ჰქონდათ: მე-2 წუთზე **სომხიშვილმა** აულო ჯარიმა **კუკულაძეს**, მე-19 წუთზე კი - **ნიქაბაძეს**; 31-ე წუთზე **ქურდაძის** ხიფათიანი დარტყმა ოდნავ ასცდა კარს; 36-ე წუთზე **კვირტია** იყო ვალდებული, გაეტანა, მაგრამ მის მიერ კარისკენ ყუმბარისებურად გატყორცნილი ბურთის მოგერიებისთვის სომხიშვილს ორი ნახტომი დასჭირდა; მსგავს მომენტში, 38-ე წუთზე ისევ ივაჟკაცა საჩხერელთა მეკარემ - ამჯერად **ნიქაბერიძეს** აჯობა. 50-ე წუთზე **ისიანმა** ააცილა მცირედით...

სტუმრები 3:0-ის შემდეგაც იბრძოდნენ, მრავალთაგან ყველაზე დასამახსოვრებელი მომენტი 86-ე წუთი იყო, როცა ქურდაძის უძლიერესი დარტყმა ისევ სანტიმეტრებით ასცდა კარს. უილბლობა იყო, თორემ „გურია" პრესტიჟის გოლს მაინც იმსახურებდა.

**თამაზ ლაშხი**
**საჩხერიდან**

19.04. ზუგდიდი. ცენტრალური

ზუგდიდი 2
დილა 1

1:0 კირკიტაძე (11), 2:0 გ. სამუშია (25-პენ), 2:1 ლომიძე (40)

ზუგდიდი (4-1-4-1): ზარქუა - ქათამაძე, აფაქიძე, მირცხულავა, ჯავაშვილი - ქებაძე - კირკიტაძე, სიხარულია, გ. სამუშია (87. ფარჯიკია), ლ. ლომია (76. ი. შალიკაშვილი) - ნიტაიშვილი (49. ც. სამუშია).

*სათადარიგოები: კალანდარიშვილი, ლ. მჭედლიშვილი, ბულია, მ. ქვილითაია*

მწვრთნელი: გიორგი დარასელია

დილა (4-2-3-1): შეყრილაძე - ლომიძე, ორბელაძე, კვახაძე - ნ. ჯიშკარიანი (46. სადალაშვილი) - რაზმაძე, გურ. გურეშიძე - რაჟამაშვილი, კოშკაძე (46. ხოჯავა), გაფრინდაშვილი - ბერიაშვილი (60. გ. ქვილითაია).

*სათადარიგოები: კ. შალამბერიძე, რ. ახალკაცი, თ. წიქაიძე, დ. ლეგაშვილი*

მწვრთნელი: გია გიგატაძე

გაფრთხილება: ჯიშკარიანი (25), ქებაძე (85), რაზმაძე (86)

არბიტრი: თ. ხუჭუა

18.04. თბილისი. მ. მესხი. უმაყურებლოდ

ტორპედო 5
მერანი 1

1:0 ო. კვერნაძე (14), 2:0 თ. მარკოზაშვილი (33-პენ), 2:1 დ. ციცხვაია (39), 3:1 ი. ლექვთაძე (51), 4:1 ო. კვერნაძე (77), 5:1 თ. მარკოზაშვილი (82)

ტორპედო (4-4-2): რ. კვასხვაძე - თ. ჩადუნელი, ს. თოდუა, ლ. ბერუაშვილი (56. ზ. ელიავა), გ. ადამაძე - თ. ჩიკვილაძე (46. ზ. გელაშვილი), ო. მამასახლისი, ნ. ხარაბაძე, ი. ლექვთაძე (74. ი. სავჩენკოვსი) - თ. მარკოზაშვილი, ო. კვერნაძე.

*სათადარიგოები: ზ. ტულუში, დ. ხურციძე, ლ. თვალავაძე, ა. ადამია*

მწვრთნელი: რევაზ ძოძუაშვილი

მერანი (4-2-3): ზ. მამალაძე - კ. მელიავა, ვ. იობაშვილი, ჯ. გაბუნია (56. ლ. კუჭუხიძე), ლ. გეგეჭკორი - ვ. ჯოჯუა (46. ლ. ჯლამაია) რაფაელ იუკუბილე (74. გ. ხუბუა), ა. ბენაშვილი, შ. ბაბუნაშვილი, პ. ფონიავა - დ. ციცხვაია.

*სათადარიგოები: გ. ჩხეტიანი, გ. გეგია, ლ. დეკანოსიძე, გ. ბეგაშვილი*

მწვრთნელი: ზურაბ იონანიძე

გაფრთხილება: პ. ფონიავა (32), კ. მელიავა (57), ლ. გეგეჭკორი (64)

არბიტრი: ო. ხეცაძე

პირველი ექვსეული

| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | დინამო (თბ) | 27 | 18 | 4 | 5 | 58 | 19 | 58 |
| 2 | ზესტაფონი | 27 | 15 | 4 | 8 | 36 | 19 | 49 |
| 3 | სიონი | 27 | 14 | 6 | 7 | 36 | 26 | 48 |
| 4 | ჩიხურა | 27 | 12 | 6 | 9 | 46 | 40 | 42 |
| 5 | მეტალურგი | 27 | 11 | 6 | 10 | 31 | 32 | 39 |
| 6 | გურია | 27 | 11 | 0 | 16 | 27 | 41 | 33 |

მეორე ექვსეული

| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ვიტ ჯორჯია | 27 | 10 | 6 | 11 | 33 | 35 | 36 |
| 2 | ტორპედო | 27 | 10 | 6 | 11 | 31 | 38 | 36 |
| 3 | დილა | 27 | 9 | 8 | 10 | 36 | 31 | 35 |
| 4 | სპარტაკი | 27 | 9 | 4 | 14 | 27 | 34 | 31 |
| 5 | ზუგდიდი | 27 | 7 | 6 | 14 | 18 | 36 | 27 |
| 6 | მერანი | 27 | 6 | 4 | 17 | 21 | 49 | 22 |

ბომბარდირები

ჩისკო (დინამო) 14, ტატანაშვილი (ჩიხურა/ზესტაფონი) 14, გოგა (დინამო) 9, მოდებაძე (დილა/დინამო) 9, ისიანი (გურია) 9

● ლეგიონერი

**ყაზანის „რუბინის" დამრიგებელი რინატ ბილიალეტდინოვი ქართველ მცველ საბა კვირკველიას უფრო და უფრო ენდობა - უკვე ზედიზედ მეექვსე მატჩია, ძირითად შემადგენლობაში აყენებს. ბოლო ტურში ყაზანელებმა მოსკოვის „სპარტაკი" 2:1 დაამარცხეს და კვირკველია ამ მატჩშიც ძირითად შემადგენლობაში იყო.**

## ამაზე უკვე ბევრი ლაპარაკობს...

„ლელო" ჯერ კიდევ მარტის ბოლოს წერდა, რომ **საბა კვირკველიათი** რუსეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი **ფაბიო კაპელო** იყო დაინტერესებული და მისი მიწვევა სურდა. 21 წლის ქართველის მიმართ რუსეთის ნაკრების „მაესტროს" ყურადღებაზე თბილისის „დინამოს" ორმა ყოფილმა მოთამაშემ, მოსკოვის „დინამოს" სელექციონერმა **ახრიკ ცვეიბამ** და კლუბის სპორტულმა დირექტორმა **გურამ აჯოევმა** კვირკველიას მენეჯერს, თბილისის „დინამოს" ყოფილ თავდამსხმელ **რევაზ ჩელებაძეს** შეატყობინეს.

● დუბლების ჩემპიონატი

XXVII ტური

| | |
|---|---|
| ვიტ ჯორჯია-დინამო (თბ) | 2:0 |
| დილა-სპარტაკი | 0:1 |
| ზუგდიდი-გურია | 2:0 |
| ჩიხურა-მეტალურგი | 1:3 |
| მერანი-სიონი | 2:1 |
| ზესტაფონი-ტორპედო | 9:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო | 27 | 20 | 1 | 6 | 69-29 | 61 |
| 2. მეტალურგი | 27 | 19 | 2 | 6 | 65-32 | 59 |
| 3. ვიტ ჯორჯია | 27 | 15 | 6 | 6 | 52-37 | 51 |
| 4. ზუგდიდი | 27 | 15 | 3 | 9 | 50-51 | 48 |
| 5. ჩიხურა | 27 | 11 | 6 | 10 | 46-34 | 39 |
| 6. ზესტაფონი | 27 | 11 | 4 | 12 | 53-39 | 37 |
| 7. დილა | 27 | 11 | 4 | 12 | 42-45 | 37 |
| 8. მერანი | 27 | 10 | 5 | 12 | 39-43 | 35 |
| 9. სპარტაკი | 27 | 9 | 5 | 13 | 34-48 | 32 |
| 10. ტორპედო | 27 | 7 | 5 | 15 | 43-53 | 26 |
| 11. სიონი | 27 | 5 | 5 | 17 | 22-60 | 20 |
| 12. გურია | 27 | 4 | 4 | 19 | 28-61 | 16 |

ქაბუქთა ლიგა

XXII ტური

1996/97 წ.დ.

| | |
|---|---|
| სიონი-დინამო (ბთ) | 1:1 |
| დილა-ნ. დინამო | 3:1 |
| სპარტაკი-ზუგდიდი | 3:0 |
| გურია-საბურთალო | 1:4 |
| ვიტ ჯორჯია-ტორპედო | 7:0 |
| მეტალურგი-ჩიხურა | 5:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მეტალურგი | 22 | 20 | 2 | 0 | 74-12 | 62 |
| 2. დინამო (თბ) | 21 | 14 | 2 | 5 | 52-24 | 44 |
| 3. ტორპედო | 22 | 13 | 5 | 4 | 38-29 | 44 |
| 4. საბურთალო | 22 | 13 | 4 | 5 | 45-22 | 43 |
| 5. დილა | 22 | 11 | 7 | 4 | 42-21 | 40 |
| 6. 35-ე სს | 21 | 11 | 3 | 7 | 42-29 | 36 |
| 7. ვიტ ჯორჯია | 22 | 10 | 6 | 6 | 53-33 | 36 |
| 8. დინამო (ბთ) | 22 | 8 | 6 | 8 | 34-33 | 30 |
| 9. მერანი | 21 | 8 | 2 | 11 | 24-48 | 26 |
| 10. სიონი | 22 | 7 | 4 | 11 | 33-44 | 25 |
| 11. ნ. დინამო | 22 | 6 | 4 | 12 | 31-41 | 22 |
| 12. ზესტაფონი | 21 | 6 | 4 | 11 | 28-40 | 22 |
| 13. ზუგდიდი | 22 | 4 | 9 | 9 | 21-30 | 21 |
| 14. სპარტაკი | 22 | 5 | 5 | 12 | 28-44 | 20 |
| 15. გურია | 22 | 3 | 3 | 16 | 8-61 | 12 |
| 16. ჩიხურა | 22 | 2 | 0 | 20 | 17-59 | 6 |

1998/99 წ. დ.

| | |
|---|---|
| სიონი-დინამო (ბთ) | 0:0 |
| მერანი-35-ე სს | 0:3 |
| დილა-ნ. დინამო | 2:1 |
| სპარტაკი-ზუგდიდი | 4:0 |
| გურია-საბურთალო | 0:1 |
| ვიტ ჯორჯია-ტორპედო | 2:0 |
| მეტალურგი-ჩიხურა | 4:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო (თბ) | 21 | 18 | 2 | 1 | 90-9 | 56 |
| 2. საბურთალო | 22 | 16 | 6 | 0 | 60-5 | 54 |
| 3. 35-ე სს | 22 | 17 | 1 | 4 | 52-19 | 52 |
| 4. დილა | 22 | 13 | 3 | 6 | 29-23 | 42 |
| 5. ტორპედო | 22 | 13 | 2 | 7 | 35-20 | 41 |
| 6. მეტალურგი | 22 | 10 | 4 | 8 | 30-26 | 34 |
| 7. ვიტ ჯორჯია | 22 | 9 | 6 | 7 | 34-27 | 33 |
| 8. ზუგდიდი | 22 | 9 | 5 | 8 | 32-32 | 32 |
| 9. სპარტაკი | 22 | 9 | 1 | 12 | 31-41 | 28 |
| 10. ნ. დინამო | 22 | 6 | 7 | 9 | 21-36 | 25 |
| 11. დინამო (ბთ) | 22 | 6 | 6 | 10 | 19-25 | 24 |
| 12. ზესტაფონი | 21 | 5 | 7 | 9 | 21-23 | 22 |
| 13. მერანი | 22 | 4 | 3 | 15 | 13-58 | 15 |
| 14. სიონი | 22 | 3 | 5 | 14 | 22-57 | 14 |
| 15. გურია | 22 | 3 | 3 | 16 | 10-69 | 12 |
| 16. ჩიხურა | 22 | 2 | 3 | 17 | 12-41 | 9 |

ეროვნული ნაკრები

# ითამაშებს საბა კვირკველია რუსეთის ნაკრებში?

ზოგს ეს ჭორი ეგონა, თუმცა ფაქტია - კვირკველიას შესახებ უკვე ბევრი ალაპარაკდა. ცნობილმა რუსმა კომენტატორმა **ვლადისლავ ბატურინმა** „ნაშ ფუტბოლის" გადაცემა „90 წუთში" განაცხადა:

*„კვირკველიას კაპელო ყურადღებით აკვირდება. ის ქართველია, მაგრამ მხოლოდ იუნიორთა და ახალგაზრდულ ნაკრებებში უთამაშია, ეროვნულ ნაკრებში კი ოფიციალური მატჩი არ ჩაუტარებია და ამ მხრივ პრობლემა არ შეექმნება".*

**გეორგი ჩერდანცევი,** „ნტვ+"-ის კომენტატორი: *„მაღალი კლასის ბევრი მოთამაშე არ გვყავს და არც ღირს ყურადღების გამახვილება იმაზე, კვირკველია რუსია თუ არა. თუ ის სათამაშო თვისებებით საინტერესო მოთამაშეა, რატომაც არა?! კვირკველია კი კარგი მცველი და უნივერსალია - დაცვის ცენტრშიც შეუძლია თამაში და ფლანგ ზეც. ვერ ვიტყვი, რომ ვინმეზე ერთი თავით მაღლა დგას, მაგრამ მნიშვნელოვანია, რომ კვალიფიციური მოთამაშეა და ევროთასებზე გამოსვლის გამოცდილებაც გააჩნია. ჩვენ კი დაცვის ცენტრში პრობლემები გვაქვს და არჩევანშიც შეზღუდულები ვართ".*

**რინატ ბილიალეტდინოვი,** „რუბინის" მთავარი მწვრთნელი: *„თუ ეს სინამდვილეა, სასიამოვნოა, კაპელო ჩვენს ფეხბურთელს ყურადღებას რომ აქცევს. კვირკველიას ნათამაშები აქვს საქართველოს ნაკრებში, მაგრამ არ მახსოვს, რა დონეზე. თუ მისი რუსეთის ნაკრებში გამოძახება შესაძლებელი, ორივე ხელით დავუჭერ მხარს".*

**ანატოლი ბიშოვეცი,** რუსეთისა და სსრკ-ის ოლიმპიური ნაკრების ყოფილი მთავარი მწვრთნელი: *„კვირკველიას ახლა თუ არა, პერსპექტივაში მაინც შეუძლია რუსეთის ნაკრების გაძლიერება. მაგრამ ამ ინფორმაციას ჯერ ჭორად მივიჩნევ. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ არ ვიცი თავად კვირკველიას პოზიცია. მეორეც - რუსეთ-საქართველოს შორის არსებული ურთიერთობიდან გამომდინარე, ასეთი საკითხების გადაწყვეტა მტკივნეული იქნება. კვირკველიას აქვს ღირსებები, შეგვიძლია მის პოტენციალზე ლაპარაკი, მაგრამ ბოლომდე გახსნილი არ არის. მესმის კაპელოს ნერვიულობის მიზეზი ცენტრალური მცველების გამო. ნაკრების დაცვის ცენტრის ბურჯები ცსკა-ს ფეხბურთელები - იგნაშევიჩი და ბერეზუცკი არიან, მაგრამ მათ შემცვლელები სჭირდებათ. კვირკველია კი ალნაგობითა და სიმაღლით ამ პოზიციას ერგება. კარგად თამაშობს თავით და სიღრმისეულად ესმის, მოედანზე რა უნდა გააკეთოს. შესაძლოა, მას სათამაშო პრაქტიკა ყოველთვის არ ჰქონდა, მაგრამ ამჯერად საუკეთესო თვისებების განვითარების შესაძლებლობა გააჩნია".*

კვირკველიას დებიუტი საქართველოს ნაკრებში წლეულს, ლიხტენშტაინთან ამხანაგურ მატჩში შედგა. ფიფას წესებით, ფეხბურთელი სხვა ნაკრებში მხოლოდ იმ შემთხვევაში ვერ ითამაშებს, თუ თავისი ქვეყნის ეროვნულ გუნდში ერთი ოფიციალური მატჩი მაინც ჩაატარა. ამავე დროს, ამ ფეხბურთელით დაინტერესებულ ქვეყნაში ხუთი წელი უნდა ცხოვრობდეს და თამაშობდეს. კვირკველია რუსეთში 2009 წლიდან თამაშობს - ჯერ სანკტ-პეტერბურგის „ზენიტის" დუბლშემადგენლობაში ჩაირიცხა, 2010 წელს კი ყაზანის „რუბინი 2-ში" გადავიდა. უთამაშია საქართველოს 19-წლამდელთა (6 მატჩი) და ახალგაზრდულ (8 მატჩი) ნაკრებებში.

## კვირკველია: მე ქართველი ვარ და ეს ამბავი არ გამოვა

**საბა კვირკველიას ყაზანში დავუკავშირდით და კომენტარი ვთხოვეთ. სამტრედიაში დაბადებული მოთამაშე ამბობს, რომ საფეხბურთო მოქალაქეობის შეცვლას არ აპირებს...**

**- ფაბიო კაპელომ რუსეთის სახელით თამაში პირადად შემოგთავაზათ?**

- მე არა, მაგრამ „რუბინს" და ჩემს აგენტს ელაპარაკა. უთქვამს, რომ მოსაფიქრებლად დროს მაძლევს და რომ ჩემს კანდიდატურას 2018 წლის მსოფლიოს ჩემპიონატისთვის განიხილავს.


საბა კვირკველია

**- ამ წინადადებაზე უკვე ფიქრობთ?**

- ასეთ მწვრთნელთან მუშაობა ნებისმიერი დონის მოთამაშის ოცნებაა და ცხადია, მისი დაინტერესება ჩემთვის ძალიან სასიამოვნოა. ძალიან გამიხარდებოდა, კაპელო რომელიმე ძლიერ გუნდში რომ გადავიდეს და იქ მიმიწვიოს. მაგრამ მე ქართველი ვარ და ეს ამბავი არ გამოვა.

**- შევიტყვეთ, რომ მოქალაქეობის შეცვლის საფასურად, რუსები დიდძალ ფულსაც გთავაზობდნენ...**

- მთავარია, რომ მე საქართველოს ნაკრებში თამაში მსურს, მოქალაქეობას არ შევიცვლი და ვინ რა შემომთავაზა, ამაზე ლაპარაკი აღარ ღირს.

**- ნაკრებში დიდად არც გენდობიან და კარგია, თუ მოქალაქეობას მაინც არ თმობთ...**

- გამოძახებისთვისაც მადლიერი ვარ თემურ ქეცბაიასი და მჯერა, ადრე თუ გვიან ნაკრებში თამაში მეც მომიწევს.

**- როგორც ჩანს, „რუბინში" მყარად დამკვიდრდით...**

- ძირითად შემადგენლობაში ზედიზედ მეექვსე შეხვედრა ვითამაშე და იმედია, მომავალშიც ასე გაგრძელდება.

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● უეფას კონგრესი



მარცხნიდან: მიშელ პლატინი, ზვიად სიჭინავა, რევაზ არველაძე

# რევაზ არველაძის დაუგეგმავი შოუ ასტანაში

„ასტანაში გამართული უეფას კონგრესის ერთ-ერთი ყველაზე კოლორიტული ფიგურა რევაზ არველაძე გახდა - ცნობილი ძმებიდან უფროსი, წარსულში თბილისის „დინამოს" ბრწყინვალე შემტევი ნახევარმცველი, ამჟამად კი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივანი", - წერს ყაზახური ინტერნეტ-გაზეთი „სპორტი".

მისივე ცნობით, **რევაზ არველაძემ** ასტანაში უეფას კონგრესის დელეგატები დარბაზში დაუგეგმავი შეხვედრისას გააოცა. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივანი ესწრებოდა კონგრესს, რომელსაც ყაზახეთის დედაქალაქმა „მშვიდობისა და თანხმობის" დარბაზში უმასპინძლა.

სხდომამდე ერთი დღით ადრე, უეფას ოფიციალური ვახშამი გაიმართა, სადაც ორგანიზაციის პრეზიდენტმა **მიშელ პლატინიმ** ნომინანტებს, სპეციალური პრიზებისა და ყვავილების გარდა, ბრაზილიის მსოფლიო ჩემპიონატის ოფიციალური ბურთები, „ადიდასის" „ბრაზუკები" დაურიგა. ერთ-ერთ ლაურეატს ბურთი დაუვარდა და დარბაზში გაგორდა, სადაც უცებ არველაძე წამოხტა და ბურთი თავზე აიგდო - ისე, **დავით ყიფიანმა** „კარლ ცაისთან" რომ გააკეთა. სამი წუთის განმავლობაში, დარბაზი გაოცებული უყურებდა, როგორ ათვინიერებდა ბურთს ქართველი ჩინოსანი. როგორც წერენ - „არველაძემ საფეხბურთო ფრისტაილის უმაღლესი კლასი აჩვენა. მისთვის ხელი არ შეუშლია არც დახვეწილ პიჯაკს და არც ლაქის ფეხსაცმელს".

როგორც გაირკვა, საქართველოსა და ყაზახეთის ფეხბურთის ფედერაციების ურთიერთობა გაგრძელდება და ივნისში საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრები ამ ქვეყნის „პრეზიდენტის თასზე" ითამაშებს.

**მერაბ მამულაშვილი**

● U 19. ოთხთა ტურნირი



# რუსეთის დამარცხება ვიქმარეთ

საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებმა პორტუს საერთაშორისო ტურნირი მე-3 ადგილზე დაასრულა. პორტუგალიასთან 1:4-ზე წაგებული პირველი შეხვედრის შემდეგ, **ვასილ მაისურაძის** გუნდმა რუსეთთან პრინციპული მატჩის მოგება მოახერხეს - 4:2. ამ შეხვედრაში თავი **არჩილ მესხმა, გიორგი გოროზიამ, ლუკა ზარანდიამ** და **გიორგი ბერიძემ** გამოიჩინეს. აღსანიშნავია, რომ რუსეთის ნაკრების მწვრთნელი **დმიტრი ულიანოვი**, მატჩამდეც და მას შემდეგაც, საქართველოზე დიდი პატივისცემით ლაპარაკობდა - სერიოზული გუნდიაო.

ტურის მე-2 შეხვედრაში პორტუგალიამ ჩეხეთიც იოლად დაამარცხა - 3:0. ამგვარად, დასკვნით ტურამდე, საქართველოს ნაკრებს მე-2 ადგილის დაკავების ყველაზე კარგი შანსი ჰქონდა, რადგან ჩეხეთს და რუსეთს 2-2 ქულით უსწრებდა. სამწუხაროდ, ჩვენმა გუნდმა ეს შანსი ვერ გამოიყენა.

20 აპრილს გამართული შეხვედრა „ჯვაროსნების" უპირატესობით კი დაიწყო, რეალური საგოლე მომენტიც ჰქონდათ, მაგრამ... ვერ ისარგებლეს. ჩეხებმა თამაში ტაიმის მიწურულს გაათანაბრეს და 43-ე წუთზე **ჰოლცერის** გოლით დაწინაურდნენ კიდეც.

მეორე ტაიმში კურუცამ თავისი გუნდის უპირატესობა ორ ბურთამდე გაზარდა. ჩვენებმა სხვაობის შემცირება მხოლოდ მატჩის მიწურულს შეძლეს - 1:2.

მასპინძელმა პორტუგალიამ კი რუსეთსაც იოლად მოუგო (4:0) და მთავარ ჯილდოს დაეუფლა.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუგალია | 3 | 3 | 0 | 0 | 7-1 | 6 |
| ჩეხეთი | 3 | 1 | 1 | 1 | 3-5 | 4 |
| საქართველო | 3 | 1 | 0 | 2 | 6-8 | 3 |
| რუსეთი | 3 | 0 | 1 | 1 | 3-9 | 1 |

**მერაბ მამულაშვილი**

● ლეგიონის უქმეები

# ჭანტურია, ოქრიაშვილი და სხვა ქართველები

**ეს უქმეები ქართული ლეგიონისთვის არცთუ ურიგო გამოდგა - ხუთი ქართული გოლი გავიდა, თუმცა, რა თქმა უნდა, ყველაზე მნიშვნელოვანი გიორგი ჭანტურიას გასროლა იყო რუმინეთში და თორნიკე ოქრიაშვილის გოლი უკრაინაში, რომელმაც შესაძლოა, ჩემპიონატის ბედ-იღბალზეც იქონიოს გავლენა...**

## შახტარი მადლიერი უნდა იყოს

თუკი ჩვენებური **ჯაბა კანკავა** ვერ შეწვდება უკრაინის ჩემპიონობას, ამაში დამნაშავე **თორნიკე ოქრიაშვილიც** იქნება. ოდესაში „ჩერნომორეცმა" 1:0 დაამარცხა **ხუანდე რამოსის** „დნიპრო". 34-ე წუთზე ამ შეხვედრის ერთადერთი გოლი თორნიკემ გაიტანა - ეს მისი მესამე გოლია სეზონში და ყველა მას მერე გაიტანა, რაც კლუბი გამოიცვალა.

22 წლის ქართველმა იმდენად კარგად ითამაშა, რომ ტურის სიმბოლურ ნაკრებში მოხვდა, როგორც „ფუტბოლის", ისე „უა ფუტბოლის" ვერსიით. ჩვენებურს მეორე ტაიმშიც შეეძლო გატანა, როცა „დნიპროს" მეკარესთან პირისპირ გავიდა, მაგრამ ბურთი ძელს გაარტყა. წაგებულთა რიგებში მხოლოდ პირველი ნახევარი საათი ითამაშა კანკავამ, გოლის გაშვების შემდეგ ესპანელმა ტაქტიკა გადააწყო და ქართველის ნაცვლად თავდამსხმელი შეიყვანა. რაც შეეხებათ **უჩა ლობჟანიძეს** და **სანდრო კობახიძეს**, ეს ბიჭები კვლავ ვერ ხვდებიან „დნიპროს" განაცხადში.

ქართველთა გუნდი 50 ქულით მეორე ადგილზეა და „შახტარს" 3 ქულით ჩამორჩება, თუმცა მასზე ნაკლები თამაში აქვს გამართული. შეგახსენებთ, რომ ოქრიაშვილი „შახტარის" საკუთრებაა და თავის გუნდს ამ გოლით კარგი საქმე გაუკეთა.

## მსაჯი და ჭანტურია

კარიერაში პირველი რუმინული გოლი გაიტანა იქაურ ლიგა 1-ში **გიორგი ჭანტურიამ** - „კლუჟის" ქართველმა ფორვარდმა მშვენივრად ითამაშა მარჯვენა ფრთაზე და „ჩახლაულის" მეკარეს ახლო კუთხეში გაუტანა. ამ გოლის წყალობით „კლუჟმა" შეხვედრა 2:0 მოიგო.

მატჩის დასასრულს უცნაური სცენის მომსწრენი გავხდით, როცა ჭანტურიას... შეხვედრის არბიტრი გადაეხვია. არადა, სწორედ ამ არბიტრმა მეორე ტაიმში გიორგი სიმულაციისთვის გააფრთხილა. „კლუჟი" 41 ქულით მე-7 ადგილზეა ჩემპიონატში და ევროზონაში შეღწევის მხოლოდ თეორიული შანსიღა აქვს.

## ქართული გოლები და აღზევება

ჩემპიონატში გოლების ანგარიში გახსნა ტურკუს „ინტერში" მოთამაშე **ირაკლი სირბილაძემ**. „სეინიაოკისთან" მატჩში (2:1), ქართველმა პირველ ტაიმში გახსნა ანგარიში. ვეტერანი ფორვარდი მალევე შევიდა ფორმაში, რამდენიმე დღის წინ მან ფინეთის თასზეც გაიტანა გოლი.

დიდებულად ათამაშდა **კახა ცხადაძის** „ინტერი", რომელმაც კიდევ ერთი ბაქოური დერბი მოიგო - „ბაქი" 4:0 გაანადგურა. თავი კვლავ გამოიჩინა **ბაჩანა ცხადაძემ**, ერთი გოლიც ყოფილ დინამოელ **მიკელ ალვაროს** ანგარიშზეა. **ლაშა სალუქვაძე** ტრავმირებულია, ხოლო **გიორგი ლომაია** ისევ სათადარიგო იყო, **ალექსანდრე იაშვილმა** კი სასტარტოში ითამაშა, როგორც ცხადაძემ.

„ინტერი" ლიდერ „ყარაბაღს" 10 ქულით ჩამორჩება - ჩემპიონატს ინტრიგა **გიორგი ჩიხრაძემ** შეუნარჩუნა, მისმა „სიმურგმა" სწორედ ლიდერი დაამარცხა - 1:0. წაგებულთა რიგებში მეორე ტაიმში გამოჩნდა **ნიკოლოზ გელაშვილი**.

კიდევ ერთი ქართული გოლი გავიდა - ამჯერად ლატვიაში **გიორგი დიაკვნიშვილმა** გამოიჩინა თავი - ამის მიუხედავად, მისი „იელგავა" შინ „ვენტსპილსთან" 1:2 დამარცხდა. გამარჯვებულთა რიგებში სრულად ითამაშა **თორნიკე თარხნიშვილმა**. აღსანიშნავია, თამაზ პერტიას „სკონტოს" გამარჯვება „დაუგავპილსზე" - 3:1. რიგელთა ძირითად შემადგენლობაში მხოლოდ **ირაკლი კლიმიაშვილი** იყო, **ლაშა დვალი** კი საქართველოს ასაკობრივ ნაკრებში იყო მიწვეული.

მნიშვნელოვანი რამ მოხდა ჩვენთვის საფრანგეთშიც - ლიგა ნასიონალში „ლუზენაკმა" „ბულონს" 1:0 მოუგო და ამით ლიგა 2-ის საგზური გაინაღდა. შეგახსენებთ, რომ გუნდის ერთ-ერთი ლიდერი ქართველი მცველი **ამირან სანაია**, რომელმაც სრულად ითამაშა ეს მატჩი.

**შოთა არველაძის** „ქასიმფაშა" ბოლო დროს ვერაფრით ახარებდა გულშემატკივარს და მოულოდნელად, უდიდესი სენსაცია მოახდინა - სტუმრად **რობერტო მანჩინის** „გალათასარაი" შეარცხვინა - 4:0.

დაბოლოს, ეს უქმეები ტრავმების გამო გამოტოვეს **ლევან კობიაშვილმა** (ჰერტა) და **ჯანო ანანიძემ** (როსტოვი).

**ნიკოლოზ ნეფარიძე**




თორნიკე ოქრიაშვილი (ზემოთ) და გიორგი ჭანტურია გოლებს ზეიმობენ



ესპანეთი. ლა ლიგა. XXXIV ტური

# კიდევ ერთი ნაბიჯი ჩემპიონობისკენ

**„რეალს“ ამ ტურში არ უთამაშია, მისმა კონკურენტებმა კი გაჭირვებით მოიგეს. მორიგი მარცხი განიცადა „ბეტისმა“, რაც ამ გუნდისთვის პრიმერადან გავარდნის ტოლფასი იყო...**



„ატლეტიკოს“ ფეხბურთელები მორიგ გამარჯვებას ზეიმობენ

## ბარსელონა ცოცხალია

ტურის ცენტრალური მატჩი „ნოუ კამპზე“ გაიმართა. პირველ ტაიმში საგოლე მომენტები ორივე გუნდს ჰქონდა, მაგრამ ხან მეკარეები ყოჩაღობდნენ, ხან კი შემტევები სცოდავდნენ. ანგარიში კი მეორე ტაიმში, „ბარსელონას“ მცველების შეცდომის შედეგად გაიხსნა - **არიც ადურისმა** ბოლო 8 შეხვედრაში თავისი მე-10 გოლი გაიტანა. კატალონიელები ზედიზედ მეოთხე მარცხის საშიშროების წინაშე დადგნენ, მაგრამ ყველაფერი ორწუთიან მონაკვეთში შეიცვალა. 72-ე წუთზე, **ალექსის სანჩესის** პასით ანგარიში **პედრომ** გაათანაბრა, ზუსტად ორ წუთში კი თავისივე ნაქცევისთვის დანიშნული ჯარიმა გოლად **ლიონელ მესიმ** აქცია. საბოლოოდ - 2:1 და „ბარსამ“ ჩემპიონის ტიტულის მოპოვების შანსი შეინარჩუნა.

თამაშის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე, ხერარდო მარტინომ სხვადასხვა საკითხზე ისაუბრა. არგენტინელი სპეციალისტის თქმით, თუ „ბარსელონა“ სეზონს ტიტულის გარეშე დაასრულებს, ეს მხოლოდ და მხოლოდ მისი ბრალი იქნება. გარდა ამისა, მარტინომ დაიცვა **სესკ ფაბრეგასი**, რომელსაც ცვლილებაზე შემოსვლისას ტრიბუნებზე შეკრებილმა გულშემატკივრებმა უსტვინეს:

*„სესკი ძალიან მამაცი ფეხბურთელია. ის არასდროს იმალება, ყოველთვის ითხოვს ბურთს, ხშირად რისკავს და მას არ ეშინია შეცდომის დაშვების. ფაბრეგასს ყოველთვის სურს, რომ მოედანზე იყოს და გუნდს დაეხმაროს. საკუთარი თავისგან ბევრს ვითხოვ. მე მოვედი გუნდში, რომელიც მიჩვეული იყო გამარჯვებებს და თუ „ბარსა“ ტიტულებს ვერ მოიგებს, რა თქმა უნდა, პასუხისმგებელი მე ვიქნები“.*

მარტინოს იმ ჭორების შესახებაც ჰკითხეს, რომლის მიხედვითაც მას და ალექსის სანჩესს კონფლიქტი აქვთ:

*„მან გუშინ იხუმრა ვარჯიშის დროს, რომ თურმე ჩვენ გვიჩხუბია. მაშინ წარმოდგენაც კი არ მქონდა, რაზე საუბრობდა“*, - განაცხადა არგენტინელმა, რომელმაც მესის გოლითაც გაიხარა:

*„სიამოვნებას მანიჭებს იმის ყურება, თუ როგორ ახერხებს მესი კრიტიკოსებისთვის პასუხის გაცემას. ის მათ არა ენით, არამედ ფეხბურთის საშუალებით პასუხობს. ყოველი 100 მატჩიდან ის 99-ში შესანიშნავად თამაშობს“.*

ფაბრეგასი დაიცვა პედრომაც, რომელმაც სესკის გარდა **პინტოს** და მესის შესახებაც ისაუბრა:

*„ისინი ჩვენი თანაგუნდელები არიან, რომლებიც ყოველდღე ძალიან ბევრს შრომობენ. სესკიც და პინტოც გუნდისთვის მნიშვნელოვანი ფეხბურთელები არიან და ჩემი აზრით, გულშემატკივრები მათ გვერდში უნდა დაუდგნენ. მესი კი საუკეთესო ფეხბურთელია მსოფლიოში. მას ყოველთვის დიდი პასუხისმგებლობა აკისრია და როდესაც ის თავს კარგად გრძნობს, ეს გუნდის გამოსვლაზეც დადებითად აისახება“.*

„ატლეტიკის“ ნაგებით ისარგებლა „სევილიამ“, ვინც ანდალუსიურ დერბიში „გრანადა“ გაანადგურა და ბასკებთან სხვაობა სამ ქულამდე შეამცირა. მომდევნო ტურში **უნაი ემერის** გუნდი სწორედ „ბილბაოს“ ხვდება და გამარჯვების შემთხვევაში, ჩემპიონატის დამთავრებამდე სამი ტურით ადრე, მეოთხე ადგილზეც გადავა.

## ატლეტიკოს გაუჭირდა

ტურის პირველი შეხვედრა პარასკევს გაიმართა. ჩემპიონატის ერთპიროვნულმა ლიდერმა, „ვისენტე კალდერონზე“ „ელჩეს“ უმასპინძლა და შეხვედრის ბოლოსკენ გატანილი ორი გოლით მოუგო. პირველი ბურთი **ხოსე სოსას** მოწოდებული კუთხურის შემდეგ **ჟოაო მირანდამ** გაიტანა, წერტილი კი **დიეგო კოშტამ** დასვა, ვინც 11-მეტრიანი გამოიყენა. აღსანიშნავია, რომ ანგარიშის გახსნის შანსი მასპინძლებს მეორე ტაიმის დებიუტშიც ჰქონდათ, მაგრამ **დავიდ ვილიამ** პენალტი ვერ გაიტანა.

**დიეგო სიმეონეს** აზრით, „ატლეტიკოს“ გამარჯვება ცვლილებაზე შემოსულმა ფეხბურთელებმა და შეცვლილმა ტაქტიკამ განაპირობეს.

დიეგო სიმეონე: *„თამაში ჩვეული სისტემით დავიწყეთ, უბრალოდ, მარჯვენა ფლანგზე ადრიანი გავამწესე, რადგან მსურდა, რომ მას პრობლემები შეექმნა კრისტიან საპუნარუსთვის, რომელიც ნომინალურად მარცხენა მცველი არაა. ამის გამო, ნახევარდაცვის ხაზში ფეხბურთელი მოგვაკლდა, რის გამოც მოგებული საჰაერო ორთაბრძოლების შემდეგ ბურთი ძირითადად მეტოქეს რჩებოდა. რაულ გარსიას გამოსვლის შემდეგ კი გაცილებით უკეთ გამოვიყურებოდით და უფრო სახიფათოდაც ვუტევდით. დიეგომ გუნდის შეტევებს კრეატივი შემატა, სოსამ კი შესანიშნავად მოაწოდა კუთხური, რომელსაც გოლი მოჰყვა“.*

არგენტინელმა დარჩენილ შეხვედრებზე და ჩემპიონთა ლიგის დაპირისპირებაზეც ისაუბრა:

*„ყველა დარჩენილი შეხვედრა რთული იქნება. სამი შეხვედრის ჩატარება სტუმრად გვიწევს, რაც ბევრია. დღეს ფეხბურთელები ბოლომდე დაიხარჯნენ. ახლა ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ ძალები აღვიდგინოთ და სამშაბათის მატჩისთვის ბოლომდე მზად ვიყოთ. „ჩელსისთან“ თამაში ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენთვის და „ატლეტიკოს“ ისტორიისთვის“.*

## პაულაოს ტრაგედია

„ბეტისმა“ „რაიო ვალეკანოსთან“ უმნიშვნელოვანესი თამაში წააგო. გამარჯვების შემთხვევაში, სევილიელები ლიგაში დარჩენის მცირე შანსს დაიტოვებდნენ, მით უმეტეს, იმის გათვალისწინებით, რომ დარჩენილი ოთხი მატჩიდან სამი მათ უშუალო კონკურენტებთან უნდა ჰქონოდათ, მაგრამ ამ მარცხის შემდეგ გადარჩენის შანსი ნულის ტოლია.

„ვერდიბლანკოსის“ ნაგების მთავარი მიზეზი კი მათი ბრაზილიელი მცველი **პაულაო** გახდა. 31 წლის ფეხბურთელმა ორი საოცარი შეცდომა დაუშვა, რაც გუნდს ამდენივე გაშვებულ ბურთად დაუჯდა. ჯერ მე-14 წუთზე, საჯარიმოს ხაზთან მყოფმა პაულაომ ბურთის ადანისთვის დაბრუნება განიზრახა, მაგრამ ეს იმდენად ცუდად გააკეთა, რომ „ბეტისის“ მეკარემდე **რუბენ როჩინამ** ითამაშა და ანგარიშიც გახსნა. 27-ე წუთზე კი მარჯვენა ფლანგიდან ჩაწოდებულ ბურთზე სწორედ პაულაომ ითამაშა და საკუთარ კარში გაიტანა. მიუხედავად იმისა, რომ მას როგორც საკუთარი, ასევე მეტოქე გუნდის მოთამაშეები ამშვიდებდნენ, ბრაზილიელმა შეცვლა მოითხოვა. მოედნიდან გასვლისას, პაულაო „რაიო ვალეკანოს“ ქომაგებმაც გაამხნევეს, რომლებაც მეტოქე გუნდის მოთამაშე აპლოდისმენტებით გააცილეს, თავად „ბეტისის“ მცველი კი ცრემლებს ძლივს იკავებდა.

### ატლეტიკო-ელჩე 2:0

**გოლები:** 1:0 მირანდა (72), 2:0 დიეგო კოშტა (90-პენ)

**ატლეტიკო (4-4-2):** კურტუა - ხუანფრანი, მირანდა, გოდინი, ფილიპე ლუიში - ადრიანი (46. რაულ გარსია), გაბი, ტიაგო, კოკე (57. დიეგო) - ვილია (62. ხ. სოსა), დიეგო კოშტა

**ელჩე (4-3-2-1):** მანუ ერერა - დ. სუარესი, ბოტია, ს. პელეგრინი, საპუნარუ - ხავი მარკესი (77. ბოაკი), კ. სანჩესი, რივერა - კარლეს ხილი (71. აარონ ნიგესი), კორომინასი - კრისტიან ერერა (57. ფიდელი)

**გამოუყენებელი პენალტი:** ვილია (50. ატლეტიკო)

**გაფრთხილება:** დიეგო კოშტა, რაულ გარსია - საპუნარუ, კორომინასი, რივერა, ს. პელეგრინი

**გაძევება:** საპუნარუ (90. ელჩე)

**კუთხური:** 7-6; **ჯარიმა:** 7-12; **თამაშგარე:** 8-0; **კარში დარტყმა:** 14-8 (4-3); **ბურთის ფლობა:** 52%-48%

**მაყურებელი:** 48 782

### ოსასუნა-ვალენსია 1:1

**გოლები:** 1:0 ორიოლ რიერა (19), 1:1 ჟონასი (82)

**ოსასუნა (4-2-3-1):** ანდრეს ფერნანდესი - მარკ ბერტრანი, არიბასი, ფლანიო, დამია - ლოე, ფ. სილვა - სეხუდო (71. ოიერი), რობერტო ტორესი (79. ე. არმენტეროსი), დე ლას კუევასი (86. ხ. აკუნია) - ორიოლ რიერა

**ვალენსია (4-4-2):** გუაიტა - ჟოაო პერეირა, რუბენ ვეზუ (77. პ. პიატი), მატიო, ხუან ბერნატი - ფეგული (57. ჟონასი), დანი პარეხო, ს. კეიტა, კარტაბია - პაკო ალკასერი, ე. ვარგასი (66. ვინისიუს არაუჟო)

**გაფრთხილება:** რობერტო ტორესი, დამია, ფ. სილვა - ს. კეიტა, მატიო

**კუთხური:** 4-9; **ჯარიმა:** 16-13; **თამაშგარე:** 1-1; **კარში დარტყმა:** 9-13 (3-1); **ბურთის ფლობა:** 37%-63%

**მაყურებელი:** 16 975

### ლევანტე-ხეტაფე 0:0

**ლევანტე (4-4-2):** კ. ნავასი - პედრო ლოპესი, ვინტრა, დ. ნავარო (26. ელ ადუა), ხუანფრანი - სუმეტრა (71. ელ ჟარი), პ. დიოპი, სიმაო ჟუნიორი, რუბენ გარსია - ვიქტორი (58. ბ. დიავარა), ბარალი

**ხეტაფე (4-4-2):** ჟულიო სეზარი - ალექსისი, ლისანდრო ლოპესი, რაფა, ს. ესკუდერო - პედრო ლეონი (61. დიეგო კასტრო), ლასენი, ხუან როდრიგესი, პ. სარაბია (82. ვალერა) - ა. კოლუნგა, მარიკა (70. სამირი)

**გაფრთხილება:** ხუანფრანი, სიმაო ჟუნიორი, სუმეტრა, ბარალი - ალექსისი, პ. სარაბია, ს. ესკუდერო

**გაძევება:** ალექსისი (81. ხეტაფე)

**კუთხური:** 3-4; **ჯარიმა:** 24-18; **თამაშგარე:** 0-4; **კარში დარტყმა:** 11-9 (2-4); **ბურთის ფლობა:** 50%-50%

**მაყურებელი:** 15 000

### სოსიედადი-ესპანიოლი 2:1

**გოლები:** 0:1 ჯ. კორდობა (23), 1:1 კანალესი (31), 2:1 ველა (90)

**სოსიედადი (4-2-3-1):** ბრავო - სალდუა, მ. გონსალესი, ანსოტეგი, დე ლა ბელია - ბერგარა, რუბენ პარდო - ველა, კანალესი (84. სურუტუსა), გ. კასტრო (75. ერვიასი) - აგირეჩე (75. სეფეროვიჩი)

**ესპანიოლი (4-2-3-1):** კასილია - ხავი ლოპესი (85. რაულ როდრიგესი), კოლოტო, სიდნეი, ხუან ფუენტესი - ვიქტორ სანჩესი, დავიდ ლოპესი - სტუანი, სერხიო გარსია, ლანსაროტე (46. სიმაო) - ჯ. კორდობა (78. პიცი)

**გაფრთხილება:** რუბენ პარდო - ვიქტორ სანჩესი

**კუთხური:** 12-2; **ჯარიმა:** 10-19; **თამაშგარე:** 3-2; **კარში დარტყმა:** 19-8 (8-3); **ბურთის ფლობა:** 66%-34%

**მაყურებელი:** 20 382

### ალმერია-სელტა 2:4

**გოლები:** 0:1 ნოლიტო (19), 1:1 როდრი (40), 1:2 შარლესი (52), 1:3 ნოლიტო (71), 1:4 ფ. ორელიანა (76), 2:4 ოსკარ დიასი (88)

**ალმერია (4-2-3-1):** ესტებანი - ნელსონი, ტრუხილიო, ტებარი, მანე - ვერსა (58. კორონა), აზიზი - სუსო (66. ოსკარ დიასი), სორიანო (30. ზონგო), ალექს ვიდალი - როდრი

**სელტა (4-3-2-1):** იოელი - უგო მალიო, კაბრალი, ფონტასი, ჯონი კასტრო - რაფაელ ალკანტარა (71. ინიგო ლოპესი), ალექს ლოპესი (46. მადინდა), კრონ-დელი - ფ. ორელიანა, ნოლიტო - შარლესი (67. ბერმეხო)

**გაფრთხილება:** ვერსა, მანე, როდრი, ტებარი, ოსკარ დიასი - .

**კუთხური:** 6-1; **ჯარიმა:** 14-11; **თამაშგარე:** 5-3; **კარში დარტყმა:** 11-14 (3-8); **ბურთის ფლობა:** 40%-60%

**მაყურებელი:** 11 829

### ვალეკანო-ბეტისი 3:1

**გოლები:** 1:0 რუბენ როჩინა (14), 2:0 პაულაო (27-საკ. კარში), 3:0 ლარივეი (51), 3:1 ჩიკა (79)

**ვალეკანო (4-2-3-1):** რუბენი - არბილია, გალვესი, ზე კასტრო, ნაჩო მარტინესი - საულ ნიგესი (67. რაულ ბაენა), ტრაშორასი - რუბენ როჩინა (79. ა. ბანგურა), ბუენო (54. სება ფერნანდესი), იაგო ფალკე - ლარივეი

**ბეტისი (4-3-3-):** ადანი - ხუანფრანი, პაულაო (32. ვადილიო), პერკისი (67. ხ. ფიგერასი), ჩიკა - ლ. რეიესი, ა. ნდიაიე, ნონო - ლეო ბაპტიშტაო (67. ვერდუ), ხორხე მოლინა, რუბენ კასტრო

**გაფრთხილება:** ზე კასტრო, საულ ნიგესი, გალვესი, არბილია - ლეო ბაპტიშტაო, ნონო

**კუთხური:** 5-2; **ჯარიმა:** 17-15; **თამაშგარე:** 4-5; **კარში დარტყმა:** 16-12 (8-3); **ბურთის ფლობა:** 54%-46%

**მაყურებელი:** 11 944

### სევილია-გრანადა 4:0

**გოლები:** 1:0 მაინსი (14-საკ. კარში), 2:0 გამეირო (51), 3:0 მბია (58), 4:0 ვიტოლო (68)

**სევილია (4-2-3-1):** ბეტუ - კოკე, ფასიო, პარეხო, ფ. ნავარო - დანიელ კარისო, მბია - ვიტოლო (74. ხაირო სამპერიო), რაკიტიჩი (78. ტროხოვსკი), მარინი - გამეირო (66. ბაკა)

**გრანადა (4-3-2-1):** კარნეზისი - ნიომი (78. ფულკიე), ტიაგო ილორი, კოეფი, ანგულო - იტურა, მაინსი, რესიო (54. ბრავო) - პიტი (74. იგალო), ბრაჰიმი - ელ-არაბი

**გაფრთხილება:** დანიელ კარისო, ფ. ნავარო - .

**კუთხური:** 7-1; **ჯარიმა:** 14-13; **თამაშგარე:** 6-1; **კარში დარტყმა:** 10-12 (5-2); **ბურთის ფლობა:** 60%-40%

**მაყურებელი:** 23 483

### ბარსელონა-ბილბაო 2:1

**გოლები:** 0:1 ადურისი (50), 1:1 პედრო (72), 2:1 მესი (74)

**ბარსელონა (4-3-3):** პინტო - დანი ალვეში, მასკერანო, ბარტრა, ადრიანო - ა. სონგი, ჩავი (70. ფაბრეგასი), ინიესტა - ა. სანჩესი (86. ტელიო), პედრო, მესი

**ბილბაო (4-2-3-1):** ირაისოსი - დე მარკოსი, სან ხოსე, ლაპორტი, ბალენსიაგა - იტურასპე (83. ბენიატი), ერიკ მორანი (54. მიკელ რიკო) - სუსაეტა (85. ტოკერო), ანდერ ერერა, მუნიაინი - ადურისი

**გაფრთხილება:** ბარტრა, პედრო - იტურასპე, ანდერ ერერა, დე მარკოსი

**კუთხური:** 9-4; **ჯარიმა:** 16-17; **თამაშგარე:** 8-1; **კარში დარტყმა:** 17-11 (8-4); **ბურთის ფლობა:** 56%-44%

**მაყურებელი:** 57 090

### მალაგა-ვილიარეალი 2:0

**გოლები:** 1:0 სანტა კრუსი (6), 2:0 სერხი დარდერი (53)

**მალაგა (4-2-3-1):** ვ. კაბალიერო - ხესუს გამესი, ანხელერი, ფლავიო, ანტუნეში - სერხი დარდერი, ი. კამაჩო - სამუ (81. ელიზეუ), დუდა (70. პორტილიო), ამრაბატი - სანტა კრუსი (88. რესკალდანი)

**ვილიარეალი (4-2-3-1):** ასენხო - მარიო, პანტიჩი, მუსაჩიო, ხაუმე კოსტა - პინა, ბრუნო - ხ. აკინო, ტრიგეროსი (46. ჯოვანი დოს სანტოსი), კანი (54. ოლივერ ტორესი) - პერბე (65. ხ. პერეირა)

**გაფრთხილება:** სამუ, ფლავიო, ი. კამაჩო - ხ. აკინო, მუსაჩიო, პინა

**გაძევება:** ამრაბატი (74. მალაგა)

**კუთხური:** 6-5; **ჯარიმა:** 14-14; **თამაშგარე:** 5-4; **კარში დარტყმა:** 14-4 (4-1); **ბურთის ფლობა:** 54%-46%

**მაყურებელი:** 15 789

### 7 მაისი

ვალიადოლიდი-რეალი 23:00

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ატლეტიკო | 34 | 27 | 4 | 3 | 74-22 | 85 |
| 2. ბარსელონა | 34 | 26 | 3 | 5 | 94-28 | 81 |
| 3. რეალი | 33 | 25 | 4 | 4 | 94-32 | 79 |
| 4. ბილბაო | 34 | 18 | 8 | 8 | 59-37 | 62 |
| 5. სევილია | 34 | 17 | 8 | 9 | 65-47 | 59 |
| 6. სოსიედადი | 34 | 15 | 9 | 10 | 58-51 | 54 |
| 7. ვილიარეალი | 34 | 15 | 7 | 12 | 52-40 | 52 |
| 8. ვალენსია | 34 | 12 | 9 | 13 | 47-47 | 45 |
| 9. ლევანტე | 34 | 10 | 11 | 13 | 30-41 | 41 |
| 10. ესპანიოლი | 34 | 11 | 8 | 15 | 38-44 | 41 |
| 11. მალაგა | 34 | 11 | 8 | 15 | 37-43 | 41 |
| 12. ვალეკანო | 34 | 12 | 4 | 18 | 42-71 | 40 |
| 13. სელტა | 34 | 11 | 7 | 16 | 40-51 | 40 |
| 14. გრანადა | 34 | 11 | 4 | 19 | 30-50 | 37 |
| 15. ოსასუნა | 34 | 9 | 8 | 17 | 29-54 | 35 |
| 16. ელჩე | 34 | 8 | 11 | 15 | 27-46 | 35 |
| 17. ვალიადოლიდი | 33 | 6 | 14 | 13 | 32-50 | 32 |
| 18. ხეტაფე | 34 | 8 | 8 | 18 | 29-51 | 32 |
| 19. ალმერია | 34 | 8 | 6 | 20 | 36-68 | 30 |
| 20. ბეტისი | 34 | 5 | 7 | 22 | 29-69 | 22 |

**ბომბარდირები:** 28 - კრიშტიანო რონალდო (რეალი); 27 - დიეგო კოშტა (ატლეტიკო); 26 - ლიონელ მესი (ბარსელონა); 17 - ქარიმ ბენზემა (რეალი), ალექსის სანჩესი (ბარსელონა); 16 - არიც ადურისი (ბილბაო), ანტუან გრიზმანი (სოსიედადი); 15 - პედრო (ბარსელონა)

### მომდევნო ტური

25 აპრილი: **ელჩე-ლევანტე**

26 აპრილი: **გრანადა-რაიო ვალეკანო, ხეტაფე-მალაგა, რეალი-ოსასუნა, ბეტისი-სოსიედადი**

27 აპრილი: **ესპანიოლი-ალმერია, ვალენსია-ატლეტიკო, ბილბაო-სევილია, ვილიარეალი-ბარსელონა**

28 აპრილი: **სელტა-ვალიადოლიდი**

გვერდი მოამზადა
**ტატო ბაციკაძემ**

პორტუგალია. პრიმეირა ლიგა. XXVIII ტური

## ბენფიკა ჩემპიონია

„ოლიანენსესთან“ 2:0 მოგებული მატჩის შემდეგ, ლისაბონის „ბენფიკა“ კონკურენტებისთვის მიუწვდომელი გახდა. „არწივებმა“, 2010 წლიდან მოყოლებული, პირველი საჩემპიონო ტიტული მოიპოვეს. სულ კი „ბენფიკა“ პორტუგალიის ჩემპიონი 33-ედ გახდა.

გერმანია. ბუნდესლიგა. XXXI ტურის შეჯამება

# ჰამბურგი პანიკაშია!

## ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის ბრძოლაც გადამწყვეტ ფაზაში შედის

### სიმბოლური ნაკრები




**თითქმის** გადაწყვეტილია, რომ ვიცე-ჩემპიონი დორტმუნდის „ბორუსია“ გახდება, „შალკე“ კი, სავარაუდოდ, მესამე ადგილს უნდა დასჯერდეს. რაკი გერმანიის თასის ფინალში მიუნხენელები და დორტმუნდელები გავიდნენ, ევროპალიგაში მე-7 ადგილზე გასული გუნდიც გადის და ეს უკანასკნელი ალბათ „მაინცი“ იქნება. ამრიგად, 31-ე ტურის შემდეგ ბუნდესლიგაში მხოლოდ ორად ორი კითხვაა მეტისმეტად აქტუალური: ვინ იქნება ის მეოთხე გუნდი, რომელიც „ბაიერნთან“, „დორტმუნდთან“ და „შალკესთან“ ერთად ჩემპიონთა ლიგის საგზურს მოიპოვებს და რომელი გუნდები გავარდებიან მეორე ბუნდესლიგაში.

### ლევერკუზენი, ვოლფსბურგი თუ გლადბახი?

„ლევერკუზენმა“ ნიურნბერგში 4:1 მოიგო, მეტოქე მაგრად გაამწარა და მეოთხე ადგილი შეინარჩუნა. თუმცა მოიგო „ვოლფსბურგმაც“ (3:1 ჰამბურგში) და „მგლები“ „ფარმაცევტებს“ ფეხდაფეხ მისდევენ. 31 ტურის შემდეგ „ვოლფსბურგი“ „ლევერკუზენს“ მხოლოდ ერთი ქულით ჩამორჩება და ცხადია, რომ დარჩენილ სამ ტურში მეოთხე ადგილისთვის ბრძოლა სწორედ ამ ორ გუნდს შორის გაიმართება.



### ტურის გმირი

**ადმირ მეჰმედი (ფრაიბურგი)**

„ფრაიბურგმა“ მიონხენგლადბახის „ბორუსიას“ მეორე ტაიმში თამაში შეუტრიალა, 0:1-დან 4:2 გამოაცხო და ამ მოგებით პირველ ბუნდესლიგაში ადგილის შენარჩუნებისკენ უდიდესი ნაბიჯი გადადგა. მეტიც: „ფრაი“ მე-16 ადგილზე მყოფ „ჰამბურგს“ 8 ქულით უსწრებს, სეზონის ფინიშამდე კი 3 ტურილაა დარჩენილი, რაც იმას ნიშნავს, რომ „ფრაიბურგი“, ფაქტობრივად, გადარჩენილია. უშუალოდ „გლადბახთან“ გამარჯვებაში უდიდესი წვლილი „ფრაის“ 23 წლის შვეიცარიელ თავდამსხმელ ადმირ მეჰმედის მიუძღვის, რომელმაც გარდა იმისა, რომ დუბლი შეასრულა (მე-10 და მე-11 გოლები ამ სეზონში), ორთაბრძოლების 66 პროცენტი მოიგო და მოედანზე ყველაზე ეფექტური მოთამაშე გახლდათ.

თუმცა არც „გლადბახი“ უნდა დაგვავიწყდეს, რომელიც ამ ტურში დამარცხდა (2:4 ფრაიბურგში), მაგრამ „ლევერკუზენს“ 5 ქულით ჩამორჩება და თეორიულად ჯერ კიდევ აქვს იმის შანსი, რომ მეოთხე ადგილს შესწვდეს. თანაც, მიონხენგლადბახელებს ბურთების მშვენიერი შეფარდება (+15) აქვთ და თანაბარი ქულების შემთხვევაშიც ექნებათ შანსი.

ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრის შანსი სპორტულ წარმატებასთან ერთად ძალიან ბევრ ფულსაც ნიშნავს და ცხადია, რომ დარჩენილ ტურებში ეს სამეული ყველაფერს გააკეთებს მიზნის მისაღწევად. ვინც ოთხეულში ვერ შევა, ავტომატურად ევროპალიგაზე მოხვდება. ამასთან, უკვე ცნობილია, რომ ევროპალიგაში მე-7 ადგილზე გასული გუნდიც ხვდება და ამ პოზიციისთვის „მაინცს“ მხოლოდ „აუგსბურგი“ თუ შეებრძოლება - მათ შორის სხვაობა მხოლოდ 4 ქულაა, სეზონის დასრულებამდე კი თეორიულად 9-ქულიანი ჩამორჩენის აღმოფხვრაც შესაძლებელია.

### ჰამბურგში ემოციებმა იფეთქა

გაცილებით მძაფრი და დაძაბულია გადარჩენისთვის ბრძოლა, სადაც „ბრაუნშვაიგსა“ და „ნიურნბერგს“ ხასიათი მაგრად წაუხდათ. თუმცა მე-16, ანუ სარელეგაციო ადგილზე მყოფ „ჰამბურგს“ „ნიურნბერგი“ მხოლოდ 1 ქულით ჩამორჩება, „ბრაუნშვაიგი“ კი - ორით. ამრიგად, გადარჩენის შანსი არც ერთს არ დაუკარგავს. „ჰამბურგი“ კი, გუნდი, რომელიც ბუნდესლიგის დაარსების შემდეგ (1963) ყოველთვის ელიტაში თამაშობდა, შეიძლება ითქვას, რომ პანიკაშია. შიში სწორედ პანიკით შეიცვალა!

„ვოლფსბურგთან“ საკუთარ მოედანზე წაგების (1:3, მეოთხე მარცხი ბოლო 6 მატჩში) შემდეგ, ჩრდილოგერმანული კლუბის ფანებმა სტადიონზე და სტადიონის მისადგომებთან დიდი ამბები ატეხეს. განრისხებულმა გულშემატკივრებმა მოაჯირები დალეწეს და ფეხბურთელებისკენ მიიწევდნენ. მათი დაშოშმინება ასობით პოლიციელმა მოახერხა.

„ჰამბურგი“ მომდევნო ტურში „აუგსბურგს“ სტუმრობს და უკვე გადაწყდა, რომ **მირკო სლომკა** გუნდს აუგსბურგში თამაშამდე ორი დღით ადრე ჩაიყვანს. „ჰამბურგის“ ახალგაზრდა ვარსკვლავი **ჰაქან ჩალჰანოღლუ** ამბობს, ახლა მხოლოდ ლოცვა თუ გვიშველისო.

ჰამბურგელები ყველანაირად თადარიგს იჭერენ. კვირას სლომკას თანაშემწე **ნესტორ ელ-მაესტრო** პადერბორნში ჩავიდა და „პადერბორნისა“ და „ფიურტის“ მატჩს (2:2) დაესწრო. როგორც ხვდებით, მან რელეგაციაზე შესაძლო მეტოქეები დაზვერა - თუ „ჰამბურგი“ მე-16 ადგილზე გავა, დიდი შანსია, რომ 15 და 18 მაისს რელეგაციაზე სწორედ „პადერბორნს“ ან „ფიურტს“ შეხვდეს. ცნობისათვის, „ჰამბურგის“ მატჩებს „პადერბორნის“ წარმომადგენლები გაცილებით დიდი ხანია, ესწრებიან.



ჰამბურგელები, ოლა ჯონი და ჰაიკო ვესტერმანი საგონებელში არიან

### საუკეთესო ფეხბურთელები

„კიკერის“ შეფასებების მიხედვით

| ფეხბურთელი | კლუბი | თამაში | საშუალო შეფასება |
|---|---|---|---|
| 1. არიენ რობენი | ბაიერნი | 25 | 2.38 |
| 2. ფრანკ რიბერი | ბაიერნი | 21 | 2.38 |
| 3. რალფ ფერმანი | შალკე | 19 | 2.50 |
| 4. მარკო როისი | დორტმუნდი | 27 | 2.52 |
| 5. ბერნდ ლენო | ლევერკუზენი | 31 | 2.62 |
| 6. რაფაელ შეფერი | ნიურნბერგი | 31 | 2.68 |
| 7. მანუელ ნოიერი | ბაიერნი | 28 | 2.71 |
| 8. ფილიპ ლამი | ბაიერნი | 26 | 2.79 |
| 9. მ.-ა. ტერ შტეგენი | გლადბახი | 31 | 2.80 |
| 10. ტონი კროოსი | ბაიერნი | 27 | 2.81 |

გოლს პლუს პასის რეიტინგი

| ფეხბურთელი | კლუბი | თამაში | გოლი | პასი | ქულა |
|---|---|---|---|---|---|
| 1. რობერტ ლევანდოვსკი | დორტმუნდი | 30 | 18 | 11 | 29 |
| 2. მარკო როისი | დორტმუნდი | 27 | 15 | 12 | 27 |
| 3. რობერტო ფირმინო | ჰოფენჰაიმი | 30 | 14 | 11 | 25 |
| 4. მარიო მანჯუკიჩი | ბაიერნი | 29 | 18 | 6 | 24 |
| 5. ადრიან რამოსი | ჰერტა | 29 | 16 | 7 | 23 |
| 6. მაქს კრუზე | გლადბახი | 31 | 11 | 11 | 22 |
| 7. თომას მიულერი | ბაიერნი | 26 | 12 | 9 | 21 |
| 8. ფრანკ რიბერი | ბაიერნი | 21 | 9 | 12 | 21 |
| 9. რაფაელი | გლადბახი | 31 | 14 | 6 | 20 |
| 10. იოზიპ დრმიჩი | ნიურნბერგი | 30 | 16 | 3 | 19 |

### აინტრახტი–ჰანოვერი 2:3

**გოლები:** 0:1 ანდრეასენი (2), 1:1 ლანიგი (13), 1:2 შტინდლი (20), 1:3 ია კონანი (29), 2:3 ა. მაიერი (68)

**აინტრახტი (4-1-2-1-2):** ტრაპი - ს. იუნგი, სამბრანო, მადლუნგი, ჯაპკა - რუსი - ლანიგი, შვეგლერი (32. ა. მაიერი) - ბარნეტა (54. კადლეცი) - აიგნერი, ხოსელუ.

**ჰანოვერი (4-2-3-1):** ცილერი - ჰ. საკაი, მარსელო, კ. შულცი, პანდერი - შმიდებახი, ანდრეასენი - ბიტენკური (46. პრიბი), შტინდლი, ჰუსტი (88. შლაუდრაფი) - ია კონანი (82. რუდნევსი).

**გაფრთხილება:** აიგნერი, სამბრანო, მადლუნგი, ს. იუნგი - ბიტენკური, პრიბი, ანდრეასენი, ცილერი

**კუთხური:** 3-4; **ჯარიმა:** 24-22; **თამაშგარე:** 4-3; **კარში დარტყმა:** 14(6)-16(7); **ბურთის ფლობა:** 56%-44%.

**მაყურებელი:** 48 100

### დორტმუნდი–მაინცი 4:2

**გოლები:** 1:0 იოიჩი (6), 1:1 ოკაზაკი (14), 2:1 ლევანდოვსკი (18), 2:2 ოკაზაკი (53), 3:2 პიშჩეკი (56), 4:2 როისი (79-პენ)

**დორტმუნდი (4-2-3-1):** ლანგერაკი - პიშჩეკი, სოკრატისი, ჰუმელსი, დურმი - კირხი, ნ. შაჰინი - იოიჩი (81. ი. ჰოფმანი), როისი (84. ობამეიანგი), მხითარიანი (80. გროსკროიტცი) - ლევანდოვსკი.

**მაინცი (4-1-4-1):** კარიუსი - ბელი (46. შ. პარკერი), ბუნგერტი, ნოვესკი, ჟუნიორ დიასი - გაისი - პოსპეხი, მორიტცი (46. სალერი), მალი (76. კოო), ჩუპო-მოტინგი - ოკაზაკი.

**გაფრთხილება:** იოიჩი - ოკაზაკი

**გაძევება:** ბუნგერტი (78. მაინცი)

**კუთხური:** 12-2; **ჯარიმა:** 9-19; **თამაშგარე:** 4-4; **კარში დარტყმა:** 30(11)-9(2); **ბურთის ფლობა:** 51%-49%.

**მაყურებელი:** 80 500

### ვერდერი–ჰოფენჰაიმი 3:1

**გოლები:** 0:1 ფოლანდი (3), 1:1 ბარგფრედე (18), 2:1 გარსია (78), 3:1 პეტერსენი (92)

**ვერდერი (4-1-2-1-2):** ვოლფი - ფრიტცი (64. იგნიოვსკი), პრიოდლი, კალდიროლა, გარსია - ბარგფრედე - გებრე სელასიე, მაკიადი - ჰანტი (91. პეტერსენი) - ელია (87. ლუკიმია), დი სანტო.

**ჰოფენჰაიმი (4-2-3-1):** გრალი - ფ. ჯონსონი, შტრობლი (46. ზიულე), ვესტერგაარდი, ტოლიანი - რუდი (82. მოდესტე), პოლანსკი - ელიუნუსი (61. ჰამადი), რობერტო ფირმინო, სალიჰოვიჩი - ფოლანდი.

86-ე წუთზე სალიჰოვიჩმა (ჰოფენჰაიმი) ვერ გაიტანა პენალტი (მეკარე)

**გაფრთხილება:** გარსია - რუდი, ელიუნუსი, გრალი

**კუთხური:** 8-6; **ჯარიმა:** 11-24; **თამაშგარე:** 1-3; **კარში დარტყმა:** 12(7)-14(3); **ბურთის ფლობა:** 49%-51%.

**მაყურებელი:** 40 100.

### ფრაიბურგი–გლადბახი 4:2

**გოლები:** 0:1 ჰერმანი (9), 1:1 მეჰმედი (51), 2:1 ზორგი (71), 3:1 დარიდა (72), 4:1 მეჰმედი (87), 4:2 ნორდტვეიტი (89)

**ფრაიბურგი (4-2-2-2):** ბაუმანი - ზორგი, ჰიონი (59. ჰიოფლერი), გინტერი, კ. გიუნტერი - შუსტერი, დარიდა - კლაუსი (87. კერკი), შმიდი - გუედე, მეჰმედი (90. შრამლი).

**გლადბახი (4-2-2-1-1):** ტერ შტეგენი - იანჩკე, ბრუვერსი, ალვარო დომინგესი, დემსი - ნორდტვეიტი, ჯაკა - ჰერმანი (75. კრამერი), არანგო (84. ჰრგოტა) - რაფაელი - კრუზე.

65-ე წუთზე დემსმა (გლადბახი) ვერ გაიტანა პენალტი (მეკარე)

**გაფრთხილება:** კლაუსი, ზორგი - კრუზე

**გაძევება:** ჯაკა (69. გლადბახი)

**კუთხური:** 5-5; **ჯარიმა:** 8-9; **თამაშგარე:** 1-2; **კარში დარტყმა:** 15(7)-14(5); **ბურთის ფლობა:** 50%-50%.

**მაყურებელი:** 24 000

### აუგსბურგი–ჰერტა 0:0

**აუგსბურგი (4-2-3-1):** ჰიტცი - ვერჰეგი, ჰონგი, კლავანი, ოსტრცოლეკი - კალსენ-ბრაკერი, ბაიერი - ესვაინი, ჰალილ ალთინთოფი (78. ჟი), ტო. ვერნერი (57. ჰანი) - მიოლდერსი (72. ბობადილია).

**ჰერტა (4-1-4-1):** კრაფტი - პეკარიკი, ს. ლანგკამპი, ბრუკსი, ვან დერ ბერგი - ჰოსოგაი - მ. ნდიენგი (75. ნიმაიერი), სკიელბრედი (92. ბაუმიოჰანი), ჩიგერჩი, ალაგუი (68. ნ. შულცი) - ვაგნერი.

**გაფრთხილება:** ოსტრცოლეკი - ალაგუი, ს. ლანგკამპი, ნიმაიერი

**კუთხური:** 3-4; **ჯარიმა:** 17-16; **თამაშგარე:** 2-3; **კარში დარტყმა:** 10(0)-13(4); **ბურთის ფლობა:** 59%-41%.

**მაყურებელი:** 30 059

### ბრაუნშვაიგი–ბაიერნი 0:2

**გოლები:** 0:1 პისარო (75), 0:2 მანჯუკიჩი (86)

**ბრაუნშვაიგი (4-1-2-2-1):** დავარი - ელაბდელაუი, ჰენი, დოგანი რაიხელი - თოიერკაუფი - კრატცი (73. პფიტცნერი), ბოლანდი - კრუპკე (84. ადემი), ჰოხშაიდტი (72. მ. კალიჯური) - ნილსენი.

**ბაიერნი (4-2-3-1):** რედერი - ლამი (87. ვაიზერი), ხავი მარტინესი, დანტე, ჟ. ბოატენგი - ჰოიბერგი, შვაინშტაიგერი - რობენი (73. მანჯუკიჩი), გიოტცე, რიბერი (73. თ. მიულერი) - პისარო.

**გაფრთხილება:** ჰოხშაიდტი, ჰენი - შვაინშტაიგერი

**კუთხური:** 2-3; **ჯარიმა:** 19-16; **თამაშგარე:** 7-3; **კარში დარტყმა:** 7(1)-12(3); **ბურთის ფლობა:** 33%-67%.

**მაყურებელი:** 23 325

### ჰამბურგი–ვოლფსბურგი 1:3

**გოლები:** 0:1 პერიშიჩი (2), 0:2 დე ბრუინი (42), 0:3 ოლიჩი (49), 1:3 ილიჩევიჩი (58)

**ჰამბურგი (4-2-2-1-1):** ადლერი - დიკმაიერი, ვესტერმანი, მანსიენი, ირაჩეკი - ტეშე, რინკონი (73. დემირბაი) - არსლანი (56. ოლა ჯონი), ილიჩევიჩი (86. მაჯო) - ჩალჰანოღლუ - ზუა.

**ვოლფსბურგი (4-2-3-1):** გრიუნი - ტრეში, ნალდო, კნოხე, როდრიგესი - ლუის გუსტავო, პოლაკი (86. მედოიევიჩი) - დე ბრუინი, არნოლდი (76. ვიეირინია), პერიშიჩი - ოლიჩი (83. მ. შეფერი).

**გაფრთხილება:** ტეშე

**გაძევება:** ლუის გუსტავო (90. ვოლფსბურგი)

**კუთხური:** 4-7; **ჯარიმა:** 18-16; **თამაშგარე:** 4-2; **კარში დარტყმა:** 14(3)-16(7); **ბურთის ფლობა:** 51%-49%.

**მაყურებელი:** 56 279

### ნიურნბერგი–ლევერკუზენი 1:4

**გოლები:** 0:1 სპაჰიჩი (16), 1:1 პლატენჰარდტი (26), 1:2 ბიონიში (48), 1:3 სპაჰიჩი (80), 1:4 ჰილბერტი (87)

**ნიურნბერგი (4-2-3-1):** რ. შეფერი - ანგა, შტარკი, პოგატეცი, პინოლა - ბალიჩი, ფრანტცი - კიოტაკე (68. ჩოლაქი), კამპანა, პლატენჰარდტი - დრმიჩი.

**ლევერკუზენი (4-2-3-1):** ლენო - დონატი, თოფრაქი, სპაჰიჩი, ბიონიში - ლ. ბენდერი, ჩანი - ბრანდტი (70. ჰილბერტი), კასტრო (70. როლფესი), სონი - კისლინგი (90. დერდიოკი).

**გაფრთხილება:** პლატენჰარდტი - დონატი

**კუთხური:** 3-8; **ჯარიმა:** 15-14; **თამაშგარე:** 2-2; **კარში დარტყმა:** 9(6)-15(7); **ბურთის ფლობა:** 47%-53%.

**მაყურებელი:** 37 000

### შტუტგარტი–შალკე 3:1

**გოლები:** 1:0 ჰარნიკი (23), 2:0 კაკაუ (54), 3:0 ჰარნიკი (59), 3:1 სალაი (69)

**შტუტგარტი (4-2-3-1):** ულრაიხი - შვააბი, რიუდიგერი, ნიდერმაიერი, გ. საკაი - გრუესო (73. რაუში), გენტნერი - ტრაორე, დიდავი (77. მაქსიმი), ჰარნიკი - კაკაუ (89. ჰაგი).

**შალკე (4-2-3-1):** ფერმანი - ჰუგლანდი, აიჰანი, მატიპი, კოლაშინაცი (88. ფელიპე სანტანა) - კ. ბოატენგი, ნოიშტედტერი - გორეტცკა, მ. მაიერი (77. სანე), ობასი (56. სალაი) - ჰუნტელაარი.

**გაფრთხილება:** კაკაუ, გრუესო - კოლაშინაცი, კ. ბოატენგი, მატიპი

**კუთხური:** 2-3; **ჯარიმა:** 23-13; **თამაშგარე:** 0-3; **კარში დარტყმა:** 12(4)-14(3); **ბურთის ფლობა:** 40%-60%.

**მაყურებელი:** 60 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაიერნი | 31 | 26 | 3 | 2 | 84-20 | 81 |
| 2. დორტმუნდი | 31 | 20 | 4 | 7 | 71-34 | 64 |
| 3. შალკე | 31 | 17 | 7 | 7 | 57-41 | 58 |
| 4. ლევერკუზენი | 31 | 17 | 3 | 11 | 54-38 | 54 |
| 5. ვოლფსბურგი | 31 | 16 | 5 | 10 | 56-46 | 53 |
| 6. გლადბახი | 31 | 14 | 7 | 10 | 54-39 | 49 |
| 7. მაინცი | 31 | 14 | 5 | 12 | 46-49 | 47 |
| 8. აუგსბურგი | 31 | 12 | 7 | 12 | 41-45 | 43 |
| 9. ჰოფენჰაიმი | 31 | 10 | 10 | 11 | 67-66 | 40 |
| 10. ჰერტა | 31 | 10 | 8 | 13 | 38-42 | 38 |
| 11. ვერდერი | 31 | 9 | 9 | 13 | 37-59 | 36 |
| 12. აინტრახტი | 31 | 9 | 8 | 14 | 39-53 | 35 |
| 13. ფრაიბურგი | 31 | 9 | 8 | 14 | 39-54 | 35 |
| 14. ჰანოვერი | 31 | 10 | 5 | 16 | 41-57 | 35 |
| 15. შტუტგარტი | 31 | 8 | 7 | 16 | 48-59 | 31 |
| 16. ჰამბურგი | 31 | 7 | 6 | 18 | 47-65 | 27 |
| 17. ნიურნბერგი | 31 | 5 | 11 | 15 | 36-62 | 26 |
| 18. ბრაუნშვაიგი | 31 | 6 | 7 | 18 | 28-54 | 25 |

**ბომბარდირები:** 18 - რობერტ ლევანდოვსკი (დორტმუნდი), მარიო მანჯუკიჩი (ბაიერნი); 16 - იოზიპ დრმიჩი (ნიურნბერგი), ადრიან რამოსი (ჰერტა); 15 - შტეფან კისლინგი (ლევერკუზენი), მარკო როისი (დორტმუნდი); 14 - რაფაელი (გლადბახი), რობერტო ფირმინო (ჰოფენჰაიმი).

### მომდევნო ტური

25 აპრილი: **ჰანოვერი-შტუტგარტი**

26 აპრილი: **ბაიერნი-ვერდერი, ვოლფსბურგი-ფრაიბურგი, ჰოფენჰაიმი-აინტრახტი, მაინცი-ნიურნბერგი, ჰერტა-ბრაუნშვაიგი, ლევერკუზენი-დორტმუნდი**

27 აპრილი: **აუგსბურგი-ჰამბურგი, შალკე-გლადბახი**

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

● იტალია. სერია A. XXXIV ტურის შეჯამება




# სეზონის ფინიშზე

## რომამ მეორე გაინაღდა

**სერია A-ს მიმდინარე გათამაშების დასრულებამდე ოთხი ტურია დარჩენილი, რაც იმას ნიშნავს, რომ სეზონის ფინიში კარს მოგვადგა. თავს ნუ მოვიტყუებთ და ვაღიაროთ, რომ სასკუდეტო ინტრიგა მკვდარია, გასულ უქმეებზე კი მეორე ადგილის ბედიც საბოლოოდ გადაწყდა. სამაგიეროდ, ევროპალიგის საგზურებისთვის და ელიტაში ადგილის შესანარჩუნებლად დიდი ბრძოლაა გაჩაღებული...**

### ერთი ფეხის ნაბიჯზე

„იუვენტუსმა" „ბოლონიას" **პოლ პოგბას** გოლით მოუგო, მატჩის შემდეგ კი **ანტონიო კონტემ** ისეთი ფიესტა გამართა, იფიქრებდით, ეს-ესაა მისმა გუნდმა სკუდეტო მოიგოო. თუმცა, რაღა დარჩა - სინიორ კონტეს კარგად ესმის, რომ მორიგმა მოგებამ მისი გუნდი კიდევ უფრო მიუახლოვა საჩემპიონო ტიტულს. ეჭვი არავის ეპარება, რომ დარჩენილ ოთხ ტურში „ვეკია სენიორა" მინიმუმ ოთხ ქულას მოიპოვებს და ყველაფერი დასრულდება. თანაც, ერთადერთ მდევარ „რომას" მეტად რთული კალენდარი აქვს, მარტო „მილანთან" ჭიდილი რად ღირს მომდევნო უქმეებზე.

რაც შეეხება „იუვე"-"ბოლონიას" პაექრობას, ანტონიო კონტეს შეგირდებმა მეტოქე ყველა კომპონენტში დაჯაბნეს, მაგრამ მხოლოდ ერთ გოლს გამორჩნენ. როგორც აღვნიშნეთ, თავი პოლ პოგბამ გამოიჩინა, რომელიც მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი იყო, ყველაზე აქტიური გახლდათ და მინიმუმ ჰეთთრიკის შესრულება შეეძლო.

ნამატჩევს, პოგბას ტურინიდან შესაძლო აბარგებაზე ჩამოუგდეს სიტყვა, მაგრამ ფრანგმა დიპლომატიური პასუხი გასცა - სეზონის ფინიშია, წინ უმნიშვნელოვანესი ბატალიებია და რა დროს ტრანსფერებიაო. ახალგაზრდა ფრანგი ნახევარმცველის თქმით, ჯერჯერობით მხოლოდ სკუდეტოს და ევროპალიგის მოგებაზეა კონცენტრირებული.

### რომამ მეორე ადგილი გაინაღდა

ტურის ცენტრალურ პაექრობაში „რომამ" „ფიორენტინა" დაამარცხა და მეორე ადგილი დაიბევა. დიახ, **რუდი გარსიას** გუნდი „ნაპოლის" 14 ქულის დისტანციაზე გაექცა, ამ ფორის აღმოფხვრა კი ოთხ ტურში შეუძლებელია. ქებათა ქება „ჯალოროსის", რომელიც ბრწყინვალე სეზონს ატარებს და რომ არა შეუჩერებელი „იუვე", სკუდეტოს მოპოვების უმთავრესი პრეტენდენტი იქნებოდა. გახსოვთ, ალბათ, გარსიას გუნდმა მიჯრით 10 სასტარტო შეხვედრა მოიგო, ამჯერად კი 8-მატჩიან მოგებათა ნიშნულს მიაღწია. მოკლედ, გარსიას სასტარტო რომაული სეზონი აქტივში უნდა ჩავუწეროთ, დანარჩენს კი დრო გვიჩვენებს. თუმცა, თავად მწვრთნელი იხტიბარს არ იტეხს და ისევ სკუდეტოზე საუბრობს:

*„ურთულესი მატჩი იყო, რომელშიც საბედნიეროდ ჩვენ გავიმარჯვეთ. სწორედ ასეთ პაექრობებში წარმატება გვმატებს თვითრწმენას და გვძენს გამარჯვებულის მენტალიტეტს. ჯერ კიდევ ვინარჩუნებთ სკუდეტოს მოპოვების შანსს და მიზნის მისაღწევად ყველაფერს გავაკეთებთ. თუმცა, კარგად მესმის, რომ შანსი მცირეა და ყველაფერი „იუვენტუსზეა" დამოკიდებული".*

### სპალეტი ფლორენციაში

„ფიორენტინა"-"რომას" მატჩს **ლუჩანო სპალეტი** დაესწრო, რომელსაც მომდევნო სეზონიდან სერია A-ში დაბრუნებას უწინასწარმეტყველებენ. იტალიელ ჟურნალისტთა ვარაუდით, ლუჩანოს კანდიდატურას „მილანის", „ფიორენტინას" და „ინტერის" მესვეურები განიხილავენ. სპალეტის მომავალი ლონდონის „ტოტენჰემსაც" დაუკავშირეს, მაგრამ უფრო რეალური მაინც მისი იტალიაში დარჩენა ჩანს.

„ფიორენტინას" **ვინჩენცო მონტელა** უდგას სათავეში და მისით კლუბის მესვეურები კმაყოფილნი არიან, მაგრამ გავრცელებული ხმების თანახმად, ვინჩენცოს გადაბირებას „მილანი" ცდილობენ და თუ საწადელს მიაღწია, ტოსკანელებს მისი შემცვლელის შერჩევა მოუწევთ. სპალეტის „არტემიო ფრანკიზე" გამოჩენამ ეს ეჭვები კიდევ უფრო გააძლიერა.

თუ მონტელა დარჩა ფლორენციაში, მაშინ სპალეტის „მილანში" დანიშვნის მეტი შანსი ექნება. ცალკე თემაა „ინტერი", რომლის ახალი მეპატრონეც ასევე ფიქრობს მწვრთნელის გამოცვლას. მილანური გრანდები ევროპალიგის საგზურისთვის იბრძვიან და ბევრი რამე სეზონის საბოლოო შედეგზე იქნება დამოკიდებული. ვნახოთ, როგორ დასრულდება სერია A-ს მიმდინარე გათამაშება და სად აღმოჩნდება ცნობილი იტალიელი ტაქტიკოსი...

### ომი ევროპალიგისთვის

დიდი ბრძოლაა გაჩაღებული ევროპალიგის საგზურებისთვის და განვლილმა ტურმა კონკურენცია კიდევ უფრო გაამძაფრა. „ფიორენტინას" ერთი საგზური თასის ფინალში გასვლით აქვს დაბევებული და ევროპის რანგით მეორე საკლუბო ტურნირზე მხოლოდ იმ შემთხვევაში არ იასპარეზებს, თუ ჩემპიონატში „ნაპოლი" ჩამოიტოვა და ჩემპიონთა ლიგაზე გავიდა.

გასულ ტურში, „ინტერმა" უშუალო კონკურენტი „პარმა" დაამარცხა, წინ გაიჭრა და თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, ასევე დაეუფლება ევროპალიგის საგზურს. აი, დარჩენილი ერთი საგზურისთვის კი დიდი ომი გველოდება... გამსვლელ მე-6 ადგილზე ამჟამად „პარმაა", მაგრამ მას „მილანი" დააჯდა კუდზე - ლომბარდიელებს ემილიელთა მსგავსად 51 ქულა აქვთ, 49 ქულით კი იქვე ახლოს კიდევ სამი გუნდია: „ტორინო", „ლაციო" და „ვერონა". ერთი შეხედვით, ფავორიტად „მილანი" მოსჩანს, მაგრამ მთლად ასე მარტივად არ უნდა იყოს საქმე - ჩამოთვლილთაგან ყველაზე რთული კალენდარი სწორედ **კლარენს ზეედორფის** გუნდს აქვს - ბოლო ოთხი თამაშიდან ლომბარდიელებს ორი ურთულესი ჯახი ელით: „სტადიო ოლიმპიკოზე" „რომასთან" და მილანური დერბი.

### გასავარდნი ზონა

როგორც იქნა, „კატანიამ" მოიგო და ელიტაში ადგილის შენარჩუნების შანსი შეინარჩუნა. თუმცა, სიცილიელებს კვლავაც ურთულესი მდგომარეობა აქვთ და გავარდნის უმთავრეს პრეტენდენტებად რჩებიან. სიცილიელების გზას „კომუნისტები" მიყვებიან - „ლივორნო" „მილანთან" განადგურდა და დიდი ნაბიჯი გადადგა დაქვეითებისკენ. მატჩის შემდეგ, კლუბის მესვეურებმა მთავარი მწვრთნელის პოსტიდან **დომენიკო დი კარლო** გაათავისუფლეს და მის ადგილას **დავიდე ნიკოლა** დანიშნეს. ვნახოთ, რამდენად გაამართლებს ეს ცვლილება.

მოკლედ, „კატანია" და „ლივორნო" აუტსაიდერებად მოსჩანან, გავარდნის მესამე კანდიდატი კი ამ სამეულიდან უნდა გამოვლინდეს: „კიევო", „სასუოლო", „ბოლონია".

#### მილანი-ლივორნო 3:0

**გოლები:** 1:0 ბალოტელი (43), 2:0 ტაარაბტი (51), 3:0 პაცინი (83).

**მილანი (4-2-3-1):** აბიატი - აბატე, მექსე, რამი, კონსტანტი - დე იონგი (66. მუნტარი), მონტოლივო - რობინიო (82. საპონარა), კაკა (75. პაცინი), ტაარაბტი - ბალოტელი.

**ლივორნო (3-5-2):** ბარდი - ვალენტინი, რინაუდო, კასტელინი - პიჩინი, ბენასი (82. ბელფოდილი), დუნკანი, გრეკო, მესბა (57. სილიგარდი) - ემეგარა (73. მოსკერა), პაულინიო.

**გაფრთხილება:** რამი, აბატე, დე იონგი - რინაუდო, დუნკანი.

**კუთხური:** 8-6; **ჯარიმა:** 17-12; **თამაშგარე:** 0-1; **კარში დარტყმა:** 10-7 (5-1); **ბურთის ფლობა:** 62%-38%.

**მაყურებელი:** 40 000

#### ატალანტა-ვერონა 1:2

**გოლები:** 0:1 დონატი (53), 0:2 ტონი (72), 1:2 დენისი (87).

**ატალანტა (4-4-1-1):** კონსილი - ბენალუანი, ნიკა (56. ესტიგარიბია), იეპესი, ბრივიო - რაიმონდი, ბაზელი (63. ჩიგარინი), კარმონა, ბონავენტურა - ლივაია (52. მორალესი) - დენისი.

**ვერონა (4-3-3):** რაფაელი - პილუდი, მარკესი, მორასი, ალბერტაცი - ჩირილიანო, დონატი (68. დონსა), ალფრედსონი - იტურბე (75. აგოსტინი), მარკინიო (63. თალები), ტონი.

**გაფრთხილება:** იეპესი, ბენალუანი, კარმონა, ლივაია - ჩირილიანო, დონსა.

**კუთხური:** 1-5; **ჯარიმა:** 17-13; **თამაშგარე:** 2-0; **კარში დარტყმა:** 10-15 (5-5); **ბურთის ფლობა:** 51%-49%.

**მაყურებელი:** 15 000

#### კატანია-სამპდორია 2:1

**გოლები:** 1:0 ლეტო (45), 1:1 ოკაკა (61), 2:1 ბერგესიო (63).

**კატანია (4-3-3):** ფრიზონი - პერუცი (73. ლეგროტალიე), სპოლი, გომბერი, მონძონი - პლაშილი, ლოდი, ისკო - ბერგესიო, ლეტო (58. კასტრო), ბარიენტოსი (82. ფედატო).

**სამპდორია (4-3-3):** ფიორილო - ფორნაზიერი, მუსტაფი, რეჯინი, კოსტა - ბარნასონი (77. მაქსი ლოპესი), სალამონი (66. კრსტიჩიჩი), რენანი - ვსზოლეკი (86. როდრიგესი), სანსონე, ოკაკა.

**გაფრთხილება:** სპოლი, ბერგესიო - კოსტა, მუსტაფი.

**კუთხური:** 5-3; **ჯარიმა:** 12-23; **თამაშგარე:** 1-3; **კარში დარტყმა:** 16-4 (9-1); **ბურთის ფლობა:** 50%-50%.

**მაყურებელი:** 14 000

#### კიევო-სასუოლო 0:1

**გოლი:** 0:1 ბერარდი (40).

**კიევო (4-4-2):** აგაცი - ფრეი, დაინელი, ცეზარი, სარდო - რადოვანოვიჩი (74. სტოიანი), ჰეტემაი, გუანა (58. ლაზარევიჩი), რიგონი - თერეუ, პალოსკი (82. პელისიერი).


„რომამ" „ფიორენტინას" რაჯა ნაინგოლანის გოლით მოუგო

**სასუოლო (4-3-3):** პეგოლო - გაცოლა, ანტეი, კანავარო, ლონგი - მანიანელი, ბიონდინი, მისიროლი - ძაძა (84. ფლოკარი), ბერარდი (72. როზი), ფლორო ფლორესი (64. ციგლერი).

**გაფრთხილება:** ცეზარი, დაინელი, გუანა, ჰეტემაი - გაცოლა, ბიონდინი, მისიროლი, ბერარდი.

**კუთხური:** 5-4; **ჯარიმა:** 21-25; **თამაშგარე:** 5-1; **კარში დარტყმა:** 8-10 (5-4); **ბურთის ფლობა:** 52%-48%.

**მაყურებელი:** 10 000

#### ჯენოა-კალიარი 1:2

**გოლები:** 1:0 დე მაიო (3), 1:1 საუ (37), 1:2 იბარბო (82).

**ჯენოა (3-4-3):** პერინი - ბურდისო, დე მაიო, მარკეზე - მოტა, ბერტოლაჩი (81. დე ჩელიე), სტურარო ანტონელი - სკული (66. ფეტფატციდისი), კონატე (56. კოფიე), ჯილარდინო.

**კალიარი (4-3-3):** ავრამოვი - პიზანო (50. პერიკო), როსეტინი, ასტორი, აველარი - კონტი, ერიკსონი, დესენა - იბრაიმი, საუ (84. ნენე), იბარბო.

**გაფრთხილება:** დე მაიო, სტურარო - ავრამოვი, აველარი, იბარბო, პერიკო.

**კუთხური:** 7-3; **ჯარიმა:** 11-17; **თამაშგარე:** 3-0; **კარში დარტყმა:** 9-6 (4-2); **ბურთის ფლობა:** 50%-50%.

**მაყურებელი:** 20 000

#### ლაციო-ტორინო 3:3

**გოლები:** 1:0 მაური (42), 1:1 კურტიჩი (52), 2:1 კანდრევა (61-პენ.), 2:2 პანაიოტისი (67), 2:3 იმობილე (89), 3:3 კანდრევა (90).

**ლაციო (4-3-3):** ბერიშა - კავანდა (71. პოშტიგა), ბიავა, ნოვარეტი, რადუ - ბილია, ლედესმა, ლულიჩი - მაური (71. ანდერსონი), კანდრევა, კეიტა (84. პერეირინია).

**ტორინო (3-5-2):** პადელი - ბოვო, გლიკი, მორეტი - მაქსიმოვიჩი, კურტიჩი (65. პანაიოტისი), დარმიანი, ვივესი, ელ ქადური (90. გაცი) - მეჯორინი (80. ბარეტო), იმობილე.

**გაფრთხილება:** რადუ, ლულიჩი - ბოვო, გლიკი, ვივესი.

**გაძევება:** ნოვარეტი (79. ლაციო).

**კუთხური:** 4-7; **ჯარიმა:** 16-9; **თამაშგარე:** 0-2; **კარში დარტყმა:** 7-13 (3-7); **ბურთის ფლობა:** 51%-49%.

**მაყურებელი:** 32 000

#### პარმა-ინტერი 0:2

**გოლები:** 0:1 როლანდო (48), 0:2 გუარინი (89).

**პარმა (4-3-3):** მირანტე - კასანი, ლუკარელი, პალეტა, მოლინარო (63. სკელოტო - 73. ამაური) - გარგანო, მარკიონი, პაროლო - კასანო, ბიაბიანი, პალადინო (50. ფელიპე).

**ინტერი (3-5-2):** ჰანდანოვიჩი - კამპანიარო, სამუელი, როლანდო - დამბროზიო (59. ძანეტი), კოვაჩიჩი, ერნანესი (88. გუარინი), კამბიასო, ნაგატომო - პალასიო, იკარდი (81. ბოტა).

**გაფრთხილება:** ლუკარელი - სამუელი, როლანდო, ერნანესი.

**გაძევება:** პალეტა (46. პარმა).

**კუთხური:** 6-5; **ჯარიმა:** 14-13; **თამაშგარე:** 4-1; **კარში დარტყმა:** 7-9 (2-5); **ბურთის ფლობა:** 48%-52%.

**მაყურებელი:** 16 000

#### უდინეზე-ნაპოლი 1:1

**გოლები:** 0:1 კალეხონი (39), 1:1 ფერნანდესი (54).

**უდინეზე (3-5-2):** სკუფეტი - დომიცი, დანილო, ერტო (80. ბასტა) - ბადუ, პერეირა, პინცი (78. ლოპესი), ალანი, გაბრიელ სილვა - ფერნანდესი - მურიელი (86. ვიდმერი).

**ნაპოლი (4-2-3-1):** რეინა - რევეილერი, ფერნანდესი, ენრიკე, გულამი - ბერამი (74. ფრელო), ინლერი - კალეხონი, ჰამშიკი (90. ალბიოლი), ინსინიე - საპატა (66. პანდევი).

**გაფრთხილება:** პინცი, პერეირა - ბერამი, ფრელო.

**გაძევება:** ფერნანდესი (89. ნაპოლი).

**კუთხური:** 3-0; **ჯარიმა:** 12-14; **თამაშგარე:** 3-1; **კარში დარტყმა:** 8-10 (3-2); **ბურთის ფლობა:** 54%-46%.

**მაყურებელი:** 16 000

#### იუვენტუსი-ბოლონია 1:0

**გოლი:** 1:0 პოგბა (64).

**იუვენტუსი (3-5-2):** ბუფონი - ბარცალი, ოგბონა, კიელინი - ისლა (81. პადოინი), პოგბა, პირლო, მარკიზიო, ასამოა - ჯოვინკო (88. ვიდალი), ლორენტე.

**ბოლონია (3-5-2):** კურჩი - კერუბინი, ანტონსონი (80. ლაქსალტი), სორენსენი - გარიჩი, იბსონი (70. პაპონი), მორლეო, პაციენცა (89. აკვაფრესკა), ხრისტოდოლოპულოსი - ფრიბერგი, კრისტალდო.

**გაფრთხილება:** ანტონსონი, ფრიბერგი (ბოლონია).

**კუთხური:** 6-1; **ჯარიმა:** 14-10; **თამაშგარე:** 2-3; **კარში დარტყმა:** 12-4 (6-2); **ბურთის ფლობა:** 61%-39%.

**მაყურებელი:** 40 000

#### ფიორენტინა-რომა 0:1

**გოლი:** 0:1 ნაინგოლანი (26).

**ფიორენტინა (4-3-3):** ნეტო - ტომოვიჩი, გონსალო, სავიჩი, პასკუალი - პისარო, აკვილანი (81. ვარგასი), ბორხა ვალერო - მატოსი (46. მატრი), ილიჩიჩი (73. ხოაკინი), კუადრადო.

**რომა (4-3-3):** დე სანქტისი - მაიკონი, ტოლოი, კასტანი, დოდო (85. ტოროსიდისი) - ნაინგოლანი, დე როსი, პიანიჩი - ტოტი (75. ფლორენცი), ჟერვინიო, ლიაიჩი (79. ბასტოსი).

**გაფრთხილება:** პასკუალი, ტომოვიჩი, მატრი - კასტანი, ტოლოი, დოდო, ლიაიჩი.

**კუთხური:** 5-1; **ჯარიმა:** 15-17; **თამაშგარე:** 0-0; **კარში დარტყმა:** 15-10 (4-4); **ბურთის ფლობა:** 57%-43%.

**მაყურებელი:** 31 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იუვენტუსი | 34 | 29 | 3 | 2 | 72-22 | 90 |
| 2. რომა | 34 | 25 | 7 | 2 | 69-19 | 82 |
| 3. ნაპოლი | 34 | 20 | 8 | 6 | 64-36 | 68 |
| 4. ფიორენტინა | 34 | 17 | 7 | 10 | 56-37 | 58 |
| 5. ინტერი | 34 | 14 | 14 | 6 | 57-25 | 56 |
| 6. პარმა | 34 | 13 | 12 | 9 | 53-44 | 51 |
| 7. მილანი | 34 | 14 | 9 | 11 | 53-44 | 51 |
| 8. ტორინო | 34 | 13 | 10 | 11 | 52-45 | 49 |
| 9. ლაციო | 34 | 13 | 10 | 11 | 47-47 | 49 |
| 10. ვერონა | 34 | 15 | 4 | 15 | 52-58 | 49 |
| 11. ატალანტა | 34 | 14 | 4 | 16 | 39-46 | 46 |
| 12. სამპდორია | 34 | 11 | 8 | 15 | 41-51 | 41 |
| 13. უდინეზე | 34 | 11 | 6 | 17 | 36-47 | 39 |
| 14. ჯენოა | 34 | 10 | 9 | 15 | 37-45 | 39 |
| 15. კალიარი | 34 | 8 | 12 | 14 | 33-46 | 36 |
| 16. კიევო | 34 | 8 | 6 | 20 | 30-50 | 30 |
| 17. სასუოლო | 34 | 7 | 7 | 20 | 33-62 | 28 |
| 18. ბოლონია | 34 | 5 | 13 | 16 | 27-52 | 28 |
| 19. ლივორნო | 34 | 6 | 7 | 21 | 36-67 | 25 |
| 20. კატანია | 34 | 5 | 8 | 21 | 26-59 | 23 |

**ბომბარდირები:** 20 - ჩირო იმობილე (ჯენოა); 18 - კარლოს ტევესი (იუვენტუსი), ლუკა ტონი (ვერონა); 17 - გონსალო იგუაინი (ნაპოლი); 15 - როდრიგო პალასიო (ინტერი); 14 - ჯუზეპე როსი (ფიორენტინა), ალბერტო ჯილარდინო (ჯენოა), ფერნანდო ლორენტე (იუვენტუსი), მარიო ბალოტელი (მილანი).

#### მომდევნო ტური

25 აპრილი: **რომა-მილანი**

26 აპრილი: **ბოლონია-ფიორენტინა, ინტერი-ნაპოლი**

27 აპრილი: **ვერონა-კატანია, სამპდორია-კიევო, ლივორნო-ლაციო, კალიარი-პარმა, ტორინო-უდინეზე, ატალანტა-ჯენოა**

28 აპრილი: **სასუოლო-იუვენტუსი**

**ლაშა წიკლაური**

● ბრაზილია. სერია A I ტური

ამ უქმეებზე ბრაზილიის ჩემპიონატი დაიწყო. როგორც ხედავთ, კვლავ სერია A-შია 2012 წლის ჩემპიონი და წინა სეზონში გავარდნილი „ფლუმინენსე", ვინც პირველივე ტურში დიდი ანგარიშით მოიგო. საქმე ისაა, რომ წინა სეზონის დასრულების შემდეგ, „ფლამენგოს" და „პორტუგეზას" 4-4 ქულა ჩამოაკლეს, რადგან ამ გუნდებმა ბოლო ტურში დისკვალიფიცირებული ფეხბურთელები ათამაშეს. ამის გამო, უმაღლესი ლიგიდან სწორედ „პორტუგეზა" გავარდა, „ფლუ" კი გადარჩა.

მოიგო მოქმედმა ჩემპიონმა „კრუზეირომ", ვისაც სამი ქულა **მარსელო მორენომ** უკანასკნელ წამებზე გატანილი გოლით მოუტანა. ასევე, იმარჯვა სერია A-ში დაბრუნებულმა „პალმეირასმა", ვინც „კრისიუმას" სძლია, რომლის რიგებშიც თავი უბერებელმა **პაულო ბაიერმა** გამოიჩინა. 39 წლის მოთამაშემ ბრაზილიის ჩემპიონატში თავისი 106-ე გოლი გაიტანა. ბაიერი ყველა დროის ბომბარდირებში მე-9 ადგილზეა, ხოლო მას შემდეგ, რაც ბრაზილიის პირველობა ორწრიანი ტურნირის ფორმატით ტარდება (2003 წლიდან), მასზე მეტი გოლი ჩემპიონატში არავის გაუტანია და ეს მიუხედავად იმისა, რომ ბაიერი ნახევარმცველია...

#### ფლუმინენსე-ფიგეირენსე 3:0

**გოლები:** 1:0 რაფაელ სობისი (31), 2:0 ფრედი (45-პენ), 3:0 ნირლეი (59-საკ. კარში)

#### ინტერნასიონ.-ვიტორია 1:0

**გოლი:** 1:0 არანგისი (6)

#### სან პაულო-ბოტაფოგო 3:0

**გოლები:** 1:0 ანტონიო კარლოსი (13), 2:0 დუგლასი (22), 3:0 ლუიშ ფაბიანო (56)

#### ატლ. პარანაენსე-გრემიო 1:0

**გოლი:** 1:0 დრაუზიო (16)

#### ბაია-კრუზეირო 1:2

**გოლები:** 0:1 ნილტონი (63), 1:1 ტალისკა (80-პენ), 1:2 მ. მორენო (90)

#### სანტოსი-პონტე პრეტა 1:1

**გოლები:** 0:1 ნეტო ბაიანო (73), 1:1 გაბრიელ ბარბოსა (80)

#### კრისიუმა-პალმეირასი 1:2

**გოლები:** 1:0 პაულო ბაიერი (12), 1:1 ლეანდრო (83), 1:2 ალან კარდეცი (88)

#### შაპეკოენსე-კორიტიბა 0:0

#### ატლ. მინეირო-კორინთიანსი 0:0

#### ფლამენგო-გოიასი 0:0

**ტატო ბაციკაძე**

europe-bet.com

ინგლისი. პრემიერლიგა. XXXV ტურის შეჯამება

# სულ უფრო ახლოს

## სიმბოლური ნაკრები




„ნორვიჩთან" ბოლო შეხვედრების გმირი **ლუის სუარესი** იყო, ვინც ამჯერადაც გამოიჩინა თავი, თუმცა ურუგვაელზე ალმატებულად კვირას **რაჰემ სტერლინგმა** ითამაშა. 19 წლის ინგლისელმა „კეროუ როუდზე" მასპინძლებს თავბრუ დაახვია. 3:1-ზე მას ცოტა გაუმართლა კიდეც, თუმცა ნახევარმცველმა იმ დღეს გამართლებაც დაიმსახურა და უფრო მეტიც. „ლივერპულის" მე-11 მოგება დიდებული შედეგია, თუმცა რამდენად შაბლონურადაც არ უნდა ჟღერდეს, ბრძოლა ჩემპიონობისთვის ჯერ კიდევ გრძელდება, ოღონდ ამ ბრძოლაში „ლივერპული" უკვე გამოკვეთილი ფავორიტია და არ გვგონია, ამაზე ორი აზრი არსებობდეს. „წითლებს" დარჩენილ 3 ტურში 2 შეხვედრა „ენფილდზე" უწევთ, მათ შორის „ჩელსისთან", ვისაც პარალელურად ჩემპიონთა ლიგის 1/2-ფინალი აქვს სათამაშო, რაც **ბრენდან როჯერსის** გუნდის შანსებს კიდევ უფრო ზრდის. მოდი, სწორედ ჩრდილოირლანდიელს მოვუსმინოთ:

*„ბრწყინვალე შეხვედრაში შესანიშნავი გამარჯვება მოვიპოვეთ. ეს იყო თამაში, რომელშიც სასურველი შედეგის მისაღწევად რამდენჯერმე მოგვიხდა გუნდის გადაწყობა. პირველმა გოლმა მასპინძელს თავდაჯერება შეჰმატა და რეალურად გვაიძულა კიდეც კარის უსაფრთხოებაზე გაგვეკეთებინა აქცენტი. უკვე გარკვეულია, რომ სეზონს სამეულის მიღმა არ დავასრულებთ. ეს ნიშნავს, რომ სეზონის წინ დასახული მიზანი მიღწეულია. სტერლინგზე იმის თქმა შემიძლია, რომ დღეს ის ალბათ საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელია ევროპაში. რაჰემი მორიდებული ბიჭია, ვისაც არ აღელვებს საზოგადოების ყურადღება და მხოლოდ ფეხბურთზე ფიქრობს. მეტოქეთა შედეგებს ყურადღებას ნაკლებად ვაქცევთ, რადგან კონკურენტის წაფორხილება აზრს დაკარგავს, თუკი შენ თავად არ გააკეთებ შენს საკეთებელს".*

### მოკლედ და კონკრეტულად

**ჟოზე მოურინიომ** „სანდერლენდთან" შეხვედრაში პირადი 77-თამაშიანი წაუგებელი სერია შეწყვიტა „სტემფორდ ბრიჯზე". პორტუგალიელის მატჩის შემდგომი პრესკონფერენცია რეკორდულად მოკლე აღმოჩნდა. „განსაკუთრებულმა" ხაზი გაუსვა **მაიკ დინის** „დამსახურებას", რეალურად ვის მიერ დანიშნული აბსურდული პენალტითაც დამარცხდა მისი გუნდი.

*„ფეხბურთელებს ხშირად ვაქებთ ხოლმე მოგებული თამაშების შემდეგ, თუმცა მე დღესაც თამამად შემიძლია თქმა, რომ ბიჭებმა მაქსიმუმი გააკეთეს მოსაგებად. მინდა, მივულოცო „სანდერლენდს". მნიშვნელობა არა აქვს, რა მიზეზებით და რა საშუალებებით, მაგრამ მეტოქემ დაგვამარცხა და უმნიშვნელოვანესი სამი ქულა მოიპოვა. მინდა, ასევე მივულოცო მაიკ დინს, ვინც „ბრწყინვალე" შეხვედრა ჩაატარა, რისთვისაც განსაკუთრებულ მადლობას იმსახურებს. ცალკე ალვნიშნავ მსაჯთა კორპუსის ხელმძღვანელის მაიკ რაილის როლსაც, რადგან, რასაც ის მთელი სეზონის განმავლობაში აკეთებს, განსაკუთრებით ჩემპიონობის პრეტენდენტთა შეხვედრებში, უბრალოდ, „ფანტასტიკურია".*

### ტურის ფაქტები

ტოტენჰემელმა **კრისტიან ერიქსენმა** ბოლო ხუთ შეხვედრაში 4 გოლი გაიტანა და 5 საგოლე პასი გააკეთა.

**ჰარი კეინი** ერთადერთია „დეზების" რიგებში, ვინც მიმდინარე სეზონში ზედიზედ 3 შეხვედრაში მოახერხა გატანა.

„ფულჰემმა" გასვლით მატჩებში კარი მშრალად მხოლოდ ერთხელ შეინახა და ისიც I ტურში.

„ფულჰემმა" ლონდონურ დერბებში სეზონში სულ 20 გოლი გაუშვა.

■ ■ ■

ასტონვილელმა **გრანტ ჰოლტმა** მე-9 შეხვედრა ჩაატარა სეზონში და მხოლოდ ერთხელ შეძლო კარში ზუსტად დარტყმა.

„წმინდანების" ლიდერ **ადამ ლალანას** ბოლო 16 შეხვედრაში მხოლოდ 1 საგოლე გადაცემა აქვს.

■ ■ ■

„კარდიფმა" მხოლოდ 35-ე ტურში დაარტყა პირველი პენალტი სეზონში და გაიტანა.

„სტოკმა" 44 ქულიდან მხოლოდ 11 მოიპოვა სტუმრად.

■ ■ ■

ნიუკასლელმა **შოლა ამეობიმ** „კაჭკაჭების" 383-წუთიანი და პირადი 34-თამაშიანი უგოლო სერია შეწყვიტა. თავდამსხმელს უკანასკნელად 2012 წლის დეკემბერში „ქუინზ პარკთან" ჰქონდა გატანილი.

„სუონსიმ" ზედიზედ მე-15 გასვლით შეხვედრაში გაუშვა.

„ნიუკასლი" ისტორიაში პირველად დამარცხდა მიჯრით 5 პრემიერლიგურ შეხვედრაში.

■ ■ ■

„კრისტალ პალასმა" ისტორიაში სტუმრად მხოლოდ მე-6 პრემიერლიგური ლონდონური დერბი მოიგო.

**მილე ჟედინაკი** 2012 წლის დეკემბრის შემდეგ პირველი ავსტრალიური გოლის ავტორი გახდა.

„ვესტ ჰემმა" ჩემპიონატში ბოლო 8 შეხვედრიდან 6 დათმო.

■ ■ ■

**მარკ შვარცერი** „ჩელსის" ისტორიაში ყველაზე ხანდაზმული (41 წელი, 195 დღე) ფეხბურთელი გახდა.

**კონორ უიკჰემის** გოლამდე „სტემფორდ ბრიჯზე" „ჩელსის" მშრალი სერია 570 წუთი გრძელდებოდა. უიკჰემი ერთადერთი ფეხბურთელია, ვინც სეზონში „ეტიჰადზეც" გამოიჩინა თავი და „სტემფორდ ბრიჯზეც".

ჟოზე მოურინიომ „ჩელსის" თავკაცის რანგში „სტემფორდ ბრიჯზე" პირველი მარცხი იწვნია ჩემპიონატში (61მ, 16ფ, 1წ).

**ვიტო მანონემ** „სანდერლენდი" 14-ჯერ გადაარჩინა გოლს, რაც საუკეთესო შედეგია მას მერე (2003/04 სეზონიდან), რაც პრემიერლიგაში სრული სტატისტიკის წარმოება დაიწყო.

■ ■ ■

ლუის სუარესს „ნორვიჩთან" 6 თამაშში 12 გოლი აქვს გატანილი.

ურუგვაელი მე-7 ფეხბურთელი გახდა ისტორიაში, ვინც სეზონში 30 ან მეტი გოლის გატანა მოახერხა და მეორე **ენდი კოულის** შემდეგ (1993/94), ვინც ეს პენალტების გარეშე შეძლო.

„ლივერპულმა" ზედიზედ მე-11 თამაში მოიგო. მომდევნო ტურში „ჩელსისთან" გამარჯვების შემთხვევაში გუნდს 1990 წელს დამყარებული რეკორდის გამეორება შეუძლია.

„ლივერპულმა" 35 ტურში 20-ჯერ მოახერხა 3 და მეტი გოლის გატანა ერთ თამაშში, რაც 2011/12 წლებში „მანჩესტერ სიტის" მიერ დამყარებული რეკორდის გამეორებაა.

■ ■ ■

„ჰალმა" „არსენალთან" ბოლო 11-დან 10 თამაში წააგო (1მ).

**ლუკას პოდოლსკიმ** პრემიერლიგის ბოლო 5 შეხვედრაში 5 გოლი გაიტანა.

მიუხედავად ანგარიშისა, „ჰალმა" კარის მიმართულებით უფრო მეტჯერ (13) დაარტყა, ვიდრე „არსენალმა" (12).

■ ■ ■

1969/70 წლების სეზონის შემდეგ „ევერტონმა" პირველად დაამარცხა „მანჩესტერ იუნაიტედი" ერთ სეზონში ორჯერ.

„იუნაიტედმა" ტოპექვსეულის გუნდებთან ჩატარებულ 12 შეხვედრაში მხოლოდ 6 ქულა აიღო და 6 გოლი გაიტანა.

პირველად 1990/91-ის სეზონის შემდეგ „იუნაიტედი" სეზონს 70 ქულაზე ნაკლებით დაასრულებს და 1995/96-ის შემდეგ პირველად დარჩება ჩემპიონთა ლიგის ზონის მიღმა.

**ლეიტონ ბეინსმა** 13-დან 13 თერთმეტმეტრიანი გაიტანა. ის ერთადერთია, ვისაც 10-ზე მეტი პენალტი აქვს დარტყმული და ვისი შედეგიანობაც 100%-ია.

### სტატისტიკა XXXV ტურის შემდეგ

**საუკეთესო ბომბარდირები**

30 - ლუის სუარესი (ლივერპული)
20 - დენიელ სტარიჯი (ლივერპული)
18 - იაია ტურე (მანჩესტერ სიტი)

**საუკეთესო მეპასეები**

12 - ლუის სუარესი (ლივერპული)
10 - რიკი ლამბერტი (საუთჰემპტონი), სტივენ ჯერარდი (ლივერპული)
9 - უეინ რუნი (მანჩესტერ იუნაიტედი), დავიდ სილვა (მანჩესტერ სიტი), კრისტიან ერიქსენი (ტოტენჰემი)

**გოლი+პასი**

42 - ლუის სუარესი (ლივერპული) - 30+12
27 - დენიელ სტარიჯი (ლივერპული) - 20+7
24 - უეინ რუნი (მანჩესტერ იუნაიტედი) - 15+9


რაჰემ სტერლინგმა „ნორვიჩთან" დუბლის გარდა საგოლე გადაცემითაც გამოიჩინა თავი

**ყველაზე უდისციპლინო ფეხბურთელები**

12 - კევინ ნოლანი (ვესტ ჰემი), ჩიკო (სუონსი)
11 - ჯონათან უოლტერსი (სტოკი), რამირესი (ჩელსი), მატიო ფლამინი (არსენალი), ვეს ბრაუნი (სანდერლენდი)
წითელი ბარათი - 3 ქულა, ყვითელი - 1

### ტოტენჰემი-ფულჰემი 3:1

**გოლები:** 1:0 პაულინიო (35), 1:1 სიდუელი (37), 2:1 კეინი (48), 3:1 კაბული (62)

77-ე წუთზე სიდუელმა ვერ გამოიყენა პენალტი

**ტოტენჰემი (4-4-2):** ლორისი - ნაუტონი, ფრაიერსი, კაბული, როუზი - შადლი (67. დემბელე), პაულინიო, ერიქსენი (85. ტაუნსენდი), ლენონი - კეინი (79. სოლდადო), ადებაიორი

**ფულჰემი (4-2-3-1):** სტოკდეილი - ჰეიტინგა (66. ზვეროტიჩი), ჰანგელანდი, ამორებიეტა, რიისე - პარკერი (56. კარაგუნისი), სიდუელი - კაჩანიკლიჩი, კვისტი, დეჟაგა - როდალიეგა

**გაფრთხილება:** - ჰეიტინგა

**კარში დარტყმა:** 14-11 (5-4) **კუთხური:** 4-5 **თამაშგარე:** 2-4 **ჯარიმა:** 8-11 **ბურთის ფლობა:** 62%-38%

**მაყურებელი:** 35 841

### ვესტ ჰემი-პალასი 0:1

**გოლი:** 0:1 ჟედინაკი (59)

**ვესტ ჰემი (4-2-3-1):** ადრიანი - მაკარტნი, ტომკინსი, რიდი, არმერო - დიამე, ნოუბლი - ჯარვისი (70. კ. კოული), ნოლანი (85. ნოჩერინო), დაუნინგი (78. ჯ. კოული) - კეროლი

**პალასი (4-2-3-1):** სპერონი - მარიაპა, დანი, დელეინი, ვორდი - დიკგაჩოი, ჟედინაკი - პანჩეონი (85. გებიდონი), ლედლი, ბოლასი (90+2. პარი) - ჯერომი (82. მარი)

**გაფრთხილება:** მაკარტნი - მარი

**კარში დარტყმა:** 13-11 (4-3) **კუთხური:** 3-11 **თამაშგარე:** 1-1 **ჯარიმა:** 7-16 **ბურთის ფლობა:** 65%-35%

**მაყურებელი:** 34 977

### ასტონ ვილა-საუთჰემპტონი 0:0

**ასტონ ვილა (4-3-3):** გუზანი - ბაკუნა, ვლაარი, ბეიკერი, ბერტრანი - დელფი, ვესტვუდი, ელ აჰმადი (80. ჰოლტი) - ვაიმანი (85. რობინსონი), აგბონლაჰორი, ოლბრაიტონი

**საუთჰემპტონი (4-2-3-1):** ბორუცი - კლაინი, ფონტე, ლოვრენი, შოუ - ვანიამა (83. კორკი), შნაიდერლინი - ვორდ-პრაუსი (67. გალაგერი), ლალანა (90+2. რიდი), დევისი - ლამბერტი

**გაფრთხილება:** - ლოვრენი, შოუ

**კარში დარტყმა:** 6-3 (1-2) **კუთხური:** 5-3 **თამაშგარე:** 5-3 **ჯარიმა:** 11-11 **ბურთის ფლობა:** 32%-68%

**მაყურებელი:** 35 134

### კარდიფი-სტოკი 1:1

**გოლები:** 0:1 არნაუტოვიჩი (45+3-პენ), 1:1 უიტინგემი (51-პენ)

**კარდიფი (4-1-4-1):** მარშალი - ტეოფილ-კეტრინი, კოლკერი, კალა, ფაბიო (84. ჯონი) - მედელი - უიტინგემი, მატჩი, დელი (81. კ. ჯონსი), კიმი (60. ზაჰა) - კემპბელი

**სტოკი (4-2-3-1):** ბეგოვიჩი - კემერონი, შოუკროსი, უილსონი, პიტერსი (29. მუნიესა) - ნზონზი, უელანი - აირლანდი (85. უოლტერსი), ოდემვინგი, არნაუტოვიჩი (78. ასაიდი) - კრაუჩი

**გაფრთხილება:** მატჩი, კალა - ოდემვინგი, ნზონზი, კრაუჩი

**კარში დარტყმა:** 13-14 (4-5) **კუთხური:** 12-7 **თამაშგარე:** 3-0 **ჯარიმა:** 6-12 **ბურთის ფლობა:** 43%-57%

**მაყურებელი:** 27 686

### ნიუკასლი-სუონსი 1:2

**გოლები:** 1:0 შ. ამეობი (23), 1:1 ბონი (45+1), 1:2 ბონი (90+2)

**ნიუკასლი (4-2-3-1):** კრული - ანიტა, უილიამსონი, კოლოჩინი, დამეტი - ტიოტე, გოსლინგი (81. არმსტრონგი) - გუფრანი, დე იონგი (40. რემი), სისე (21. დებუში) - შ. ამეობი

**სუონსი (4-2-3-1):** ვორმი - რანხელი, ამატი, უილიამსი, დევისი - შელვი, ბრიტონი - დე გუზმანი, პ. ერნანდესი (81. ემნესი), რუტლეჯი (90+4. ბარტლი) - ბონი

გაფრთხილება: გოსლინგი, ტიოტე -

**კარში დარტყმა:** 14-10 (4-2) **კუთხური:** 2-8 **თამაშგარე:** 1-5 **ჯარიმა:** 6-9 **ბურთის ფლობა:** 47%-53%

**მაყურებელი:** 51 057

### ჩელსი-სანდერლენდი 1:2

**გოლები:** 1:0 ეტოო (12), 1:1 უიკჰემი (18), 1:2 ბორინი (82-პენ)

**ჩელსი (4-2-3-1):** შვარცერი - ივანოვიჩი, კეჰილი, ტერი, ასპილიკუეტა - მატიჩი, რამირესი - სალაჰი (66. შიურლე), ოსკარი (59. ბა), ვილიანი - ეტოო (74. ტორესი)

**სანდერლენდი (4-1-4-1):** მანონე - ვერხინი, ოში, ბრაუნი, ალონსო - კატერმოული - ლარსონი (90+3. ჩელუსტკა), კოლბეკი, ა. ჯონსონი (66. ჯაკერინი), ბორინი - უიკჰემი (66. ალტიდორი)

**გაფრთხილება:** ტორესი - კატერმოული, ბრაუნი

**კარში დარტყმა:** 31-7 (15-3) **კუთხური:** 10-4 **თამაშგარე:** 1-1 **ჯარიმა:** 11-14 **ბურთის ფლობა:** 62%-38%

**მაყურებელი:** 41 210

### ნორვიჩი-ლივერპული 2:3

**გოლები:** 0:1 სტერლინგი (4), 0:2 სუარესი (11), 1:2 ჰუპერი (54), 1:3 სტერლინგი (62), 2:3 სნოდგრასი (77)

**ნორვიჩი (4-5-1):** რადი - უიტეკერი, მარტინი, მ. ტერნერი, მ. ოლსონი - ფერი (78. მერფი), ბ. ჯონსონი, ჰაუსონი, სნოდგრასი, რედმონდი - ჰუპერი (78. ვან ვოლფსვინკელი)

**ლივერპული (4-4-2):** მინიოლე - გ. ჯონსონი, შკრტელი, სახო, ფლენაგანი - ლეივა, ჯერარდი, ალენი (81. აგერი), კოუტინიო (76. მოზესი) - სტერლინგი, სუარესი

**გაფრთხილება:** სნოდგრასი, მ. ტერნერი, ჰაუსონი - შკრტელი, ფლენაგანი

**კარში დარტყმა:** 13-14 (5-6) **კუთხური:** 8-3 **თამაშგარე:** 0-1 **ჯარიმა:** 16-10 **ბურთის ფლობა:** 42%-58%

**მაყურებელი:** 26 857

### ჰალი-არსენალი 0:3

**გოლები:** 0:1 რემსი (31), 0:2 პოდოლსკი (45), 0:3 პოდოლსკი (54)

**ჰალი (4-4-2):** ჰარპერი - ელ მოჰამადი, ჩესტერი, დევისი, როსენიორი - ლივერმორი, ჰადლსტოუნი, ბოიდი (84. კორენი), მეილერი - ლონგი (46. ფრაიატი), იელავიჩი (70. ქუინი)

**არსენალი (4-2-3-1):** შჩესნი - სანია, მერტეზაკერი, კოშელნი, მონრეალი - რემსი, არტეტა - კასორლა, იოზილი (61. ფლამინი), პოდოლსკი (84. სანოგო) - ჟირუ (74. ოქსლეიდ-ჩემბერლენი)

**გაფრთხილება:** მეილერი - მერტეზაკერი

**კარში დარტყმა:** 13-12 (4-6) **კუთხური:** 7-0 **თამაშგარე:** 5-2 **ჯარიმა:** 10-7 **ბურთის ფლობა:** 42%-58%

**მაყურებელი:** 24 762

### ევერტონი-იუნაიტედი 2:0

**გოლები:** 1:0 ბეინსი (28-პენ), 2:0 მირალიაში (43)

**ევერტონი (4-2-3-1):** ჰოვარდი - კოულმენი, სტოუნსი, დისტენი (46. ალკარასი), ბეინსი - ბერი, მაკარტი - მირალიაში (90+4. მაკგიდი), ბერკლი (70. ოსმანი), ნეისმიტი - ლუკაკუ

**იუნაიტედი (4-2-3-1):** დე ხეა - სმოლინგი, ჯონსი, ევანსი (61. ხ. ერნანდესი), ბიუტნერი - კერიკი, ფლეტჩერი - ნანი (61. ვალენსია), მატა, კაგავა (76. უელბეკი) - რუნი

**გაფრთხილება:** ბერკლი, მაკარტი - ჯონსი, სმოლინგი

**კარში დარტყმა:** 23-18 (2-6) **კუთხური:** 12-6 **თამაშგარე:** 0-4 **ჯარიმა:** 11-13 **ბურთის ფლობა:** 65%-35%

**მაყურებელი:** 39 436

### სიტი-ვესტ ბრომვიჩი 3:1

**გოლები:** 1:0 საბალეტა (3), 2:0 აგუერო (10), 2:1 დორანსი (16), 3:1 დემიკელისი (36)

**სიტი** (4-4-2): ჰარტი - საბალეტა, კომპანი, დემიკელისი, კლიში - ხ. გარსია, ფერნანდინიო, ნასრი, დ. სილვა (70. მილნერი) - აგუერო (64. იოვეტიჩი), ჯეკო (89. კოლაროვი)

**ვესტ ბრომვიჩი** (4-2-3-1): ფოსტერი - ბ. ჯონსი, დოუსონი, ი. ოლსონი, რიჯუელი – მულუმბუ (85. მორისონი), ბრანტი - ამალფიტანო, სესინიონი (76. ბერაინო), დორანსი – ვიდრა (60. ანიჩებე)

**გაფრთხილება:** დემიკელისი - დოუსონი

**კარში დარტყმა:** 19-10 (6-3) **კუთხური:** 8-2 **თამაშგარე:** 3-3 **ჯარიმა:** 9-7 **ბურთის ფლობა:** 69%-31%

**მაყურებელი:** 44 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლივერპული | 35 | 25 | 5 | 5 | 96-44 | 80 |
| 2. ჩელსი | 35 | 23 | 6 | 6 | 67-26 | 75 |
| 3. სიტი | 34 | 23 | 5 | 6 | 91-35 | 74 |
| 4. არსენალი | 35 | 21 | 7 | 7 | 62-41 | 70 |
| 5. ევერტონი | 35 | 20 | 9 | 6 | 57-34 | 69 |
| 6. ტოტენჰემი | 35 | 19 | 6 | 10 | 51-49 | 63 |
| 7. იუნაიტედი | 34 | 17 | 6 | 11 | 56-40 | 57 |
| 8. საუთჰემპტონი | 35 | 13 | 10 | 12 | 50-45 | 49 |
| 9. ნიუკასლი | 35 | 14 | 4 | 17 | 39-54 | 46 |
| 10. სტოკი | 35 | 11 | 11 | 13 | 39-49 | 44 |
| 11. პალასი | 35 | 13 | 4 | 18 | 28-41 | 43 |
| 12. ვესტ ჰემი | 35 | 10 | 7 | 18 | 38-48 | 37 |
| 13. სუონსი | 35 | 9 | 9 | 17 | 47-51 | 36 |
| 14. ჰალი | 34 | 10 | 6 | 18 | 34-43 | 36 |
| 15. ასტონ ვილა | 34 | 9 | 8 | 17 | 35-49 | 35 |
| 16. ბრომვიჩი | 34 | 6 | 15 | 13 | 41-54 | 33 |
| 17. ნორვიჩი | 35 | 8 | 8 | 19 | 28-56 | 32 |
| 18. კარდიფი | 35 | 7 | 9 | 19 | 31-65 | 30 |
| 19. ფულჰემი | 35 | 9 | 3 | 23 | 35-77 | 30 |
| 20. სანდერლენდი | 34 | 7 | 8 | 19 | 33-57 | 29 |

**მომდევნო ტური**

26 აპრილი: **საუთჰემპტონი-ევერტონი, ფულჰემი-ჰალი, სტოკი-ტოტენჰემი, სუონსი-ასტონ ვილა, ვესტ ბრომვიჩი-ვესტ ჰემი, მანჩესტერ იუნაიტედი-ნორვიჩი**

27 აპრილი: **სანდერლენდი-კარდიფი, ლივერპული-ჩელსი, კრისტალ პალასი-მანჩესტერ სიტი**

28 აპრილი: **არსენალი-ნიუკასლი**

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

● ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲗᲐ ᲚᲘᲒᲐ. 1/2 ᲤᲘᲜᲐᲚᲘ. | ᲛᲐᲢᲩᲘᲡ ᲬᲘᲜ

22.04. ᲛᲐᲓᲠᲘᲓᲘ
ᲕᲘᲡᲔᲜᲢᲔ ᲙᲐᲚᲓᲔᲠᲝᲜᲘ 22:45

**ᲐᲢᲚᲔᲢᲘᲙᲝ**

| ᲑᲝᲚᲝ 6 ᲛᲐᲢᲩᲘ ᲚᲘᲒᲐᲖᲔ | |
|---|---|
| +4=2-0 | +3=1-2 |

ᲐᲠᲑᲘᲢᲠᲘ
ᲘᲝᲜᲐᲡ ᲔᲠᲘᲥᲡᲝᲜᲘ (ᲨᲕᲔ)

**ᲩᲔᲚᲡᲘ**

ᲡᲐᲕᲐᲠᲐᲣᲓᲝ ᲨᲔᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲝᲑᲔᲑᲘ

ᲐᲢᲚᲔᲢᲘᲙᲝ: ᲙᲣᲠᲢᲣᲐ; ᲒᲝᲓᲘᲜᲘ, ᲛᲘᲠᲐᲜᲓᲐ, ᲮᲣᲐᲜᲤᲠᲐᲜᲘ, Ფ. ᲚᲣᲘᲨᲘ; ᲡᲣᲐᲠᲔᲡᲘ, ᲒᲐᲑᲘ, ᲙᲝᲙᲔ, Რ. ᲒᲐᲠᲡᲘᲐ, ᲕᲘᲚᲘᲐ; Დ. ᲙᲝᲨᲢᲐ

ᲩᲔᲚᲡᲘ: ᲢᲝᲠᲔᲡᲘ; ᲨᲘᲣᲠᲚᲔ, ᲕᲘᲚᲘᲐᲜᲘ, ᲝᲡᲙᲐᲠᲘ; ᲠᲐᲛᲘᲠᲔᲡᲘ, ᲚᲐᲛᲞᲐᲠᲓᲘ; Ე. ᲙᲝᲣᲚᲘ, ᲢᲔᲠᲘ, ᲙᲔᲘᲰᲘᲚᲘ, ᲐᲡᲞᲘᲚᲘᲙᲣᲔᲢᲐ; ᲩᲔᲮᲘ

**დისკვალიფიკაცია:** - ივანოვიჩი
**ტრავმა:** არდა თურანი (?) - აზარი (?), ეტოო

# sime ONE VS special ONE

აქამდე მისასვლელად ორივე გუნდს ძალიან მძიმე ბრძოლა გადახდა, მაგრამ ორივე ღირსეულად გაუმკლავდა ამოცანას. „ატლეტიკომ" თვით „ბარსელონას" სძლია, ხოლო „ჩელსიმ" „პარი სენ-ჟერმენთან" ორბურთიანი სხვაობით წაგების მერე, საპასუხო შეხვედრაში მაინც მოახერხა სასურველი შედეგის მიღწევა. იქამდე მადრიდელებმა ევროპული ფეხბურთის კიდევ ერთი გრანდი „მილანი" დაჩაგრეს, ხოლო ლონდონელები ძალიან ადვილად გაუმკლავდნენ „გალათასარაის". ახლა კი, როდესაც ფინალამდე ერთი ნაბიჯი რჩება, ეს ორი უაღრესად ორგანიზებული გუნდი ერთმანეთს დაუპირისპირდება. **ჟოზე მოურინიოს** დარ გამოცდილ სპეციალისტს არ ესწავლება, თუ რამდენად ფასობს მეტოქის მოედანზე გატანილი გოლი, ამის მაგალითად თუნდაც იგივე პსჟსთან დაპირისპირება გამოდგება. ამიტომაც, პორტუგალიელი სპეციალისტი საკუთარი კარის უსაფრთხოების გარდა, ყველანაირად ეცდება, რომ მის გუნდს გოლი გაატანინოს „ვისენტე კალდერონზე", გოლი, რომელმაც საბოლოოდ შესაძლოა, „და ლუჟზე" გასამგზავრებელი საგზურის ბედი გადაწყვიტოს. **დიეგო პაბლო სიმეონე** კი უფრო ახალი თაობის, მაგრამ უკვე არანაკლებ პოპულარული მწვრთნელია. „ჩოლო" დაახლოებით იმ გზას ადგას, რომელიც მოურინიომ თავის დროზე „პორტუსთან" ერთად გაიარა. მისი „ათლეტები" დიდებულად გამოიყურებიან და როდესაც რამდენიმე ფეხბურთელი აკლიათ, თუნდაც **დიეგო კოშტას** ფასის, მაშინაც კი ისეთივე შემართებით თამაშობენ, როგორც ყოველთვის და როგორც ეს მათ სიმეონემ ასწავლა.

## ᲛᲐᲢᲩᲘᲡ ᲬᲘᲜ

**დიეგო სიმეონე:** *„ჩვენ სხვადასხვა გუნდებზე ვსაუბრობთ, მაგრამ ბევრი რამ მსგავსი გვაქვს, პირველ რიგში, თვისებები: ორივე ორგანიზებულ ფეხბურთს ვთამაშობთ, დაცვაში ყურადღებით ვართ და ამავდროულად, შეტევაზე ვფიქრობთ და შემტევი ფეხბურთის ჩვენება მოგვწონს. ახლა მთავარი მომზადებაა, ვინც უფრო შემართული იქნება, გამარჯვებაც მას დარჩება. გუნდური მუშაობა თუნდაც იმ კუთხით არის მნიშვნელოვანი, რომ ინდივიდუალურ დონეზე გაიბრწყინო. ეს ისეთი დაპირისპირებაა, რომლის ბედიც ერთმა პატარა დეტალმა შეიძლება გადაწყვიტოს. ფერნანდო ტორესი ის ბიჭია, რომელიც ამ კლუბს უყვარს და მასაც უყვარს „ატლეტიკო", რომელთანაც კარგი მოგონებები აკავშირებს. დარწმუნებული ვარ, მას ოვაციებით შეეგებებიან".*

*„ჩემთვის მართლაც განსაკუთრებული შეხვედრაა, მაგრამ პროფესიონალი ვარ, ასე რომ, ამ მატჩში მე „ატლეტიკოს" ფანი ვიქნები, რადგან „ათლეტი" ვარ. თუმცა სხვა ყველა შეხვედრაში „ჩელსისაც" ვგულშემატკივრობ, რადგან ამ გუნდის საკუთრებაში ვიმყოფები. „ჩელსი" ფავორიტია, მაგრამ აქამდე დიდი გზა გავიარეთ და გვინდა ტიტული მოვიგოთ"* - აღნიშნა ბელგიელმა მეკარემ **ტიბო კურტუამ**, რომელმაც თამაშის უფლება მიიღო.

**ჟოზე მოურინიო:** *„მეტოქე ძალიან ძლიერია და ვიცით, რომ რთული თამაში გველის. ვფიქრობ, ჩემი გუნდი შესაბამისად მოტივირებულია და საბრძოლველად მზად ვართ. ვეცდებით ჩვენი ფეხბურთი ვაჩვენოთ და სასურველ შედეგს მივაღწიოთ. „ატლეტიკო" კომპლიმენტებს იმსახურებს და გარდა წინა ხაზზე კარგი თამაშისა, მის კარში გოლის გატანა რომ რთულია, წინა მატჩებმაც დაადასტურა, მაგრამ შევეცდებით „ვისენტე კალდერონზე" გავიტანოთ".*


დიეგო სიმეონე და მისი ვიზავი ჟოზე მოურინიო

## ᲑᲝᲚᲝ ᲛᲐᲢᲩᲔᲑᲘ

**ატლეტიკო:** მადრიდელებს მართლაც არნახული სეზონი აქვთ და გუნდი პრიმერადივიზიონშიც აგრძელებს ტრიუმფალურ მსვლელობას. მართალია, „როხიბლანკოს" „ელჩესთას" ცოტა გაუჭირდა, მაგრამ 72-ე წუთზე **მირანდამ** მაინც გაიტანა და ბოლოს **დიეგო კოშტამ** პენალტით წერტილი დასვა. შეგახსენებთ, რომ ამ გუნდებმა ერთმანეთში 2012 წლის ევროპის სუპერთასი გაითამაშეს და მაშინ **რადამელ ფალკაოს** ბრწყინვალე თამაშის წყალობით მადრიდელებმა 4:1 მოიგეს. იქამდე კი ისინი ერთმანეთს 2009 წელს სწორედ ჩემპიონთა ლიგაზე გადაეყარნენ - მადრიდში მატჩი 2:2 დასრულდა, ხოლო ლონდონში „ჩელსიმ" 4:0 მოიგო.

**ჩელსი:** ჟოზე მოურინიომ „ჩელსის" მთავარი მწვრთნელის პოსტზე პრემიერლიგაში პირველი მატჩი წააგო შინ, 77-თამაშიანი დაუმარცხებელი სერიის შემდეგ - „სანდერლენდთან" 1:2. ამ მარცხმა „ლურჯებს" პრემიერლიგის მოგების შანსი ფაქტობრივად გაუქრო, პორტუგალიელ სპეციალისტს „შავმა კატებმა" გადაურბინეს. თუმცა იგი ყველაფერს მსაჯებს აბრალებს, რომლებმაც ამ სეზონში არაერთხელ გააბრაზეს და ამჯერად „განსაკუთრებული" ნამდვილად მართალია, რადგან **მაიკ დინმა** მატჩის მიწურულს „ჩელსის" კარში არარსებული პენალტი დანიშნა.

ცუდი „ჩელსისთვის" ის არის, რომ **სამუელ ეტოო** არ იქნება. სამაგიეროდ, **პეტრ ჩეხი** და **ედენ აზარი** მოხვდნენ განაცხადში, მაგრამ ამბობენ იმასაც, ახალგაზრდა ბელგიელი ტალანტი ბოლომდე მზად მაინც არ არის და შესაძლოა სათადარიგოთა სკამზე იყოს.

## ᲓᲐᲜᲐᲙᲚᲘᲡᲘ

**ატლეტიკო:** არდა თურანი (თუ ვერ ითამაშა)

**ჩელსი:** სამუელ ეტოო

**გიორგი პაპაბაძე**



● საფრანგეთის ლიგის თასი

# პსჟ ლიგის თასს მეოთხედ დაეუფლა

**ლიონი-პსჟ 1:2**

**გოლები:** 0:1 კავანი (4), 0:2 კავანი (33-პენ), 1:2 ლაკასეტი (56)

**ლიონი (5-3-2):** ენტონი ლოპეში - ტოლისო, დაბო (54. ბრიანი), ბიშევაცი, უმტიტი, ბედიმო (90+1. ბ. კონე) - გონალონი, მვუემბა, მალბრანკი (68. ფეკირი) - ლაკასეტი, გომისი

**პსჟ (4-3-3):** დუშეზი - ჟალე, ალექსი, ტიაგო სილვა, მაქსველი - მატუიდი, ტიაგო მოტა, ვერატი (74. კაბაი) - ლუკასი (90. მენეზი), ლავეცი (74. პასტორე), კავანი

**გაფრთხილება:** ენტონი ლოპეში, ბიშევაცი - ვერატი

**არბიტრი:** სტეფან ლანუა

**მაყურებელი** 78 489



ედინსონ კავანი ლიგის თასით ხელში

**„პარი სენ-ჟერმენმა" „ჩელსისთან" მარცხის მერე „ლიონთანაც" წააგო და რამდენიმე დღეში ისევ უწევდა „ლომებთან" დაპირისპირება, ამჯერად უკვე საფრანგეთის ლიგის თასის ეგიდით და პარიზელებს ხასიათის გამოსწორება ამ ტიტულის მოგებით სურდათ. გამარჯვების შემთხვევაში ისინი სარეკორდოდ მეოთხედ მოიპოვებდნენ ამ თასს.**

**ლორან ბლანს** ისევ არ ჰყავდა **ზლატან იბრაჰიმოვიჩი**, რომელსაც **ედინსონ კავანი** ცვლიდა. ურუგვაელს მომენტების გამოუყენებლობის გამო ბოლო დროს ძალიან აკრიტიკებდნენ და თავად ბლანმა ისიც კი თქვა, ტრავმის მერე კავანის რეციდივის ეშინია და არ გამოვრიცხავ, ბოლომდე არ იხარჯება, რადგან მსოფლიოს ჩემპიონატის წინ დაშავებას უფრთხისო. სწორედ ამიტომ გაიხარა მან განსაკუთრებით, როდესაც შეხვედრის დებიუტში ანგარიში გახსნა და მოგვიანებით დუბლიც გაიფორმა ზუსტად დარტყმული პენალტის წყალობით. ურუგვაელის გარდა პირველ ნახევარში პსჟ-ს რიგებში **ესეკიელ ლავეცი** და **ტიაგო სილვა** უნდა გამოვარჩიოთ.

მეორე ნახევრის დებიუტში, **ალექსანდრ ლაკასეტმა** სხვაობა შეამცირა, მას დახვეწილი თამაში გამოუვიდა და ალბათ თვალი მოჭრა საფრანგეთის ნაკრების მთავარ მწვრთნელს **დიდიე დეშამს**, რომელიც ერთ-ერთი იყო იმ 79 ათასამდე ადამიანს შორის, რომლებიც „სტად დე ფრანსზე" მივიდნენ. ლაკასეტს „მამლებში" ადგილის დამკვიდრება სურს და იგი, თანაგუნდელებთან ერთად მცდელობებს აგრძელებდა, მაგრამ **რემი გარდის** ბიჭებმა მეტი ვეღარ შეძლეს. ბოლოსკენ პირიქით, დედაქალაქელებს უფრო შეეძლოთ გატანა და საბოლოოდ, მათ სავსებით დამსახურებულად იმარჯვეს კიდეც. სხვათა შორის, საკმაოდ კარგად გამოიყურებოდა **ნიკოლა დუშეზი**, რომელსაც ბლანმა **სალვატორე სირიგუს** ნაცვლად თამაშის საშუალება მისცეს.

*„ძალიან გულდაწყვეტილები ვართ. ცუდად დავიწყეთ, მაგრამ შემდეგ თამაში გამოვასწორეთ და ერთადერთი, რაც შემიძლია, ჩემი ფეხბურთელების გამხნევებაა. ძალიან ვწუხვარ, მაგრამ ვიცოდით, რომ რთული იქნებოდა"* - განაცხადა გარდმა.

ალექსანდრ ლაკასეტი: *„რთული თამაში იყო. კარგად ვითამაშეთ და რამდენიმე მშვენიერი დეტალის დანახვა შეიძლება. გოლმა გამოგვაფხიზლა და მეორე ტაიმში მეტოქეს პრობლემები შევუქმენით, მაგრამ სამწუხაროდ, მეტი ვერ გავაკეთეთ".*

*„მახარებს და მსიამოვნებს ჩვენი ეს წარმატება. ვულოცავ ფეხბურთელებს, მთელ ტექნიკურ შტაბსა და ფანებს. ამ ტიტულის მოგება ბევრს ნიშნავს, მაგრამ უკეთ თამაში ყოველთვის შეიძლება. იმისათვის რომ განსაკუთრებული სეზონი გვქონდეს, ევროპაში უნდა გავიბრწყინოთ, ეს ყველას მიზანი და სურვილია"* - განაცხადა ბლანმა.

*„ლიგის თასის მოგება ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, აქამდე დიდი გზა გავიარეთ და გვახარებს, რომ მიზანს მივაღწიეთ. ბედნიერი ვარ ჩემი გოლებითაც, მაგრამ ამისთვის მადლობა თანაგუნდელებს უნდა ვუთხრა"* - აღნიშნა კავანიმ.

**გიორგი პაპაბაძე**

● ჭადრაკი



ნანა ძაგნიძე (მარჯვნივ) და ანტოანეტა სტეფანოვა

# გრან პრი დასრულდა, მსოფლიო იწყება

**ხანტი-მანსიისკში** მოჭადრაკე ქალთა ფიდეს გრან პრის მე-4 გათამაშებაზე გუშინ და გუშინწინ ბოლო ორი ტურის პარტიები გაიმართა. სამწუხაროდ, ვერ იყოჩალა ქართველმა დიდოსტატმა **ნანა ძაგნიძემ** - ჯერ მსოფლიოს ექსჩემპიონ ანა უშენინას (უკრაინა) დაუზავდა, ფარდის დაშვების წინ კი ჟაო სიუესთან (ჩინეთი) დამარცხდა და 5.5 ქულით მე-6 ადგილს დასჯერდა.

**მე-10 ტური.** ოლგა გირია (რუსეთი)-ტატიანა კოსინცევა (რუსეთი) 1:0, ალექსანდრა კოსტენიუკი (რუსეთი)-ნაფისა მუმინოვა (უზბეკეთი) 1:0, ჟაო სიუე (ჩინეთი)-ტუვშინთუგს ბატჩიმეგი (მონგოლეთი) 0:1, დაზავდნენ: ანა მუზიჩუკი (სლოვენია)-ჰოუ იფანი (ჩინეთი), ანტოანეტა სტეფანოვა (ბულგარეთი)-კატერინა ლაგნო (უკრაინა).

**მე11 ტური.** ლაგნო-უშენინა 1:0, მუმინოვა-სტეფანოვა 0:1, ყაიმზე შეთანხმდნენ: ჰოუ იფანი-კოსტენიუკი, კოსინცევა-მუზიჩუკი, ბატჩიმეგი-გირია.

**საბოლოო მდგომარეობა:** ჰოუ იფანი-8.5, ოლგა გირია-7, ალექსანდრა კოსტენიუკი-6.5, კატერინა ლაგნო, ანა მუზიჩუკი-6-6, ნანა ძაგნიძე, ანტოანეტა სტეფანოვა-5.5-5.5, ჟაო სიუე, ანა უშენინა-5-5, ნაფისა მუმინოვა-4, ტატიანა კოსინცევა, ტუვშინთუგს ბატჩიმეგი-3.5-3.5 ქულა.

ქალთა გრან პრის მე-5 ეტაპს ზაფხულში თბილისი უმასპინძლებს. საქართველოს დედაქალაქში ითამაშებენ: ანა მუზიჩუკი (სლოვენია), **ნანა ძაგნიძე, ბელა ხოტენაშვილი**, ჰამფი კონერუ (ინდოეთი), ცზიუ ვენძიუნი (ჩინეთი), კატერინა ლაგნო (უკრაინა), ანტოანეტა სტეფანოვა (ბულგარეთი), ჰარიკა დრონავალი (ინდოეთი), ჰოუ იფანი (ჩინეთი), ელინა დანიელიანი (სომხეთი), ჟაო სიუე (ჩინეთი), ნაფისა მუმინოვა (უზბეკეთი)...

ხანტი-მანსიისკშივე დღეს საზეიმოდ გაიხსნება მოჭადრაკე ქალთა მსოფლიოს ჩემპიონატები რაპიდსა და ბლიცში. მსგავს შეჯიბრებებს 1992 წელს დაედო სათავე. ორი წლის წინათ ბოლო ჩემპიონატზე, რომელსაც ბათუმმა უმასპინძლა, რაპიდში 11-დან 8.5 ქულით ანტოანეტა სტეფანოვამ გაიმარჯვა, ბლიცში კი 13-დან 11 ქულით ვალენტინა გუნინამ (რუსეთი) დაიკავა პირველი ადგილი. ხანტი-მანსიისკში 13 ქვეყნის 40 წარმომადგენელი იბრძოლებს საპრიზო ადგილებისთვის. საქართველოს სპორტულ ღირსებას ნანა ძაგნიძე, ბელა ხოტენაშვილი და **ნინო ბაციაშვილი** დაიცავენ. ტურნირის საპრიზო ფონდია 100.000 დოლარი. თითოეულ სახეობაში გამარჯვებული 12-12 ათასი დოლარით დაჯილდოვდება. 23-25 აპრილს რაპიდში (თითოეული პარტიისთვის 15-15 წუთი ყოველ სვლაზე 10-10 წამის დამატებით) 15 ტური გათამაშდება. 26-28 აპრილს ბლიცშიც (3 წუთს+2 წამი) 15 ტური გაიმართება, ოღონდ შეწყვილებული პარტიებით (თითოეული მონაწილე თეთრი ფიგურებითაც ითამაშებს და შავებითაც).

**ვაჟა დანელია**

● საფრანგეთი. ლიგა 1. XXXIV ტური

# რანიერა გაგრძელდება?

## აიაჩო ოფიციალურად გავარდა

### გოლთაცვენა

მიუხედავად იმისა, რომ ლიგის თასის ფინალის გამო, ლიგა ერთის 34-ე ტურის ორი მატჩი ოთხშაბათისთვის არის გადადებული, ორი შეხვედრა უგოლოდ დასრულდა, ხოლო ორიც მხოლოდ 1:0, მაინც თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ტური უხვგოლიანი გამოდგა, რადგან 4 შეხვედრაში 25 გოლი გავიდა...

პარასკევს „სენტ ეტიენმა" „რენს" უმასპინძლა და ისევ დაკარგა ქულები. „მწვანეები" ძალიან მონდინებულები იყვნენ, მაგრამ „რენი" ვერაფრით გატეხეს. ბრიტანელთა მთავარი მწვრთნელი **ფილიპ მონტანიე** კი ყურადღებას იმაზე ამახვილებდა, რომ მისი გუნდის შემადგენლობის დაახლოებით ნახევარი 19-დან 21 წლამდე ასაკის ფეხბურთელებით იყო დაკომპლექტებული და კარგი მომავალი გვაქვსო.

უგოლოდ დასრულდა „ველოდრომზე" გამართული შეხვედრაც. „მარსელმა" მატჩის მიწურულს ექსლილელი **დიმიტრი პაიეც** ჩართო თამაშში და ამჟამად „ლილის" საკუთრებაში მყოფი **ფლორიან ტოვენიც**, რომელმაც მომჯობინება მოასწრო. თუმცა მატჩის მსვლელობა ვერც მათ შეცვალეს და საბოლოოდ, ლოგიკური შედეგი დაფიქსირდა.

„ლილის" ვერმოგებით ისარგებლა „მონაკომ" და მეორე ადგილზე კიდევ უფრო გამყარდა. „სანაპიროს დერბი" **კლაუდიო რანიერის** გუნდს **დიმიტარ ბერბატოვმა** მოაგებინა, საოცარი სილამაზის გოლით. ბულგარელი შესაძლოა, აწვდიდა, მაგრამ მისი ტექნიკის მქონე ფეხბურთელისგან სულაც არ არის გამორიცხული, რომ სწორედ დარტყმა ჰქონოდა ჩაფიქრებული, ასეა თუ ისე, მან შესანიშნავად გადაავლო ბურთი თავზე **დავიდ ოსპინას** და ეს შეხვედრის ერთადერთი გოლი გამოდგა.

*„ვულოცავ ბიჭებს, კარგად ვითამაშეთ და მოგება დავიმსახურეთ. არ ვიცი, იყო თუ არა მინდორზე პრეზიდენტი, მაგრამ ვიცე-პრეზიდენტი ვადიმ ვასილიევი ნამდვილად ტრიბუნაზე იმყოფებოდა და მატჩის შემდეგ მან მითხრა, რომ მე მომავალ სეზონშიდაც გუნდის მწვრთნელი ვიქნები"* - განაცხადა გახარებულმა რანიერიმ.

საოცარი თამაში გამოვიდა ლორიანში, სადაც „მონპელიეს" მე-5 წუთზე **ენტონი მუნიეს** შეცვლა მოუხდა, ხოლო მეკარე **ჟოფრუა ჟურდრენი** 29-ე წუთზე გააძევეს. მიუხედავად ამისა, მუნიეს ნაცვლად შემოსულმა 20 წლის პერუელმა **ჟან დეზა სანჩესმა** საგოლე პასიც მიითვალა და თავადაც გაიტანა, ლამაზი დუბლით გამოირჩა **რემი კაბელია** და 81-ე წუთისთვის ათკაციანი მონპელიელები 4:1-ს იგებდნენ, მაგრამ **როლან კურბისის** გუნდმა ეს თამაში მაინც ვერ მოიგო... **ვენსან აბუბაქარმა** ისევ გაიბრწყინა, კამერუნელმა ჯერ საგოლე გადაცემა მიითვალა, ხოლო 91-ე და 93-ე წუთებზე თავად გაიტანა, რითაც ბომბარდირთა დავაში მეორე ადგილზე გადავიდა, ტაბლოზე კი 4:4 დაფიქსირდა.

8 გოლი გავიდა ვალანსიენშიც, მაგრამ მასპინძელთათვის სამწუხაროდ, აქედან 6 მათ კარში და **არიელ იაკობსის** გუნდმა გადარჩენის შანსი ფაქტობრივად დაკარგა. **მიშელ დერ ზაქარიანის** „იადონები" კი ათეულს მიუახლოვდნენ.

### რა ჩანს ფსკერზე?

„აიაჩო" ოფიციალურად გავარდა, რასაც, პრინციპში, უკვე შეგუებული იყო, მაგრამ მტკივნეული **კრისტიან ბრაკონის** გუნდისთვის ის არის, რომ ეს ოფიციალურად კორსიკულ დერბიში „ბასტიასთან" გაფორმდა. ყველაფერი მატჩის მიწურულს **სებასტიან სკილაჩის** გოლმა გადაწყვიტა.

*„ამაში ახალი არაფერია. გადარჩენის შანსი ფაქტობრივად აღარ გვქონდა და გავარდნას რამდენიმე თვის წინ შევეგუეთ. ახლა მთავარია სწრაფი რეაქცია გვქონდეს, მომავალზე ვიფიქროთ და მალე დავბრუნდეთ"* - აღნიშნა ბრაკონიმ, რომელსაც, როგორც ჩანს, პოსტზე ტოვებენ.

**სტ. ეტიენი-რენი 0:0**

**მონაკო-ნიცა 1:0**

**გოლი:** 1:0 ბერბატოვი (5)

**მონაკო (4-3-3):** სუბაშიჩი - ფაბინიო, რ. კარვალიო, აბდენური, რაჯი - ტულალანი, მოუტინიო, ობადი - ჯ. როდრიგესი (75. დირარი), ჟერმენი (65. კონდოგბია), ბერბატოვი (84. რივიერი)

**ბასტია-აიაჩო 2:1**

**გოლები:** 0:1 ა. კამარა (4), 1:1 რასპენტინო (32), 2:1 სკილაჩი (88)

**ბორდო-გენგამი 5:1**

**გოლები:** 1:0 დიაბატე (8), 2:0 დიაბატე (20), 3:0 დიაბატე (26), 3:1 დიალო (29), 4:1 ჟუსიე (48), 5:1 როლანი (68-პენ.)

**ლორიანი-მონპელიე 4:4**

**გოლები:** 0:1 კაბელია (26), 1:1 ალიადირი (32-პენ.), 1:2 ნიანგი (56), 1:3 დეზა (78), 1:4 კაბელია (81), 2:4 მონე-პაკე (87), 3:4 აბუბაქარი (90+1), 4:4 აბუბაქარი (90+3)

**გაძევება:** ჟურდრენი (29. მონპელიე)

**რეიმსი-სოშო 0:1**

**გოლი:** 0:1 კორშია (41)

**ვალანსიენი-ნანტი 2:6**

**გოლები:** 0:1 ოდელი (24), 0:2 ბედოია (41), 0:3 გაკპე (44), 0:4 გაკპე (54), 1:4 მეჯანი (79), 2:4 ბაებეკი (83), 2:5 მეჯანი (85-ს.კ-ში), 2:6 ნიკოლიცა (89)

**მარსელი-ლილი 0:0**

**მარსელი (4-2-3-1):** მანდანდა - ჯა ჯეჯე, ნკულუ, ლუკაშ მენდეში, მენდი - რომაო, შეირუ - ხელიფა (63. ტოვენი), ვალბუენა (74. პაიე), ა. აიუ - ჟინიაკი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პსჟ | 33 | 24 | 7 | 2 | 74-19 | 79 |
| 2. მონაკო | 34 | 21 | 9 | 4 | 55-27 | 72 |
| 3. ლილი | 34 | 18 | 10 | 6 | 38-20 | 64 |
| 4. სტ. ეტიენი | 34 | 16 | 9 | 9 | 46-31 | 57 |
| 5. ლიონი | 33 | 15 | 9 | 9 | 49-38 | 54 |
| 6. მარსელი | 34 | 14 | 10 | 10 | 46-36 | 52 |
| 7. ბორდო | 34 | 12 | 12 | 10 | 45-39 | 48 |
| 8. რეიმსი | 34 | 11 | 12 | 11 | 41-46 | 45 |
| 9. ტულუზი | 33 | 11 | 11 | 11 | 41-47 | 44 |
| 10. ბასტია | 34 | 12 | 8 | 14 | 38-51 | 44 |
| 11. ნანტი | 34 | 12 | 7 | 15 | 35-38 | 43 |
| 12. ლორიანი | 34 | 11 | 9 | 14 | 44-48 | 42 |
| 13. რენი | 34 | 9 | 12 | 13 | 40-40 | 39 |
| 14. მონპელიე | 34 | 7 | 18 | 9 | 43-44 | 39 |
| 15. ნიცა | 34 | 11 | 6 | 17 | 29-39 | 39 |
| 16. ევიანი | 33 | 9 | 11 | 13 | 33-47 | 38 |
| 17. გენგამი | 34 | 9 | 8 | 17 | 30-40 | 35 |
| 18. სოშო | 34 | 8 | 9 | 17 | 32-56 | 33 |
| 19. ვალანსიენი | 34 | 7 | 8 | 19 | 35-58 | 29 |
| 20. აიაჩო | 34 | 3 | 11 | 20 | 33-63 | 20 |

**ბომბარდირები:** 25 - ზლატან იბრაჰიმოვიჩი (პსჟ); 16 - ვენსან აბუბაქარი (ლორიანი); 15 - ედინსონ კავანი (პსჟ); 14 - ალექსანდრ ლაკასეტი (ლიონი); ანდრე-პიერ ჟინიაკი (მარსელი); 13 - რემი კაბელია (მონპელიე);

**მომდევნო მატჩები**

23 აპრილი: **პსჟ-ევიანი, ტულუზი-ლიონი**

**გიორგი პაპაბაძე**

● რეკორდი

# გოდერძის ახალი მიღწევა



**აღდგომის** ბრწყინვალე დღესასწაულის დღეს, **გოდერძი მახარაძემ** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ შუხუთში ლელობურთის ტრადიციული თამაშის დაწყებამდე მორიგი სარეკორდო ასპარეზობა გამართა. მისი მიზანი იყო ბათუმში 2011 წლის 16 ივლისს დამყარებული სისწრაფის რეკორდის – 10 წუთში ფეხბურთის ბურთის 1629-ჯერ აკენწვლის გაუმჯობესება. ეს ამოცანა გინესის მრავალგზის რეკორდსმენმა წარმატებით გადაჭრა - ამჯერად ბურთი იგივე დროში მან თავით 1700-ჯერ აკენწლა და თავისივე რეკორდი მნიშვნელოვნად გააუმჯობესა.

■ ■ ■

**გოდერძი მახარაძე:** მძლეოსანი, ფეხბურთელი, ფეხბურთის ბურთის ფლობის დიდოსტატი, საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი მძლეოსნურ კროსში და მსოფლიოს (გინესის) მრავალგზის რეკორდსმენი. დაიბადა ოზურგეთის რაიონის სოფელ ნაღობილევში .1972 წელს. სიმაღლე 180 სმ, წონა 87 კილოგრამი.

● ნიჩბოსნობა

# უხვი ნადავლით მინგეჩაურიდან



ბადრი ყაველაშვილი

აზერბაიჯანის ნიჩბოსნობის ფედერაცია ყოველწლიურად მართავს მინგეჩაურის საერთაშორისო რეგატას ქვეყნის პრეზიდენტის თასზე. წლევანდელ შეჯიბრებაში ჯილდოებისთვის მასპინძლებთან ერთად საქართველოს, თურქეთისა და ირანის წარმომადგენლებიც იბრძოდნენ. ჩვენი ქვეყნიდან არა მარტო ნაკრების წევრები მონაწილეობდნენ სამივე სახეობაში, არამედ დუშეთის თერთმეტკაციანი გუნდიც (მწვრთნელი **გოჩა ჩიხაშვილი**), რომელიც ადგილობრივმა მუნიციპალიტეტმა დააფინანსა.

აკადემიურ ნიჩბოსნობაში (გენერალური მდივანი **ვიტალი გრძელიშვილი,** მთავარი მწვრთნელი **დიმიტრი ლოლუა**) განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი უმცროსი ასაკის სპორტსმენებმა: ქუთაისელმა **გიორგი კოპალიანმა** 1999-2000 წლებში დაბადებულთა შორის ერთადგილიანი ნავით პირველი ადგილი დაიკავა. მანვე თანაქალაქელ **გიორგი ჯანელიძესთან** ორადგილიანი წყვილმოსასმელიანი ნავით მეორე ოქროს მედალი მოიპოვა. კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ მცხეთელები - **ფარნა კაპანაძე** და **ნოდარ მარტოლეკი,** რომლებმაც 16-17-წლიანებში ორადგილიანი წყვილმოსასმელიანი ნავთი აჯობეს ყველას. 18 წლის მცხეთელმა **არჩილ ბაიაშვილმა** უფროსებში იასპარეზა და მე-4 ადგილს დასჯერდა. საქმე ის არის, რომ ბაიაშვილი 18-წლამდელთა მსოფლიოს და ევროპის პირველობებისთვის ემზადება და ამჯერად უფროსებში ძალების მოსინჯვა ნაკრების ხელმძღვანელებმა უფრო მიზანშეწონილად მიიჩნიეს.

ბაიდარასა და კანოეში (მთავარი მწვრთნელი **კახაბერ ლომიშვილი**) ჩვენი სპორტსმენები უფრო ხვავრიელი ნადავლით დაბრუნდნენ: ერთადგილიანი ბაიდარათი თბილისელმა **ბადრი ყაველაშვილმა** უფროსებში 1000 მეტრზე მე-2 ადგილი დაიკავა, 200 მეტრზე მესამე იყო, ხოლო 500-ზე მე-5 ადგილით დაკმაყოფილდა. თვრამეტწლამდელებში **გელა ფიცხელაურმა** (თბილისი) 200 და 1000 მეტრზე ბრინჯაოს მედლები დაიმსახურა. უმცროს ასაკში (1999-2000 წ.წ.) თითო ოქრო-ვერცხლით დაიმშვენა მკერდი **ლუკა თხილაიშვილმა** (თბილისი), შესაბამისად, 500 და 200 მეტრზე.

დუშელებმა მინგეჩაურში შვიდი გოგონა ჩაიყვანეს და უმედლოდ არავინ დარჩენილა: უმცროს ასაკში **ანა ჯიქურაულმა** ერთადგილიან ბაიდარათი 500 მეტრზე ყველას აჯობა. იმავე დისტანციაზე მესამე იყო **მარიამ ყუფარაძე.** 18-წლამდელებში **თეონა შაბურიშვილმა** მედლების კოლექცია ორი ვერცხლით გაიმდიდრა - 200 და 500 მეტრზე მეორე იყო. მისი თანაგუნდელი **რუსუდან ჯიქურაული** 200 მეტრზე მესამე ადგილზე გავიდა, როგორც **ნინო ჯიქურაული** 500 მეტრზე. საგულისხმოა, რომ თითოეულ დისტანციაზე ფინალში 6-6 ნავი იბრძოდა საპრიზო ადგილებისთვის.

ორადგილიანი ბაიდარათი დუშელმა ბიძაშვილებმა - **ანა** და **ნინო ჯიქურაულებმა** 200 და 500 მეტრზე ოქროს მედლები მოიპოვეს. ამავე დისტანციებზე უმცროს ასაკში **დიანა ყარსიმაშვილმა** და მარიამ ყუფარაძემ ვერცხლის მედლები დაიმსახურეს.

კანოეში უფროსებში გამოდიოდა **ზაზა ნადირაძე.** როგორც კაიაკის ეროვნული ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **შალვა მუსოევმა** გვითხრა, აზერბაიჯანის საზღვარზე ნავების გადატანისას ჩვენებს პრობლემები ექმნებათ, ამიტომ მინგეჩაურში უნავოდ გაემგზავრნენ, მასპინძლების იმედად. რადგანაც ნადირაძე ყოველთვის ჯაბნის აზერბაიჯანელთა ნატურალიზებულ სპორტსმენებს, ამჯერად ზაზას მისთვის შეუფერებელი ნავი შეაჩეჩეს, ამიტომაც ქართველი სპორტსმენი 200 მეტრზე მე-5 ადგილზე გავიდა, 500 და 1000 მეტრზე ასპარეზობისგან კი თავი შეიკავა.

ახალგაზრდებში ფოთელი კანოისტი **მურმან მალანია** ცდიდა ძალებს. 200 მეტრზე მან პირველი, 500 მეტრზე კი მე-2 ადგილი დაიკავა. ზღვისპირელ სპორტსმენს მეტოქეობას უწევდა დუშელი **მალხაზ ჭინჭარაშვილი,** რომელიც 500 მეტრზე იყო საუკეთესო, 200-ზე კი ვერცხლს დასჯერდა.

რეგატაში მონაწილე არც ერთ ქვეყანას, საქართველოს გარდა, კანოეში მოასპარეზე გოგონა არ ჰყავდა, ამიტომ დუშელმა **მარიამ ქერდიკაშვილმა** 1999-2000 წლებში დაბადებულ ბიჭებს გაუწია ღირსეული მეტოქეობა: 200 და 500 მეტრზე ერთადგილიანი კანოეთი მას მხოლოდ მასპინძელმა მანსუროვმა გაუსწრო. მარიამს ორი ვერცხლი ერგო.

ავტორის ფოტოები



ანა და ნინო ჯიქურაულები

● ჩოგბურთი



მარცხნიდან: სოფიო შაფათავა, სოფიო ქვაცაბაია, ოქსანა კალაშნიკოვა, მარგალიტა ჩახნაშვილი-რანცინგერი და ეკატერინე გორგოძე

# პირველ ზონაში გადაინაცვლეს

საქართველოს ჩოგბურთელ ქალთა ნაკრებმა (**სოფიო შაფათავა, ოქსანა კალაშნიკოვა, ეკა გორგოძე, სოფიო ქვაცაბაია,** კაპიტანი - **მარგალიტა ჩახნაშვილი-რანცინგერი,** დელეგაციის ხელმძღვანელი **ლალი ზერეკიძე**) შესანიშნავად ითამაშა ლიტვურ შიაულიაში, სადაც ევროაფრიკული მეორე ზონის რვა გუნდი შეიკრიბა. უკვე გაუწყეთ, რომ ჩვენმა გოგონებმა ზედიზედ სძლიეს ეგვიპტესა (3:0) დ სამხრეთ აფრიკას (2:1). გასულ უქმეებზე კიდევ ორჯერ იზეიმეს გამარჯვება: ქვეჯგუფში ბოსნია-ჰერცეგოვინა მშრალი ანგარიშით დაამარცხეს - 3:0 (გორგოძე-ანიტა ჰუსარიჩი 7:5, 6:2, შაფათავა-ჟასმინა ტინჯიჩი- 6:4, 6:2, ოქსანა კალაშნიკოვა, შაფათავა-ჰუსარიჩი, ტინჯიჩი: პირველ სეტში ბოსნიელები 2:1-ს იგებდნენ, მაგრამ ერთ-ერთმა მათგანმა ტრავმა მიიღო და დუეტმა პაექრობის გაგრძელება ვერ შეძლო). პლეი ოფში საქართველოს ნაკრები A ჯუფის მეორეადგილოსან ფინეთს შეხვდა და 2:1 მოიგო (კალაშნიკოვა-ემა ლაინე 6:1, 5:7, 6:7, შაფათავა-პიია სოუმალაინენი 6:2, 6:2, კალაშნიკოვა, შაფათავა- ლაინე, სოუმალაინენი 6:4, 6:1), რითაც ევროაფრიკული ზონის პირველ ჯგუფში თამაშის უფლება მოიპოვა. ამ წარმატებაში განსაკუთრებით აღსანიშნავია საქართველოს ნომერ პირველი ჩოგბურთელის - სოფიკო შაფათავას წვლილი: იმის მიუხედავად, რომ მას ტრავმა აწუხებდა, რვაჯერ გავიდა კორტზე (ოთხჯერ - ერთეულებში, ამდენჯერვე - წყვილებში) და რვაჯერვე გამარჯვებულმა დატოვა სარბიელი.

ჩვენს ჯგუფში ორი მოგებით მეორეადგილზე გავიდა ბოსნია-ჰერცეგოვინა, რომელიც პლეი ოფში ლიხტენშტეინს დაუპირისპირდა, პაექრობა 0:2 დათმო (დეა ჰერძელასი-კატინკა ვონ დოიჩმანი 5: , 4:6, ჟასმინა ტინჯიჩი-შტეფანი ფოგტი 3:6, 1:6. წყვილთა ორთაბრძოლა არ გამართულა) და მეორე ზონაში ჩარჩა. პირველ ჯგუფში საქართველო და ლიხტენშტეინი ლუქსემბურგსა და სლოვენიას ჩაენაცვლებიან. გაისად მათ ასპარეზობა მოუწევთ ისეთ გუნებთან, როგორებიც არიან ბელარუსი, უკრაინა, ბელგია, უნგრეთი, ისრაელი, პორტუგალია, ხორვატია, დიდი ბრიტანეთი, თურქეთი, ბულგარეთი, ლატვია და მსოფლიოს მე-2 ჯგუფის პლეი ოფიდან დაქვეითებული ორი ნაკრები.

# სტამბოლში, შტუტგარტსა და ბუქარესტში



ნიკოლოზ ბასილაშვილი

საქართველოს ნაკრების ლიდერმა **სოფიო შაფათავამ** ეს-ეს არის წარმატებით დაასრულა ასპარეზობა ლიტვურ შიაულიაიში და შეუსვენებლად თურქეთს მიაშურა - ჩოგბურთელ ქალთა სტამბოლის 50-ათასიან ტურნირში ჩაებმება: ერთეულთა თანრიგის პირველ წრეში იტალიელ მარია-ელენა კამერინს შეხვდება. წყვილებში იგი პოლონელ პაულა კანიასთან ერთად მესამე ნომრადაა განთესილი და სტარტზე ჩეხების - პეტრა კრეიშოვას და ტერეზა შმიტკოვას დუეტს დაუპირისპირდება.

■ ■ ■

**ოქსანა კლაშნიკოვამ** (წყვილებში - 50-ე) გუშინ შტუტგარტის გრან პრის (საპრიზო ფონდი 710.000 დოლარი) გათამაშების პირველ წრეში წყვილთა შორის რუმინელ რალუკა ოლარუსთან (69-ე) ერთად ითამაშა, მაგრამ ელენა იანკოვიჩისა (სერბეთი, 23-ე) და ალისა კლეიბანოვას (რუსეთი, 138-ე) ტანდემთან ვერას გახდა - ორ სეტში დამარცხდა 3:6, 0:6.

■ ■ ■

რუმინეთის დედაქალაქში დაიწყო ჩოგბურთელ ვაჟთა საერთაშორისო ტურნირი (საპრიზო ფონდი 485.760 დოლარი), რომლის საკვალიფიკაციო ბადეში ჩაება **ნიკოლოზ ბასილაშვილი.** სტარტზე მან მატე პავიჩი (ხორვატია) დაამარცხა - 6:4, 6:4, გუშინ კი სამ სეტში ჰენრი ლააკსონენს (შვეიცარია) მოუგო - 6:7, 6:1, 6:4 და ძირითადი ბადის პირველ პაექრობას კვალიფიკაციის კიდევ ერთ გამარჯვებულ რიკარდას ბერანკისთან (ლიტვა) გამართავს. ბალტიისპირელი მსოფლიო კლასიფიკაციაში 157-ეა, ბასილაშვილი კი 310-ე საფეხურზე იმყოფება.

გვერდი მოამზადა
**ვაჟა დანელიამ**

● ხელბურთი

# თექვსმეტწლამდელები ემზადებიან

საქართველოს თექვსმეტწლამდელ ხელბურთელ გოგონათა და ვაჟთა ნაკრები გუნდები განაგრძობენ მზადებას 2015 წლის ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიური ფესტივალისთვის, რომელსაც თბილისი უმასპინძლებს. ორივე გუნდი აპრილ-მაისში თითო საწვრთნელ შეკრებას გამართავს და 2-2 საერთაშორისო ტურნირში ითამაშებს. გოგონებზე უკვე გაუწყეთ, რომ აზერბაიჯანში არიან შეკრებაზე, იქიდან კი ბელარუსის საერთაშორისო ტურნირზე გაემგზავრებიან.

ბიჭები საწვრთნელ შეკრებას 1 მაისამდე დუშეთში გაივლიან. მწვრთნელებმა 22 მოთამაშეს მოუყარეს თავი 12 კლუბიდან. ესენი არიან: **დათო მამულაშვილი** (რუსთავი), **გიორგი ხარაიშვილი** („იმედი“), **სანდრო ხანდოლიშვილი** („ქარიშხალა“), **ერეკლე არსენაშვილი** („ქარიშხალა“), **გიორგი ბიბილეიშვილი** („ფოთი“), **ბექა დანელიშვილი** („თელავი“), **გიორგი დოლმაზაშვილი** („ყვარელი“), **ლუკა გაწერელია** („პეგასი“), **ლევან მამულაშვილი** („ქარიშხალა“), **გიორგი მერკვილაძე** („ქუთაისი“), **ზაალ ზაალიშვილი** („შევარდენი“), **გიორგი მიქაძე** („ფოთი“), **ხაზეინ რუსტამოვი** („იმედი“), **გიგი ფერაძე** („ქარიშხალა“), **ენრიკე ბაზანოვი** („შევარდენი“), **გიორგი ტიელიძე** („გორი“), **ლუკა ბულბულაშვილი, ირაკლი კბილაშვილი** („ქარიშხალა“), **ზურაბ გოგავა, მიზეილ ნაზღაიძე** („პეგასი“), **ზეზვა იობაშვილი** („იმედი“), **გიორგი შევჩენკო** („მამული“), მწვრთნელები - **გიორგი ქობელაშვილი, გიორგი გვაზავა, ჯორჯე რაშიჩი.**

დუშეთიდან დაბრუნების შემდეგ ნაკრები უკრაინის ქალაქ ბროვარის ეწვევა და 6-11 მაისს იქაურ საერთაშორისო ტურნირში ითამაშებს უკრაინის, ბელარუსის, ლიტვის, მოლდოვის, პოლონეთის და რუსეთის გუნდებთან.

15-20 მაისს სახელოვანი ქართველი ხელბურთელის ჯემალ ცერცვაძის 75 წლისთავთან დაკავშირებით თბილისში 16-წლამდელთა საერთაშორისო ტურნირი გაიმართება, რომელშიც საქართველო ვაჟთა ორი გუნდით გამოვა უკრაინის, ბელარუსის, სომხეთისა და აზერბაიჯანის ხელბურთელთა წინააღმდეგ. გოგონათა ტურნირში ჩვენებთან ერთად იასპარეზებენ პოლონეთის, სომხეთისა და აზერბაიჯანის ნაკრებები, ასევე, უკრაინის ორი გუნდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძიუდო



# ტრადიციული ტურნირი გორში

გორის გურამ პაპიტაშვილის სახელობის ჭიდაობის კომპლექსური სპორტული სკოლის დარბაზმა მორიგ საინტერესო და მასშტაბურ შეჯიბრებას უმასპინძლა. სახელოვანი გორელი ფალავანის დურმიშხან ბერუაშვილის მემორიალური ტრადიციული ტურნირი ჭაბუკთა შორის ამ დარბაზში მერვედ გაიმართა. საერთოდ კი ამ ტურნირს გორში თითქმის ოთხი ათეული წლის ისტორია აქვს. შეჯიბრებამ უკანასკნელი რამდენიმე წელიწადია საერთაშორისო სტატუსი შეიძინა. ჩვენი ქვეყნის სპორტსმენთა გარდა ტატამზე ამჯერადაც გამოვიდნენ უცხოელი სპორტსმენები, კერძოდ, აზერბაიჯანის დედაქალაქის ძიუდოს კლუბის წარმომადგენლები.

150-მდე ჭაბუკი ძიუდოისტი რვა წონით კატეგორიაში არკვევდა საუკეთესოთა ვინაობას. წონით კატეგორიებში ორ-ორი გამარჯვებული ჰყავს გორს, ქარელს და თბილისს. მედლების ყველაზე მეტი რაოდენობა თბილისელებს ერგოთ, თუმცა ეს შედეგი დედაქალაქის ძიუდოს სამმა კლუბმა გადაინაწილა.

კვარცხლბეკზე დადგა ბერუაშვილების ოჯახის წარმომადგენელი **ზვიად ბერუაშვილი** (60 კგ). შეჯიბრებას ესწრებოდნენ დურმიშხან ბერუაშვილის ოჯახის წევრები, ქალაქის და შიდა ქართლის რეგიონის ხელმძღვანელები, აგრეთვე წარსულში ცნობილი ქართველი მოჭიდავეები. შეჯიბრებას ორგანიზებას უწევდა გორის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრი (ხელმძღვანელი ნოდარ მეტრეველი) და გურამ პაპიტაშვილის სახელობის ჭიდაობის კომპლექსური სპორტული სკოლა, რომლის დირექტორი **ანზორ თენაძე** ამავე დროს ტურნირის მთავარი მსაჯიც გახლდათ.

**კვარცხლბეკი**

**50 კგ.**

1. ზურა კახნიაშვილი (გორი)
2. კახა ალადაშვილი (ყვარელი)
3. გიორგი ხუროშვილი (გორი)
3. ახმედ იუსუპოვი (აზერბაიჯანი)

**55 კგ.**

1. თორნიკე გრიგალაშვილი
2. ბექა ციცქიშვილი (ორივე – ქარელი)
3. სოსო ასკილაშვილი
3. გიორგი დოლანაძე (ორივე – გორი)

**60 კგ.**

1. გიორგი მეტრეველი (გორი)
2. გიორგი ჭოხონელიძე
3. ვაჟა აბრამიშვილი (ორივე – თბილისი),
3. ზვიად ბერუაშვილი (ქარელი)

**66 კგ.**

1. გიორგი დიდებაშვილი (თბილისი)
2. მირიან მათიაშვილი (დუშეთი)
3. მიხეილ დოფიძე (ბოლნისი)
3. გელა ფერაძე (გორი)

**73 კგ.**

1. ნოდარ წამალაიძე
2. ვასო ბალაბანაშვილი
3. ირაკლი გადაბაძე (სამივე – თბილისი)
3. გიორგი მცურავიშვილი (გორი)

**81 კგ.**

1. გეორგ კარაპეტიანი (მარნეული)
2. ცოტნე ზურაბიანი,
3. გიროგი ქანდარია (ორივე – თბილისი)
3. ნიაზ დიასამიძე (ბოლნისი)

**90 კგ.**

1. გიორგი მულაძე (ქარელი)
2. ვოვა პეპინაშვილი
3. ვახო გაბარაშვილი
3. ოთარ გურგენიძე (სამივე - თბილისი)

**+90 კგ.**

1. შალვა გოგოჭური (თიანეთი)
2. გენადი ლომსაძე (თბილისი)
3. კაკი კუთხაშვილი
3. გიორგი ხითარიშვილი (ორივე – გორი);

ვასილ **ბალახაძე**
გორიდან

კალათბურთი. ქართველი ლიბანში

# მეოთხედფინალის პრელუდია

ლიბანის ჩემპიონატში დასრულდა ჯგუფური ეტაპი და გაირკვა მეოთხედფინალისტების ვინაობა. საპლეიოფო რვაეულში მოხვდა **გიორგი ცინცაძის** "ჩამპვილი", რომელსაც მეტოქედ "ალ რიადი" ერგო.

საინტერესოა, რომ ჩამპვილელები რეგულარული ეტაპის ბოლო შეხვედრაში სწორედ რიადელებს დაუპირისპირდნენ. „ალ რიადს" გამარჯვება სჭირდებოდა საიმისოდ, რომ პირველ ადგილზე გასულიყო და ეს მოახერხა კიდეც - 78:65. წაგებულმა „ჩამპვილმა" კი მე-8 ადგილი დაიკავა და მეოთხედფინალში, რომელიც 3 მოგებამდე გრძელდება, სწორედ ბოლო ტურის მეტოქეს შეუწყვილდა.

რაც შეეხება რეგულარულის დასკვნით მატჩს, მასში ცინცაძემ შეუცვლელად, 40 წუთი ითამაშა და 19 ქულა, 5 პასი, 1 ჩაჭრა და 1 დაფარება მიითვალა. ქართველ უკანახაზელზე ოდნავ უკეთესად იასპარესა **ვლადან ვუკოსავლევიჩმა,** რომელმაც 20 ქულა და 9 მოხსნა დააგროვა.

პლეი ოფი სტარტს 25 მაისს აიღებს. „ალ რიადი"-"ჩამპვილის" წყვილში მოედნის უპირატესობა ალრიადელებს აქვთ.

ვაჟა **სიმონიშვილი**



ფარქვეშ გიორგი ცინცაძე

კალათბურთი. ქართველები ესპანეთში



ვიქტორ სანიკიძემ მეტოქეს დაფარა

# წაგება შინ, მოგება სტუმრად

ესპანეთის ჩემპიონატის 28-ე ტურში **ბექა ბურჯანაძის** „კახასოლმა" სტუმრად „ლა ბრუისა" 97:72 დაამარცხა. ქართველმა ფორვარდმა აღნიშნულ შეხვედრაში 7 წუთი ითამაშა და ერთ მოხსნას დასჯერდა.

„კახასოლს" 15 მოგება, 13 წაგება აქვს და სატურნირო ცხრილში მე-8 ადგილზეა. მომდევნო ტურში, 26 აპრილს, „კახასოლი" „ესტუდიანტესს" უმასპინძლებს.

ვიქტორ სანიკიძის „სარაგოსა" კი შინ „უნიკახასთან" დამარცხდა. ცხრილში 2 საფეხურით მაღლა მყოფ მეტოქესთან გამარჯვება სარაგოსელებს ჰაერივით სჭირდებოდათ, თუმცა მძლავრ მეტოქესთან წარმატების მიღწევა სანიკიძის გუნდმა ვერ მოახერხა - 81:91.

ქართველმა ფორვარდმა სასტარტო ხუთეულში ითამაშა და მოედანზე 24 წუთი გაატარა. სანიკიძემ ოთხივე ორქულიანი ჩააგდო, 2 სამიანი კი ააცილა. 8 ქულასთან ერთად ვიქტორმა 5 მოხსნა, 2 ჩაჭრა და 1 დაფარება მოაგროვა, ბურთი კი ერთხელ დაკარგა. სარაგოსელთაგან საუკეთესო **მაიკლ როლი** იყო 14 ქულითა და 7 მოხსნით.

წაგების მიუხედავად, „სარაგოსა", რომელსაც 16 მოგების წილ 12 მარცხი აქვს, კვლავ მე-6 ადგილზე იმყოფება. მომდევნო შეხვედრას სანიკიძის გუნდი 27 აპრილს, „გიპუზკოასან" სტუმრად გამართავს.

ვაჟა **სიმონიშვილი**

კალათბურთი. ქართველი ევროლიგაზე

# ღირსეული ფინიში

**მანუჩარ მარკოიშვილმა** და მისმა "გალათასარაიმ" ევროლიგაზე გამოსვლა ღირსეულად დაასრულეს. მეოთხედფინალური სერიის ბოლო მატჩში ფიცხელი ბრძოლა გაუჩალეს ევროლიგის ერთ-ერთ ფავორიტ "ბარსელონას" და ბოლო წამებზე 78:75 დამარცხდნენ.

უნდა აღინიშნოს, რომ 2003 წლის შემდეგ მანუ პირველად გამოვიდა ევროლიგის პლეი ოფში, ხოლო "გალათასარაიმ" სწორედ წლევანდელ სეზონში უჩვენა ევროლიგაზე საუკეთესო შედეგი – მეოთხედფინალში ითამაშა. თუმცა იმის თქმაც შეიძლება, რომ "გალას" წლევანდელ სეზონში მეტის მიღწევაც შეეძლო, მას ხომ სეზონის დასაწყისში სასტარტო ცენტრი **ნათან ჯავაი** გამოაკლდა, რამაც სერიოზულად შეცვალა მწვრთნელის **ერგინ ატამანის** გეგმები. თავის მხრივ, მანუჩარ მარკოიშვილისთვისაც არ იყო სრულფასოვანი სეზონი, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ აქილევსის მყესის გაწყვეტის გამო მას სამი თვე გაუცდა.

ტრავმის შემდეგ მოედანზე დაბრუნებულმა მანუმ იოლად მოახერხა გუნდში თავისი ადგილის დაბრუნება და სასტარტო ხუთეულის უცვლელ წევრად იქცა. მწვრთნელი მას გადამწყვეტ მომენტში ყოველთვის ენდობოდა და ჩვენიანმა იმედები გაუმართლა კიდეც. ავიღოთ თუნდაც "ბარსასთან" სერიის მესამე შეხვედრის დასკვნითი მონაკვეთი: საფინალო სირენამდე წუთით ადრე მანუჩარმა მეტოქეს ბურთი ჩაუჭრა და "გალას" 9:1 გაქცევა ორქულიანით დაასრულა. შედეგად, თურქების ჩამორჩენა ორამდე შემცირდა – 68:70. მალე **მალიკ ჰეირსტონმა** "გალათასარაი" 72:70 დააწინაურა, თუმცა კატალონიელებმა სტამბოლში ქედი არ მოიხარეს, ბოლო წუთზე უკეთესად გაისარჯნენ და, როგორც დავწერეთ 78:75 გაიმარჯვეს. ეს გახლდათ "ბარსას" მიერ სერიაში მოგებული მესამე შეხვედრა, რაც იმას ნიშნავს, რომ მომდევნო ეტაპზე სწორედ ესპანური გუნდი გავიდა.



შეტევაში მანუჩარ მარკოიშვილი

მანუჩარს ორქულიანამდე კიდევ ორი სამიანი ჰქონდა ჩაგდებული და მატჩი 8 ქულით, 2 მოხსნით, 3 პასითა და 1 ჩაჭრით დაასრულა. მის ანგარიშზეა 2-დან 1 ორქულიანი და 4-დან 2 სამიანი. მანუს სარგებლიანობა მხოლოდ ციფრებით როდი გამოისახებოდა, მას "ბარსელონას" სნაიპერების მეურვეობა უწევდა, რასაც თავს კარგად ართმევდა.

"გალას" ბომბარდირი გამთამაშებელი **კარლოს აროიო** გახდა – 21 ქულა, ხოლო სტუმრებს **მარსელინიო უერტასი** გაუძღვათ – 16 ქულა.

ევროლიგაზე გამოსვლის დასრულების შემდეგ "გალათასარაის" საბრძოლველად ერთი ფრონტილა დარჩა – თურქეთის ჩემპიონატი, სადაც-არაერთი კარგი კლუბია. "გალა" შიდა პირველობაზე ერთ-ერთი ფავორიტთაგანია – მანუს თანაგუნდელები ხომ თურქეთის მოქმედი ჩემპიონები არიან.

ვაჟა **სიმონიშვილი**

PLAYOFFS
სუპერ ლიგა
თბილისის სპორტის სასახლე 29 აპრილი
შსს აკადემია vs ბათუმი 14:00
არმია vs რუსთავი 16:00
დინამო vs ოლიმპი 18:00
ქუთაისი vs სოხუმი 18:00 (ქუთაისი)

თარიღი

# აპრილი

**22. 1933.** დაიბადა გურამ ფანჯიკიძე — მწერალი, სპორტის თანამდგომი. გარდაიცვალა 1997 წელს

**23. 1923.** დაიბადა ზურაბ მაჩხანელი — ტყვიის მსროლელი \სტენდი\, მწვრთნელი. გარდაიცვალა 2014 წელს

**23. 1928.** დაიბადა სერგო ჯაიანი — ტანვარჯიში. გარდაიცვალა 1990 წელს

**23. 1941.** დაიბადა მარლენ პაპავა — ტყვიის სროლა. გარდაიცვალა 2010 წელს

**23. 1984.** დაიბადა ლელა ჯავახიშვილი — ჭადრაკი

**24. 1955.** დაიბადა თემურ ხუბულური — ძიუდო

**25. 1939.** დაიბადა იგორ დელა—როსა — მძლეოსნობა

**25. 1969.** დაიბადა გიორგი ჩოგოვაძე — წყალხტომა

**26. 1947.** დაიბადა თეიმურაზ კაკულია — ჩოგბურთი. გარდაიცვალა 2006 წელს

**26. 1953.** დაიბადა ოლეგ ლიპარტელიანი — რაგბი. გარდაიცვალა 2003 წელს

**26. 1969.** დაიბადა გიორგი კოლუაშვილი — ბ\რ ჭიდაობა

**27. 1937.** დაიბადა დიმიტრი შარაშენიძე — ალპინიზმი

**28. 1944.** დაიბადა გურამ გოგოლაური —სამბო, ძიუდო

**28. 1946.** დაიბადა ჯიბილო ნიჟარაძე — ძიუდო

**28. 1964.** დაიბადა გია გალდავა – თ\ჭ, მწვრთნელი

**28. 1969.** დაიბადა კახა წაქაძე — თხილ. ტრამპლ. ხტომა

28. 1983. დაიბადა კონსტანტინე კუპატაძე —კრივი

**28. 1983.** დაიბადა მინდია ბოდაველი — სამბო

**30. 1956.** დაიბადა ნიკოლოზ დერიუგინი —კალათბურთი

**30. 1957.** დაიბადა ვლადიმერ გურგენიძე — აკრობატიკა, მწვრთნელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

U-20

# ალაფაზე მეხუთეზე

**საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრები ჰონგ კონგში დასრულებულ მსოფლიოს ახალგაზრდულ ალაფაზე მეხუთე ადგილზე გავიდა. ჩვენმა გუნდმა ბოლო მატჩში ნამიბიის ნაკრები 46:17 დაამარცხა.**

ცხადია, ეს შედეგი სულაც არ არის დამაკმაყოფილებელი. „უმცროსმა ბორჯღალოსნებმა“ ოთხი თამაშიდან სამი მოიგეს. ზუსტად იდენტური შედეგი აქვს იაპონიის ნაკრებსაც, რომელმაც ფინალში ტონგას გუნდს მოუგო 35:10 და მომავალ წელს მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატზე იასპარეზებს. ჩვენს ნაკრებს კი კიდევ ერთი წელიწადი მოუწევს ლოდინი.

**გიორგი ნიჟარაძე,** საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტი:

*„ბიჭებმა ყველაფერი გაილეს დღევანდელ თამაშში. ბევრი მორაგბე ტრავმირებულია. უკანა ხაზში შეცვლაზე მორკინალი შევიდა. ფულბეკად ძალიან კარგად ითამაშა გიორგი ბაბუნაშვილმა. ბიჭებმა უდავოდ ყველაფერში აჯობეს ნამიბიელებს.*

*მეორე ტაიმში ტრავმებმა და დაღლილობამ იმატა. ბევრი ბიჭი იყო ტრავმირებული, მაგრამ იმის გამო, რომ შეცვლა არ იყო, მოუწიათ თითქმის მთელი მეორე ტაიმის ტრავმებით თამაშმა. რაც მთავარია, ხასიათი გამოავლინეს და ეპიზოდებში გუნდი იყო ის, რისთვისაც ეს ბიჭები გულშემატკივარს უყვარს - იყო შესანიშნავი კომბინაციები, ლამაზი ლელოები და ეპიზოდურად ვთამაშობდით ძალიან კარგ რაგბის.*

*ტურნირმა გვიჩვენა, რომ უამრავი პრობლემა გვაქვს. სტატისტიკის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ - სამი თამაში მოვიგეთ და ერთი წავაგეთ მინიმალური ხვაობით, მაგრამ ჩვენზე კარგად არავინ იცის, თუ რა არის ჩვენი პრობლემები. ეს პრობლემები ნათლად დავინახეთ. მთავარმა მწვრთნელმა, სამწვრთნელო შტაბმა და ყველამ ერთად ამის ანალიზი გავაკეთეთ. ვიცით, რაზეც გვაქვს სამუშაო და ამ მუშაობას დავიწყებთ ჩამოსვლისთანავე.*

*პირველ ეტაპზე გაკეთდება ორივე ტურნირის მიმოხილვა. ჰონგ კონგში იმყოფებოდა ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი, მილტონ ჰეიგი, რომელიც ტურნირის შემაჯამებელ ანალიზს გააკეთებს, ხოლო 18-წლამდელების ევროპის ჩემპიონატის ანალიზი მაიკლ ბრედლის აქვს დავალებული, რომელიც გუნდთან ერთად პოლონეთშია. შემდეგ შევიკრიბებით ეროვნულ სარაგბო აკადემიაში, დავსახავთ მიზნებს და დავიწყებთ ამ შეცდომების გამოსწორებაზე მუშაობას.*

*მსაჯობაზე მინდა აღვნიშნო, რომ ზოგადად მთელ ტურნირზე არის ძალიან ცუდი და არაკვალიფიციური მსაჯობა. მაგალითად, ვუყურეთ აშშ-ურუგვაის თამაშს და ბევრ შეცდომას უშვებდა მსაჯი ამერიკელების სასარგებლოდ. ცხადია, ეს ტურნირი წარმატებულად ვერ ჩაითვლება, ვინაიდან სულ სხვა მიზანი გვქონდა და სულ სხვა შედეგი მივიღეთ. მიუხედავად ამისა, მერწმუნეთ, რომ არც სატრაგედიოა რაიმე - არის უბრალოდ ძალიან ბევრი სამუშაო და ჩვენ ყველანი მზად ვართ ამ მუშაობისათვის“*

| საქართველო-ნამიბია | 46:17 |
|---|---|

საქართველო: 15. გიორგი ბაბუნაშვილი, 14. მურაზ გიორგაძე, 13. დევი დევსურაშვილი, 12. გიორგი ტალახაძე, 11. დავით გულიტაშვილი, 10. რეზო ჯინჭველაშვილი, 9. რევაზ ბროძელი. 1. ზაურ ხარებავა, 2. ბადრი ალხაზიშვილი, 3. გიორგი მარგველანი, 4. როლანდ კვაჭაძე, 5. ბესიკ ბარბაქაძე, 6. საბა შუბითიძე, 7. გიორგი სორდია, 8. ვახტანგ ამირანაშვილი.

16. გიორგი თორაძე, 17. დავით ფხაკაძე, 18. დავით პაპავაძე, 19. ბადრი დანგაძე, 20. ჟორა მლებრიშვილი, 21. თემურ თუთბერიძე, 22. ფარნავაზ გასვიანი.

| მსოფლიოს ალაფა | |
|---|---|
| **VII ადგილისთვის** | |
| ჰონგ კონგი-კანადა | 30:33 |
| **V ადგილისთვის** | |
| საქართველო-ნამიბია | 46:17 |
| **III ადგილისთვის** | |
| აშშ-ურუგვაი | 26:25 |
| **ფინალი** | |
| ტონგა-იაპონია | 10:35 |

**საბოლოო მდგომარეობა**

1. იაპონია, 2. ტონგა, 3. აშშ, 4. ურუგვაი, 5. საქართველო, 6. ნამიბია, 7. კანადა, 8. ჰონგ კონგი

U-18

# უარესად ვიდრე შარშან

**საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრებმა პოლონეთის ქალაქ პოზნანში დასრულებულ ევროპის ელიტურ ჩემპიონატში მეშვიდე ადგილი დაიკავა. „უმცროსმა ბორჯღალოსნებმა“ ბოლო მატჩში პორტუგალიის ნაკრები დაამარცხეს - 26:3**

ევროპის ჩემპიონის ტიტული კი ინგლისის ნაკრებმა მოიპოვა, რომელმაც ფინალში ირლანდიის ნაკრებს სძლია - 30:14.

**დავით ჩავლეიშვილი,** საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი:

*„ამ მატჩში ბევრად უკეთესად ვითამაშეთ, ვიდრე პირველ ორ შეხვედრაში. გუნდი აღარ ნერვიულობდა და, შესაბამისად, ბიჭებმა უფრო ლაღად ითამაშეს. სამწუხაროდ, ეს მხოლოდ ბოლო თამაშზე მოხდა. ბიჭები დარწმუნდნენ, რომ მაღალ დონეზე თამაში შეუძლიათ და მოიგეს.*

*მიმაჩნია, რომ სათამაშო გამოცდილების ნაკლებობის გამო ვერ შევძელით კარგი შედეგის ჩვენება და მეშვიდე ადგილზე გავედით. ხარვეზები და შეცდომები შევისწავლეთ, რასაც სამომავლოდ გავითვალისწინებთ.“*

საქართველო-პორტუგალია 26:3

საქართველო: 15. ირაკლი სვანიძე, 14. დავით ლობჟანიძე, 13. სანდრო ილურიძე, 12. გიორგი კოშაძე, 11. ბექა ნონიაშვილი, 10. ვასილ ლობჟანიძე, 9. ლაშა მამუჩარაშვილი. 1. ლუკა გოგინავა, 2. ვანო მარგალიტაძე, 3. ლაშა ტაბიძე, 4. მიხეილ ბაბუნაშვილი, 5. ბესიკ გოგოლაძე, 6. ლაშა საჯაია, 7. თორნიკე ზოიძე, 8. ბექა გორგაძე.

16. ნიკა ნეფარიძე, 17. შაქრო ლომსიანიძე, 18. ოთარ გიორგაძე, 19. გიორგი ხუროშვილი, 20. კოტე ახობაძე, 21. გიორგი მელაძე, 22. თორნიკე ხურცილავა.

| ევროპის ჩემპიონატი | |
|---|---|
| **VII ადგილისთვის** | |
| საქართველო-პორტუგალია 26:3 | |
| **V ადგილისთვის** | |
| შოტლანდია-იტალია | 24:15 |
| **III ადგილისთვის** | |
| უელსი-საფრანგეთი | 31:30 |
| **ფინალი** | |
| ინგლისი-ირლანდია | 30:14 |

**საბოლოო მდგომარეობა**

1. ინგლისი, 2. ირლანდია, 3. უელსი, 4. საფრანგეთი, 5. შოტლანდია, 6. იტალია, 7. საქართველო, 8. პორტუგალია.

U-16

# ორჯერ ძლეული ვატერლოო

საქართველოში სტუმრად მყოფმა ბელგიური კლუბის „ვატერლოოს“ 17-წლამდელთა გუნდმა საქართველოს რაგბის ეროვნული აკადემიის 16-წლამდელებთან მეორე შეხვედრა გამართა. ჩვენმა ნორჩმა მორაგბეებმა მეტოქეს ამჯერადაც მოუგეს, ოღონდ პირველი მატჩისგან განსხვავებით ოდნავ მოკრძალებული ანგარიშით - 22:15.

შეგახსენებთ, რომ ამ გუნდებს შორის პირველი მატჩი ქართველმა მორაგბეებმა დიდი ანგარიშით 55:0 მოიგეს.

განმეორებითი შეხვედრის შემდეგ, „ვატერლოოს“ სამწვრთნელო შტაბის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ თბილისურ შეკრებაზე, გუნდმა ფასდაუდებელი გამოცდილება შეიძინა, რომელიც მათ საშინაო ჩემპიონატის მატჩებში აუცილებლად გამოადგებათ.

**სარაგბო აკადემია**

**დავით ივანოვი (რაინდები), ლევან პაპიძე (ლელო), გიორგი კვირიკაშვილი, არსენ მაჩალაძე, დავით კლდიაშვილი (აია), გიორგი ვაშკლევიჩი, სანდრო კალმახელიძე, არდაშ დარბოევი, შოთა ხავთასი, სანდრო ნახუცრიშვილი (არმია), მერაბ ცერცვაძე (იმერეთი), შოთა ხონელიძე, ირაკლი ტრაპაიძე, თორნიკე ვახანია (ხულიგანა), გელა აფრასიძე, ლუკა დვალიშვილი, ნიკა კაპანაძე, გივი რომელაშვილი (თსუ), რატი ნანსყანი (არმაზი), გიორგი თოთლაძე (ჯვაროსნები), ირაკლი სარიშვილი (მერანი), გიოგი წიკლაური (ჯიქი), ლაშა პაპიძე (ბათუმი), გიორგი ნარიმანიძე (ხარები).**



ეროვნული აკადემია - ვატერლოო

ლეგიონერები



ჯაბა ბრეგვაძე მეტოქის მარწუხებში

# პლეი ოფში უკვე ოთხია

**საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტურ, პირველ დივიზიონში რეგულარული გათამაშების დასრულებამდე ერთი ტურიღა დარჩა. უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ „მონპელიესთან“ ერთად პლეი ოფში კიდევ სამმა „ქართულმა გუნდმა“,- „ტულონმა“, „კლერმონმა“ და „მეტრო რასინგმა“ გააღწია. რადიკალურად დაიძაბა ვითარება სატურნირო ცხრილის მეორე ნახევარში, სადაც დივიზიონიდან გავარდნა ერთბაშად ოთხ გუნდს ემუქრება.**

ბოლოსწინა ტურის შემდეგ გათამაშებას სათავეში **ლევან ჩილაჩავასა** და **კონსტანტინე მიქაუტაძის „ტულონი“** ჩაუდგა, რომელმაც სტუმრად მოუგო **გიორგი ჟღენტის** „პერპინიანის“ - 46:31. სტუმრებმა შესანიშნავად ითამაშეს და მეტოქეს ოთხი ლელო გაუტანეს. ყველაზე შედეგიანი კი მგეზავი **ფრედერიკ მიშალაკი** იყო, რომელმაც ოთხი გარდასახვა და ექვსი საჯარიმო გაიტანა (26 ქულა).

მიქაუტაძემ სრულად ითამაშა, ჩილაჩავა 52-ე წუთზე შეცვალეს, ჟღენტი თამაშში 26-ე წუთიდან ჩაერთო.

პირველი საფეხურიდან მეორეზე გადაინაცვლა **მამუკა გორგოძისა** და **მიხეილ ნარიაშვილის** „მონპელიემ“, რომელმაც სტუმრად წააგო ქვეყნის მოქმედ ჩემპიონთან, **ანტონ ფეიქრიშვილის** „კასტრთან“ - 15:22.

ქართველი მორაგბეებიდან მხოლოდ ნარიაშვილმა ითამაშა, რომელიც 58-ე წუთზე შეცვალეს.

„მონპელიეს“ კვალში უდგანან **დავით ზირაქაშვილის** „კლერმონი“ და **დავით ხინჩაგიშვილის** „მეტრო რასინგი“, რომლებსაც თანაბარი, 69 ქულა დაუგროვდათ და მესამე-მეოთხე ადგილებს იყოფენ. ბოლოსწინა ტურში, პარიზში სწორედ ეს გუნდები დადგნენ ერთმანეთის პირისპირ და გამარჯვებას „მეტრო რასინგმა“ მიაღწია - 22:6. ქართველ მორაგბეებს არ უთამაშიათ.

თანაბარი, 64-64 ქულა დაუგროვდათ **ვასილ კაკოვინისა** და **ჯაბა ბრეგვაძის** „ტულუზსა“ და **დავით ქუბრიაშვილისა** და **ზურაბ ჟვანიას** „სტად ფრანსეს“, რომლებიც მეექვსე-მეშვიდე ადგილებს იყოფენ.

„ტულუზმა“ სტუმრად ფრედ ითამაშა ერთ-ერთ აუტსაიდერ „ოიონაქსთან“ - 19:19. კაკოვინი ტრავმირებულია და არ უთამაშია, ბრეგვაძე ძირითად შემადგენლობაში იყო და 56-ე წუთზე შეცვალეს.

„სტად ფრანსემ“ კი შინ დაამარცხა **ზაზა ნავროზაშვილის „ბორდო“** - 37:23. ჟვანია თამაშში 73-ე წუთიდან ჩაერთო, ნავროზაშვილი მოედანზე ოთხი წუთის შემდეგ გამოჩნდა, ქუბრიაშვილი განაცხადში არ იყო.

პლეი ოფში მოხვედრის შანსი დაკარგა **კარლენ ასეიშვილისა** და **გოდერძი შველიძის** „ბრივმა“, რომელმაც სტუმრად წააგო დივიზიონიდან უკვე გავარდნილ „ბასკურ „ბიარიცთან“ - 13:19. ასეიშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და 45-ე წუთზე შეცვალეს, შველიძე განაცხადში არ იყო.

**I დივიზიონი**

**XXV ტური**

**კასტრი-მონპელიე 22:15, ოიონაქსი-ტულუზი 19:19, პერპინიანი-ტულონი 31:46, ბირიცი-ბრივი 19:13, გრენობლი-ბაიონი 21:21, მეტრო რასინგი-კლერმონი 22:6, სტად ფრანსე-ბორდო 37:23.**

**სატურნირო მდგომარეობა**

**1. ტულონი - 73 ქულა, 2. მონპელიე - 71, 3. კლერმონი - 69, 4. მეტრო რასინგი - 69, 5. კასტრი - 66, 6. ტულუზი - 64, 7. სტად ფრანსე - 64, 8. ბორდო - 59, 9. ბრივი - 57, 10. გრენობლი - 53, 11. ბაიონი - 50, 12. პერპინიანი - 50, 13. ოიონაქსი - 50, 14. ბიარიცი - 30.**

**XXVI ტური**

**ბორდო-ბიარიცი, ბაიონი-კასტრი, ტულუზი-გრენობლი, ბრივი-ოიონაქსი, ტულონი-სტად ფრანსე, კლერმონი-პერპინიანი, მონპელიე-მეტრო რასინგი.**

მერვედფინალის პირველი შეხვედრები გაიმართა ფედერალ 1 დივიზიონში. **შალვა სუთიაშვილის, დავით დადუნაშვილის, დავით აშვეთიასა** და **ელიზბარ ყუფარაძის „მასიმ“** სტუმრად მოუგო **თედო ზიბზიბაძისა** და **გიორგი გაბელიას „პერიგოს“** - 34:15. სუთიაშვილმა, რომელმაც სრულად ითამაშა, მე-20 წუთზე ლელო გაიტანა, კიდევ 20 წუთის შემდეგ კი არბიტრმა სინბინში გაუშვა, ყუფარაძემ თავიდან ბოლომდე ითამაშა, დადუნაშვილი 51-ე წუთზე შეცვალეს, გაბელიამ მოედანზე 22 წუთით მეტი დაყო, აშვეთიასა და ზიბზიბაძეს არ უთამაშიათ.

**გიორგი სორდიას „ლილმა“** შინ მოუგო „ლანჟონის“ 38:15. ქართველი მორაგბე საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრების შემადგენლობაში ჰონგ კონგში იმყოფებოდა.

**ავთანდილ კოპალიანის „მაკონიმ“** კი სტუმრად მოუგო „კასტანეს“ - 19:16. კოპალიანი ძირითად შემადგენლობაში იყო და 77-ე წუთზე შეცვალეს.

**ფედერალ 1**

**მერვედფინალი**

**პერიგო-მასი 15:34, ექსი-ოლორონი 24:16, როდეზი-ნვერი 6:22, ლა სეინი-ტიროსი 38:29, ლილი-ლანჟონი 38:15, კასტანე-მაკონი 16:19, ვანი-მონტობანი 13:16, ლანამეზანი-ობენა 24:23.**

გვერდი მოამზადა

**ბესიკ ჯანგავაძემ**

● ინტერვიუ გიორგი ბეინაშვილთან

# მოლექსე ფალავანი ლამისყანიდან

**ლამისყანელი (კასპის რ-ნი) ფალავანი გიორგი ბეინაშვილი, უფროსი თაობის მოჭიდავეთა და ქომაგთათვის კარგადაა ცნობილი. იგი 60-70-იან წლებში გამოდიოდა საჭიდაო არენაზე და წარმატებებიც მრავლად მოუხვეჭავს. ბეინაშვილი იმ იშვიათთა შორისაა, რომელსაც ჭიდაობის ხუთ (ძიუდო, სამბო, ქართული, თავისუფალი, ბერძნულ-რომაული) სახეობაში უასპარეზია. არაერთი ტიტული მოიპოვა. შემდეგ მწვრთნელობას მიჰყო ხელი და დღემდე ავარჯიშებს სპორტსმენებს. მრავალფეროვანი საქმიანობა სპორტში იმითაც გააფართოვა, რომ ჩვენს სახელოვან ფალავნებზე ლექსების წერა დაიწყო და თითქმის ყველა ცნობილი ქართველი მოჭიდავისთვის ლექსი აქვს მიძღვნილი.**

**გიორგი ბეინაშვილს კასპში შევხვდით და მისი კარიერის საინტერესო ეპიზოდებზე ვესაუბრეთ.**

- ჭიდაობა მამაჩემმა შემაყვარა, რომელიც თავადაც კარგი ფალავანი იყო. ერთხელ ჩემს მშობლიურ სოფელ ლამისყანაში სახელოვანმა ფალავანმა გოგლა რამაზაშვილმა შემაქო - ეს ბიჭი რეჟიმს თუ დაიცავს, კარგი მოჭიდავე დადგებაო. მისი შეფასება ყველასთვის მნიშვნელოვანი იყო და მეც გაორმაგებული ჟინით შევუდექი ვარჯიშს სოფლად.

მე-8 კლასში ვიყავი, ლამისყანელებმა რაიონის პირველობა რომ მოვიგეთ და როგორც პერსპექტიული მოჭიდავეები, ბალხამიშვილმა მყისვე კასპში წაგვიყვანა სავარჯიშოდ. იქ მწვრთნელად ლავრენტი კაციაშვილი დაგვხვდა. მისი ხელმძღვანელობით მოვიგე სპორტსაზოგადოება „კოლმეურნეს" საქართველოს პირველობა, მერე ჭაბუკთა შორის საკავშირო პირველობის ოქროს მედალიც მოვიგე და გორის პედაგოგიური ინსტიტუტიდან გურამ პაპიტაშვილის შემოთავაზებამაც არ დააყოვნა. ბატონი გურამი და სასწავლებლის რექტორი გიორგი ხარაული ხომ იმედისმომცემ მოჭიდავეებს მთელ საქართველოში ეძებდნენ. გორის ინსტიტუტში პირველ წელს ვერ ჩავაბარე გამოცდები, რაზედაც ხარაულს თურმე გული დასწყდა და მასწავლებლები მომიჩინა მოსამზადებლად. სტუდენტი მეორე ცდაზე 1963 წელს გავხდი და ახალი ხანა დაიწყო ჩემს სპორტულ კარიერაში.

**- გორის ინსტიტუტის სტუდენტთა შორის ტიტულოვანი ფალავნები მრავლად იყვნენ. როგორი ურთიერთობა იყო მათსა და ახალბედებს, ან პროფესორ-მასწავლებლებს შორის?**

- პაპიტაშვილი და ხარაული ყველაფერს აკეთებდნენ სპორტსმენებისთვის. ვისაც ახალი დაწყებული გვქონდა სწავლა და სასწავლებლის დარბაზში ვარჯიში, ვგრძნობდით გამოცდილი მოჭიდავეების თანადგომას. ქიბრონაშვილი, ბალაკაშვილი, კაჩმაზაშვილი საერთაშორისო შეჯიბრებებიდან რომ ჩამოვიდოდნენ, ჩვენც გვიზიარებდნენ მიღებულ გამოცდილებას. გვაცნობდნენ ახალ ტენდენციებს ძიუდოსა და სამბოში. საკმაოდ კარგი დამოკიდებულება ჰქონდათ ახალგაზრდებთან. დარბაზში წარმატებული სპორტსმენის ვარჯიში ხომ დანარჩენებს მონდომებას უორმაგებს.

**- თქვენი კარიერისას ორი დიდი სპეციალისტის გურამ პაპიტაშვილის და ლავრენტი კაციაშვილის ხელმძღვანელობით ასპარეზობდით. როგორ დაახასიათებთ მათ?**

- კაციაშვილი ემოციური კაცი იყო, არენის გარედან გამუდმებით კარნახობდა ფალავანს, განსაკუთრებით „გადავლება" უყვარდა ფანდებიდან. თავისი შეგირდის დასაცავად ბევრს კამათობდა მსაჯებთან. პაპიტაშვილი კი, რასაკვირველია, გამოცდილი და მრავლისმნახველი მწვრთნელი გახლავთ. მწვრთნელობისას იგი მეტად პრინციპული იყო და განზრახვას გულში თუ ამოიჭრიდა, უთუოდ შეასრულებდა. ალიზიანებდა შეგირდების მხრიდან საქმის მიმართ ზედაპირული დამოკიდებულება. მისი პრინციპულობის გამო იყო, რომ ჩოხიანი სახეობების გარდა რამდენჯერმე თავისუფალი სტილის ჭიდაობაში, ერთხელ კი კლასიკურშიც ვიჭიდავე.

**- ხარაულს როგორი დამოკიდებულება ჰქონდა სტუდენტებთან?**

- ძალიან კარგი პიროვნება იყო. დარბაზში არ ჩამოდიოდა, მაგრამ ყველა შეჯიბრების წინ მის კაბინეტში შეგვკრებდა და საშეჯიბროდ დარიგებას მოგვცემდა ხოლმე. ეფექტურად მოჭიდავე ფალავნებს განსაკუთრებით დიდ პატივს სცემდა.

**- თქვენი მთავარი საასპარეზო არენა სამბო იყო...**

- დიახ, სამბოში მაქვს მოპოვებული ყველაზე მეტი მედალი საკავშირო პირველობებზე, როგორც დიდებში, ისე ახალგაზრდებსა და ჭაბუკებში. ქართულ ჭიდაობაში საქართველოს ჩემპიონი რამდენჯერმე გავხდი. ძიუდოში ბოლონიის საერთაშორისო ტურნირი მოვიგე 1966 წელს, ფინალში იტალიელ ძიუდოისტთან გადამწყვეტი გდება - მოგვერდი ძალიან ლამაზი გამომივიდა, მაგრამ დაცემისას, სამწუხაროდ, ხელი მოტყდა მოწინააღმდეგეს.

**- თქვენს სპორტულ კარიერაში ყველაზე მეტად რაზე გწყდებათ გული?**

- ორჯერ ძიუდოში სტუდენტთა მსოფლიო უნივერსიადაზე წასვლის შანსი მქონდა, მაგრამ... ჯერ 1967 წელს ტოკიოში არ გაგვიშვეს პოლიტიკური მოსაზრებებით, შემდეგ 1968 წელს უკვე ლისაბონში გასამართ უნივერსიადაზე გვითხეს უარი ისევ სსრკ-ს პოლიტიკური დამოკიდებულების გამო მასპინძელ ქვეყანასთან.

**- მწვრთნელობა როდის დაიწყეთ?**

- გაისად ორმოცი წელი შესრულდება, რაც მწვრთნელი ვარ. თუმცა, ერთხანს მაინც არ ვეშვებოდი ჭიდაობას და სპორტსაზოგადოება „კოლმეურნეს" სახელით კიდევ სამჯერ მოვიგე საკავშირო პირველობა. მას შემდეგ კასპში ვავარჯიშებ სამივე სახეობის ჩოხიანი ჭიდაობის სპორტსმენებს. აღზრდილი მყავს ბევრი წარმატებული შეგირდი. მწვრთნელობის და ზოგადად სპორტის გარეშე ვერ წარმომიდგენია ცხოვრება.

**- ლექსების წერა როდის დაიწყეთ?**

- 1999 წელს სახელოვანი ფალავნის ვანო გამხიტაშვილის და შემდეგ ჩემი შვილის, რომელიც ასევე მოჭიდავე იყო - ტრაგიკულად დაღუპვის შემდეგ მათ ლექსები მივუძღვენი. მას შემდეგ კი აღარც გავჩერებულვარ და რამდენიმე ათეული ყოფილი თუ მოქმედი ქართველი სპორტსმენისათვის დამიწერია ლექსი. კეთილი ადამიანების დახმარებით ორჯერ კრებულიც გამოვეცი. ახლა მესამის გამოცემაზეც ვმუშაობ.

**ვასილ ბალახაძე**
კასპიდან



გიორგი ბენიაშვილი

● ჰოკეი. NHL პლეი ოფი



### აღმოსავლეთი

**ბოსტონი-დეტროიტი 0:1**

0:0, 0:0, 0:1

**გოლი:** 0:1 დაციუკი-1 (ფრანცენი-1).

**ბოსტონი-დეტროიტი 4:1**

2:0, 1:1, 1:0

**გოლები:** 1:0 ფლორეკი-1, 2:0 რ. სმიტი-1 (ლ. ერიქსონი-1, პ. ბერჟერონი-1), 2:1 გლენდენინგი-1 (ჰელმი-1, დ. მილერი-1), 3:1 ლუჩიჩი-1 (იგინლა-1, კრუგი-1), 4:1 ხარა-1 (იგინლა-2, კრუგი-2).

**სერია:** 1-1

**რეინჯერსი-ფილადელფია 4:1**

1:1, 0:0, 3:0

**გოლები:** 0:1 ენდრიუ მაკდონალდი-1 (ჰარტნელი-1), 1:1 ცუკარელო-1 (პულიო-1, მ. სტაალი-1), 2:1 ბ. რიჩარდსი-1 (სან ლუი-1, რიკ ნეში-1), 3:1 სტეპანი-1 (ბ. რიჩარდსი-1, სან ლუი-2), 4:1 ჰაგელინი-1 (ბ. რიჩარდსი-2, ფასტი-1).

**რეინჯერსი-ფილადელფია 2:4**

2:1, 0:2, 0:1

**გოლები:** 1:0 სან ლუი-1 (სტეპანი-1, რიკ ნეში-2), 2:0 პულიო-1 (ბრასარი-1, ცუკარელო-1), 2:1 ვორაჩეკი-1 (ჰარტნელი-2, ჟირუ-1), 2:2 ეკესონი-1 (ბ. შენი-1, ლევაკალიე-1), 2:3 ლ. შენი-1 (ა. ჰოლი-1, რაფლი-1), 2:4 სიმონდსი-1 (რიდი-1).

**სერია:** 1-1

**ტამპა ბეი-მონრეალი 1:4**

0:0, 0:2, 1:2

**გოლები:** 0:1 დეშარნე-1 (საბენი-1, პასიორეტი-1), 0:2 რ. ბურკი-1 (ვანეკი-1, საბენი-2), 0:3 გალაჰერი-1, 0:4 რ. ბურკი-2 (ელერი-2), 1:4 პურსელი-1 (ჰედმანი-1, ფილპულა-1).

**მონრეალი-ტამპა ბეი 3:2**

1:0, 1:1, 1:1

**გოლები:** 1:0 რ. ბურკი-3 (საბენი-3), 1:1 პალატი-1 (სტემკოსი-1, ჰედმანი-2), 2:1 გალაჰერი-2 (საბენი-4, ელერი-3), 3:1 პლეკანეცი-2 (პრუსტი-1, გალაჰერი-2), 3:2 მეტიუ კარლი-1 (სტემკოსი-2, გუდასი-1).

**სერია:** 3-0

**პიტსბურგი-კოლამბუსი 3:4 (2ო)**

3:1, 0:1, 0:1, 0:0, 0:1

**გოლები:** 1:0 გიბონსი-1 (ნისკანენი-2, კროსბი-2), 2:0 გიბონსი-2 (პ. მარტინი-3, ორპიკი-1), 2:1 რ. იოჰანსენი-1 (სავარი-1, რ. მიური-1), 3:1 ნისკანენი-2 (პ. მარტინი-4, კროსბი-3), 3:2 კალვერტი-1 (ანისიმოვი-1, სავარი-2), 3:3 ჯ. ჯონსონი-2 (რ. იოჰანსენი-1, ჯენერი-2), 3:4 კალვერტი-2 (ატკინსონი-1, დუბინსკი-2).

**სერია:** 1-1

### დასავლეთი

**სტ. ლუისი-ჩიკაგო 4:3 (3ო)**

2:3, 0:0, 1:0, 0:0, 0:0, 1:0

**გოლები:** 1:0 კარკნელი-1 (ლაპიერი-1, პორტერი-1), 1:1 ოდუია-1 (საადი-1, ტეივზი-1), 1:2 სიბრუკი-1 (ვერსტიგი-1, ლედი-1), 2:2 ტარასენკო-1 (შატენკირკი-1, ჯეკმენი-1), 2:3 პ. კეინი-1 (ტეივზი-2, სიბრუკი-1), 3:3 შვარცი-1 (დ. როუ-1), 4:3 სტინი-1 (ოტი-1, ბეკსი-1).

**სტ. ლუისი-ჩიკაგო 4:3 (ო)**

2:0, 0:1, 1:2, 1:0

**გოლები:** 1:0 პორტერი-1 (ლეოპოლდი-1, შატენკირკი-2), 2:0 შატენკირკი-1 (შვარცი-1, სობოტკა-1), 2:1 კიტი-1 (ვერსტიგი-2, სიბრუკი-2), 2:2 სიბრუკი-2 (საადი-2, ოდუია-1), 2:3 როჟსივალი-1 (საადი-3), 3:3 ტარასენკო-2 (პიეტრანჯელო-1, შატენკირკი-3), 4:3 ჯეკმენი-1 (პოლაკი-1, სობოტკა-2).

**სერია:** 2-0

**კოლორადო-მინესოტა 5:4 (ო)**

1:1, 1:3, 2:0, 1:0

**გოლები:** 1:0 ლანდესკოგი-1 (პ. შჩასტნი-1, მაკგინი-1), 1:1 კოილი-1 (პარიზე-1, სკანდელა-1), 1:2 რ. სატერი-1 (მ. კოივუ-1, პარიზე-2), 2:2 რ. ო'რაილი-1 (მაკინონი-1, ბერი-1), 2:3 ჰაულა-1 (ბროდინი-1), 2:4 ბროძიაკი-1 (კუკი-1, ნიდერაიტერი-1), 3:4 მაკგინი-1 (რ. ო'რაილი-1), 4:4 პ. შჩასტნი-1 (ე. ჯონსონი-1, მაკინონი-2), 5:4 პ. შჩასტნი-2 (მაკინონი-3, ბერი-2).

**კოლორადო-მინესოტა 4:3**

1:1, 2:0, 1:1

**გოლები:** 0:1 კოილი-2 (მ. კოივუ-2, რ. სატერი-1), 1:1 მაკინონი-1 (პ. შჩასტნი-2, ჰოლდენი-1), 2:1 ლანდესკოგი-2 (მაკინონი-4, პ. შჩასტნი-3), 3:1 ლანდესკოგი-3 (პ. შჩასტნი-4, მაკინონი-5), 3:2 სკანდელა-1 (მ. კოივუ-3, პარიზე-3), 4:2 პ. შჩასტნი-3 (მაკინონი-6).

**სერია:** 2-0

**სან ხოსე-ლოს ანჯელესი 6:3**

3:0, 2:0, 1:3

**გოლები:** 1:0 ჯ. ტორნტონი-1 (პაველსკი-1, ბარნსი-1), 2:0 ჰერტლი-1 (შეპარდი-1, უინგელსი-1), 3:0 მარლო-1 (ნიეტო-1, შეპარდი-2), 4:0 ტორესი-1 (მ. ბრაუნი-1, ვლასიკი-1), 5:0 ვლასიკი-1 (ჰერტლი-1, კუტური-1), 5:1 მუზინი-1 (კოპიტარი-1), 5:2 ვოინოვი-1, 5:3 ტ. ლუისი-1 (ჯ. კარტერი-1, რეგერი-1), 6:3 ბარნსი-1.

**სან ხოსე-ლოს ანჯელესი 7:2**

0:2, 3:0, 4:0

**გოლები:** 0:1 მუზინი-2 (დაუტი-1, კოპიტარი-2), 0:2 ტ. ლუისი-2 (ჯ. კარტერი-2), 1:2 მ. ბრაუნი-1 (დეჟარდენი-1), 2:2 ტორესი-2 (დეჟარდენი-2), 3:2 ჯ. ბრაუნი-1 (შეპარდი-3, პაველსკი-2), 4:2 მარლო-2 (ნიეტო-2, კუტური-2), 5:2 პაველსკი-1 (დ. ბოილი-1, უინგელსი-2), 6:2 კუტური-1 (მარლო-1, ნიეტო-3), 7:2 ჯ. ტორნტონი-2 (პაველსკი-3, დ. ბოილი-2).

**სერია:** 2-0

**ანაჰაიმი-დალასი 3:2**

1:1, 1:0, 1:1

**გოლები:** 0:1 ჩიასონი-1 (ჯეიმი ბენი-1, გოლიგოსკი-1), 1:1 გეტცლაფი-2, 2:1 პერი-1, 3:1 კოლიანო-1 (გეტცლაფი-2), 3:2 გარბუტი-1 (ჰორკოფი-1, რუსელი-1).

**სერია:** 2-0

**გია თვალაბეიშვილი**

● ჩოგბურთი. ფედერაციის თასი. 1/2 ფინალი

| ჩეხეთი-იტალია | 4:0 |
|---|---|
| 1:0 ლუსი საფაროვა-სარა ერანი | 6:4, 6:1 |
| 2:0 პეტრა კვიტოვა-კამილა ჯორჯი | 6:4, 6:2 |
| 3:0 პეტრა კვიტოვა-რობერტა ვინჩი | 6:3 7:5 |
| 4:0 ჰლავაჩკოვა/კუკალოვა-ჯორჯი/კნაპი | 6:2, 5:7, 11:9 |

| ავსტრალია-გერმანია | 1:3 |
|---|---|
| 0:1 სამანტა სტოსური-ანდრეა პეტკოვიჩი | 1:6, 6:7(7) |
| 0:2 კეისი დელაკუა-ანჟელიკ კერბერი | 1:6, 0:6 |
| 0:3 სამანტა სტოსური-ანჟელიკ კერბერი | 6:4, 0:6, 4:6 |
| 1:3 ბარტი/დელაკუა-გორგესი/გრონეფელდი | 6:2, 6:7(5), 10:2 |

**ფინალი**

**8-9 ნოემბერი**

ჩეხეთი-გერმანია

**გია თვალაბეიშვილი**

ჩოგბურთი. მონაკოს მასტერსი

# ვავრინკას პირველი მასტერსი

## ნოვაკ ჯოკოვიჩი ტურს გამოეთიშა

გრუნტის საფარზე სეზონის პირველი მასტერსი მოულოდნელად **სტანისლას ვავრინკამ** მოიგო, რომელიც აღარ არის იმ მოთამაშეთა სიაში, რომლებსაც მოგებული აქვთ „დიდი სლემის" ჩემპიონატი, მაგრამ არასოდეს უმარჯვიათ „მასტერსის" სერიაში.

გასულ კვირას ჩვენი მიმოხილვა მერვედფინალურ ეტაპზე შევწყვიტეთ, მეოთხედფინალში კი ერთი საინტერესო ამბავი მოხდა. ზედიზედ მეორე წელია ხელი მოეცარა მონაკოს მასტერსზე ესპანელ **რაფაელ ნადალს**, ვისაც აქ რვაჯერ მოუპოვებია მთავარი პრიზი. მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა პარასკევს მეოთხედფინალი წააგო თანამემამულე **დავიდ ფერერთან**, მიუხედავად იმისა, რომ მასთან პირად შეხვედრებში 21:5-ს იგებს. აღსანიშნავია, რომ დავიდს 10 წელი არ ჰყავდა დამარცხებული ნადალი გრუნტის კორტზე, მაგრამ, ამჯერად, ნავსი გატეხა. ფერერმა ძალიან დამაჯერებლად მოიგო პირველი სეტის ტაი-ბრეიკი, მეორე პარტიაში კი მეორე ცდაზე შეძლო მატჩზე ჩაწოდება და მინი-სენსაცია შემოგვთავაზა - 7:6(1), 6:4. ნადალმა საშუალოზე დაბალი დონე აჩვენა, 40 უნებლიე შეცდომა დააგროვა და აქტიურობითაც ვერ ჯობნიდა მეტოქეს.

ფერერმა უფრო შორს გასვლა ვერ შეძლო, რადგან სტანისლას ვავრინკას გადაეყარა. შვეიცარიელმა, როგორც ჩანს, დაიბრუნა ის ფორმა, რომლითაც ავსტრალიის ღია პირველობა მოიგო. მან პირველ სეტში გაანადგურა ესპანელი, მეორეში ოდნავ იწვალა, მაგრამ მაინც ორ პარტიაში მოიგო - 6:1, 7:6(3) და მონაკოს მასტერსის პირველი ფინალისტი გახდა.

ამ ნახევარფინალის შემდეგ კი **როჯერ ფედერერმა** იზრუნა იმაზე, რომ მონტე კარლოში პირველად გათამაშებულიყო შვეიცარიული ფინალი. **ნოვაკ ჯოკოვიჩთან** მისი მატჩის პირველი სეტი ძალიან დაძაბული გამოვიდა. ჩოგბურთელებს თანაბარი ბრძოლა ჰქონდათ: 4:4-ზე ჯერ როჯერმა მიიღო ბრეიკ-პოინტი, შემდეგ ნოვაკმა მოიპოვა მიღებაზე ორმაგი სეტბოლი. შვეიცარიელმა სეტი გადაარჩინა, რის შემდეგაც გადამწყვეტი ბრეიკი გააკეთა მაშინ, როცა სერბი 40:15-ს იგებდა. ამის შემდეგ, ჯოკოვიჩს მაჯა ასტკივდა და მეორე სეტში სერიოზული ბრძოლა აღარ ყოფილა. ასე გამოეთიშა ტურნირს მოქმედი ჩემპიონი.

მატჩის შემდეგ ჯოკოვიჩმა გამოაცხადა, რომ იძულებულია პროფესიულ ტურში პაუზა გამოაცხადოს და ზუსტად არ იცის, რამდენ ხანს გაგრძელდება ეს დაუგეგმავი დასვენება. *„საბედნიეროდ, ოპერაცია არ მჭირდება. ჯერჯერობით ზუსტი დიაგნოზი არ ვიცი. კიდევ ერთ სამედიცინო შემოწმებას ჩავიტარებ. შემდეგ კი გარკვეული დროით დავისვენებ. არ ვიცი ეს რამდენ ხანს გაგრძელდება. 100-პროცენტით უნდა ვიყო მზად კორტზე დასაბრუნებლად"*, - განაცხადა ჯოკოვიჩმა.

■ ■ ■

ფედერერი, რომელსაც მანამდე არასოდეს გაემარჯვა მონტე კარლოში, ფინალის ფავორიტი იყო. ის ურთიერთშეხვედრებში 13:1-ს უგებდა ვავრინკას. საინტერესოა, რომ ეს ერთადერთი მატჩი როჯერმა სწორედ მონაკოში წააგო - ხუთი წლის წინ. სხვათა შორის, გამარჯვების შემთხვევაში ფედერერი კლასიფიკაციის მესამე ადგილს წაართმევდა თანამემამულეს.

პირველ სეტში ორივე შვეიცარიელი ძალიან ბევრს ცდებოდა, თუმცა როჯერი ოდნავ უფრო სტაბილური იყო და ამის ხარჯზე მოიგო პარტია. მეორე სეტი ვავრინკას ბრეიკით დაიწყო, მაგრამ იქვე დაკარგა ეს უპირატესობა. ამის შემდეგ, ორივენი დამაჯერებლად ინარჩუნებდნენ საკუთარ გეიმებს და ტაი-ბრეიკამდე მივიდნენ, სადაც ყველაფერი გადაწყვიტა ერთადერთმა მინი-ბრეიკმა, რომელიც სტანისლასის ანგარიშზე იყო.

საჩოგბურთო ლატარიაში გამარჯვების შემდეგ, ვავრინკა კიდევ უფრო დამაჯერებლად ათამაშდა და გადამწყვეტ სეტში თავიდანვე სოლიდური ფორმა მიიღო. ფედერერისთვის თითქმის შეუძლებელი იყო 0:4-დან პარტიის გადარჩენა და საბოლოო ასეც მოხდა. ვავრინკამ ამ სეზონში მეორე ნავსი გატეხა - იანვარში პირველად მოიგო „დიდი სლემის" ტურნირი, ახლა კი ასევე პირველად იმარჯვა „მასტერსის" სერიის შეჯიბრში.

**ფინალი**

**სტანისლას ვავრინკა** (შვეიც, 3)-როჯერ ფედერერი (შვეიც, 4) 4:6, 7:6(5), 6:2.



ფედერერი და ვავრინკა

კალათბურთი

# რიკი მსოფლიოზე იქნება

„მინესოტა ტიმბერვულვზის" პლეიმეიკერმა **რიკი რუბიომ** გამოცემა Cope.es-ს განუცხადა, რომ აუცილებლად აპირებს ესპანეთის ნაკრებში თამაშს მსოფლიოს ჩემპიონატზე, რომელიც 30 აგვისტოს დაიწყება და 14 სექტემბრამდე გაგრძელდება. პირველობის მასპინძელი ესპანეთია.

*„ვაპირებ მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაშს. თუ მწვრთნელი გამომიძახებს, აუცილებლად ვითამაშებ"*, - განაცხადა ევროპის ერთ-ერთმა საუკეთესო გამთამაშებელმა.

რუბიომ შარშანაც ითამაშა ნაკრების რიგებში სლოვენიაში გამართულ ევრობასკეტზე, სადაც ესპანეთმა მესამე ადგილი დაიკავა. იმ ტურნირზე მცველის სტატისტიკური მონაგარი - 7.2 ქულა, 2.8 მოხსნა და 3.4 პასი იყო.

რიკიმ 2013-14 წლების სეზონი ვადაზე ადრე დაასრულა, რადგან მისი „მინესოტა" პლეი ოფში ვერ მოხვდა. ესპანელმა რეგულარულის 82 მატჩში მიიღო მონაწილეობა და საშუალოდ, 9.5 ქულა, 4.2 მოხსნა და 8.6 პასი დააგროვა.

ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

| ინგლისი | |
|---|---|
| მანჩესტერ სიტი-ვესტ ბრომვიჩი | 3:1 |

| ჩემპიონშიპი | |
|---|---|
| ბირმინგემი-ბლექბერნი | 2:4 |
| ბრაიტონი-ბლეკპული | 1:1 |
| ბარნლი-უიგანი | 2:0 |
| დერბი-ბარნსლი | 2:1 |
| იფსვიჩი-ბორნმუთი | 2:2 |
| მილუოლი-დონკასტერი | 0:0 |
| ქუინზ პარკი-უოტფორდი | 2:1 |
| უენსდი-ჩარლტონი | 2:3 |
| იეოვილი-ჰადერსფილდი | 1:2 |
| ლიდსი-ნოტინგემი | 0:2 |

| I ლიგა | |
|---|---|
| ლეიტონი-ვულვზი | 1:3 |
| ქრიუ-კოლჩესტერი | 0:0 |
| მილტონი-ბრენტფორდი | 2:2 |
| ნოტსი-ქროული | 1:0 |
| ოლდჰემი-ქოვენთრი | 0:0 |
| პიტერბრო-კარლაილი | 4:1 |
| პრესტონი-შრიუსბერი | 5:2 |
| როტერჰემი-პორტ ვეილი | 1:0 |
| სტევენეიჯი-ბრისტოლი | 1:3 |
| სუიდონი-ბრედფორდი | 1:0 |
| ტრანმერი-შეფილდი | 0:0 |
| უოლსოლი-ჯილინგემი | 1:1 |

| II ლიგა | |
|---|---|
| როვერსი-როჩდეილი | 1:2 |
| დაგენჰემი-ჩესტერფილდი | 0:1 |
| ექსეტერი-ტორკი | 1:2 |
| ფლიტვუდი-უიკომბი | 1:0 |
| ჰარტლპული-მორეკამბი | 2:1 |
| მენსფილდი-ჩელტენემი | 0:2 |
| ნიუპორტი-ბარტონი | 1:1 |
| ნორთჰემპტონი-პორტსმუტი | 0:1 |
| პლიმუტი-უიმბლდონი | 1:2 |
| სკანთორფი-ოქსფორდი | 1:0 |
| საუთენდი-აკრინგტონი | 1:0 |
| იორკი-ბერი | 1:0 |

| კონფერენსი | |
|---|---|
| უოკინგი-ალდერშოტი | 1:2 |
| კემბრიჯი-ჩესტერი | 0:1 |
| დარტფორდი-ტამუორტი | 2:3 |
| გრიმსბი-ჰაიდი | 1:0 |
| ჰერეფორდი-ალფრეტონი | 3:2 |
| კიდერმინსტერი-ნანიტონი | 0:0 |
| ლუტონი-ფორესტ გრინი | 4:1 |
| მაკლსფილდი-გეიტშიდი | 0:2 |
| სალისბერი-უელინგი | 3:0 |
| საუთპორტი-ჰალიფაქსი | 2:1 |
| რედსჰემი-ლინკოლნი | 0:1 |
| ბარნეტი-ბრენტრი | 1:1 |

| ესპანეთი | |
|---|---|
| მალაგა-ვილიარეალი | 2:0 |

| გერმანია. II ბუნდესლიგა | |
|---|---|
| კიოლნი-ბოხუმი | 3:1 |

| რეგიონალლიგა (ჩრ) | |
|---|---|
| ბაბელსბერგი-პლაუენი | 1:2 |

| რეგიონალლიგა (ს-დ) | |
|---|---|
| მანჰაიმი-პფიულენდორფი | 5:1 |
| ულმი-კაიზერი II | 1:4 |

| საფრანგეთი. II დივიზიონი | |
|---|---|
| შატორუ-ლანსი | 1:1 |

| ჰოლანდია. II დივიზიონი | |
|---|---|
| დენ ბოში-დორდრეხტი | 1:1 |
| ეინდჰოვენი-გრააფსხაპი | 1:0 |
| ოსი-მაასტრიხტი | 2:1 |
| ვოლენდამი-ახილესი | 5:1 |
| ფორტუნა-ალმერი | 3:0 |
| აიაქსი II-ჰელმონდი | 4:0 |
| ტვენტე II-ექსელსიორი | 1:2 |
| პსვ II-ვენლო | 2:1 |
| სპარტა-ემენი | 1:2 |
| ვილემი-ტელსტარი | 4:0 |

| ბელგია | |
|---|---|
| ბრიუგე-სტანდარდი | 0:0 |
| გენკი-ანდერლეხტი | 1:0 |

| პორტუგალია | |
|---|---|
| სეტუბალი-ბრაგა | 1:1 |
| პორტუ-რიუ ავე | 3:0 |

| დანია | |
|---|---|
| სონდერიისკი-ნორდსიელანდი | 3:1 |
| მიდტიულანდი-ვიბორგი | 5:2 |
| აგფ ორჰუსი-ბრონდბიუ | 1:2 |
| კოპენჰაგენი-ესბერგი | 2:2 |

| II დივიზიონი | |
|---|---|
| ლუნგბიუ-ბრონსჰოი | 0:3 |
| სილკებორგი-მარიენლისტი | 2:0 |
| ფრედერისია-ვენდსისელი | 0:0 |
| ჰობრო-კიოგე | 0:0 |
| ვეილე-ჰვიდოვრე | 2:2 |

| ნორვეგია | |
|---|---|
| ოლესუნდი-სტარტი | 1:2 |
| ვოლერენგა-სანდნესი | 3:0 |
| ვიკინგი-ჰაუგესუნდი | 2:0 |
| ბრანი-ლილესტრიომი | 2:0 |
| მიოლდე-სარპსბორგი | 5:1 |
| ოდ გრენლანდი-სტაბეკი | 2:1 |
| სიოგნდალი-სტრიომსგოდსეტი | 1:3 |
| ბოდო გლიმტი-რუსენბორგი | 2:2 |

| II დივიზიონი | |
|---|---|
| ფრედრიკსტადი-ჰიოდი | 2:1 |
| ჰიონეფოსი-ტრომსიო | 1:3 |
| ალტა-სანდეფიორდი | 2:2 |
| ბაერუმი-ნესტ სოტრა | 2:1 |
| ჰამ კამი-კრისტიანსუნდი | 0:0 |
| მიონდალენი-სტრომენი | 4:0 |
| რანჰაიმი-ბრინი | 1:1 |
| ტრომსდალენი-ულ კისა | 3:1 |

| შვედეთი | |
|---|---|
| ატვიდაბერგი-გეფლე | 2:2 |
| ფალკენბერგსი-ელფსბორგი | 2:3 |
| ბრომაპიოკარნა-ერებრო | 2:2 |
| მალმიო-იურგორდენი | 2:2 |

| II დივიზიონი | |
|---|---|
| სირიუსი-ვარბერგსი | 2:3 |
| ჰამარბიუ-ანგელჰოლმი | 1:2 |

| ავსტრია. II დივიზიონი | |
|---|---|
| მატერსბურგი-კაპფენბერგი | 1:1 |

| შვეიცარიის თასი. ფინალი | |
|---|---|
| ციურიხი-ბაზელი | 2:0 დ.დ. |

| თურქეთი | |
|---|---|
| ქარაბუქი-ესქისეჰირი | 0:0 |
| ანტალია-შივასი | 1:2 |

| ირლანდია | |
|---|---|
| ბოჰემიანი-სლიგო | 0:2 |
| დერი-ლიმერიკი | 0:0 |
| უნივერსიტი-კორკი | 0:1 |
| ეთლონი-დანდალკი | 0:1 |
| დროგედა-სტ. პატსი | 0:4 |
| შემროკი-ბრეი | 2:1 |

| უელსი | |
|---|---|
| ბალა-აფან ლიდო | 6:0 |
| ნიუთაუნი-კარმარტენი | 0:3 |
| რილი-ტნს | 0:2 |

| ჩეხეთი | |
|---|---|
| სლავია-პლზენი | 0:2 |

| რუსეთი | |
|---|---|
| ვოლგა-როსტოვი | 2:1 |

| II დივიზიონი | |
|---|---|
| მორდოვია-ლუჩ ენერგია | 1:0 |

| ხორვატია | |
|---|---|
| ისტრა-სლავენი | 3:3 |
| ჰაიდუკი-ლოკომოტივა | 2:2 |

| რუმინეთი | |
|---|---|
| პოლი ტიმიშოარა-უნივერსიტატეა | 1:2 |
| ბრაშოვი-კონკორდია | 3:1 |
| ვიიტორული-სტიაუა | 0:3 |

| ბულგარეთი | |
|---|---|
| ლევსკი-ცსკა | 1:3 |

| ისრაელი | |
|---|---|
| ბნეი შაჰნინი-მაკაბი (თ-ა) | 2:1 |
| ჰაპოელი (ჰ)-ბეითარი | 1:0 |

| არგენტინა | |
|---|---|
| გოდოი-ატ. რაფაელა | 3:0 |
| ხიმნასია-ოლ ბოისი | 2:1 |

| ს. აფრიკა | |
|---|---|
| ბრუმფონტეინი-ორლანდო | 1:0 |

**კალათბურთი**

| ევროლიგა | |
|---|---|
| ოლიმპიაკოსი-რეალი | 78:76 |
| მაკაბი (თ-ა)-მილანი | 75:63 |
| პანათინაიკოსი-ცსკა | 65:59 |

| გერმანია | |
|---|---|
| ბრემერჰავენი-ტიუბინგენი | 78:85 |
| ულმი-ბაიროიტი | 92:74 |
| ბამბერგი-ვეხტა | 88:78 |
| ლუდვიგსბურგი-ვიურცბურგი | 77:62 |
| ოლდენბურგი-ჰაგენი | 92:71 |
| სკაილაინერსი-ტრირი | 67:56 |
| ბონი-მიტელდოიჩე | 89:78 |

| ესპანეთი | |
|---|---|
| ბილბაო-მურსია | 82:69 |

| საფრანგეთი | |
|---|---|
| ორლეანი-შალონი | 101:106 (ო) |

**ხელბურთი**

| ჩემპიონთა ლიგა | |
|---|---|
| ფლენსბურგი-ვარდარი | 24:22 |

**ჰოკეი**

| გერმანია | |
|---|---|
| კიოლნი-ინგლოშტადტი | 1:4 |

| სლოვაკეთი | |
|---|---|
| კოშიცე-ნიტრა | 6:0 |

| ფინეთი | |
|---|---|
| ტაპარა-კერპეტი | 3:2 (ო) |

| ჩეხეთი | |
|---|---|
| ბრნო-ზლინი | 1:4 |

| შვედეთი | |
|---|---|
| ფერიესტადი-შელეფტეო | 0:3 |

**ჩოგბურთი**

| ATP. ბარსელონა | |
|---|---|
| **ხირალდო**-სისლინგი | 6:4, 6:2 |
| **გაბაშვილი**-პრსიეჟნი | 6:3, 6:4 |
| **ხიმენო ტრავერი**-კარბალიესი | 6:3, 7:5 |
| **სერვანტესი**-ნედოვესოვი | 3:6, 6:2, 6:4 |
| ვიოლა-**გოლუბევი** | 4:6, 3:6 |
| **კუზნეცოვი**-კარენო ბუსტა | 2:6, 6:1, 6:2 |
| ბეკი-**როჟე ვასელენი** | 2:6, 2:6 |
| შტეპანეკი-**ტიემი** | 4:6, 4:6 |
| კუბოტი-**ბაუტისტა აგუტი** | 1:6, 0:6 |
| **დე სხეპერი**-ილჰანი | 6:3, 7:5 |
| სოუზა-**მატოშევიჩი** | 3:6, 2:6 |
| **მონტანიესი**-მ. ლოპესი | 7:6, 6:2 |

| ATP. ბუქარესტი | |
|---|---|
| შარდი-**ვესელი** | 6:7, 0:6 |
| **სტახოვსკი**-სიორსილა | 2:6, 6:2, 6:1 |
| **ნიემინენი**-ლ. მაიერი | 6:3, 3:6, 7:6 |

| WTA. მარაკეში | |
|---|---|
| **დომინგეს ლინო**-კუდრიავცევა | 6:2, 7:5 |
| მარტიჩი-**პეერი** | 2:6, 3:6 |
| **მოისბურგერი**-ჩეტკოვსკა | 6:3, 6:3 |

კალათბურთი. NBA. პლეი ოფი

**აღმოსავლეთი**

**ტორონტო-ბრუკლინი 87:94**

21:29, 25:21, 16:17, 25:27

ტ: ლოური (22+8 პასი+7 მოხსნა), ვასკესი (18+8 პასი), ვალანჩიუნასი (17+18 მოხსნა), დეროზანი (14).

ბ: უილიამსი (24), ჯონსონი (24+8 მოხსნა), პირსი (15), ლივინგსტონი (10).

**სერია:** 0-1

**ინდიანა-ატლანტა 93:101**

22:28, 28:22, 16:30, 27:21

ი: ჯორჯი (24+10 მოხსნა+5 პასი+4 ჩაჭრა), სტივენსონი (19+7 მოხსნა), ჰილი (12).

ა: ტიგი (28+5 პასი), მილსეპი (25+8 მოხსნა), კეროლი (12+10 მოხსნა), კორვერი (12+5 მოხსნა).

**სერია:** 0-1

**მაიამი-შარლოტი 99:88**

19:23, 30:19, 23:23, 27:23

მ: ჯეიმსი (27+9 მოხსნა), უეიდი (23+5 პასი), ბოში (13), ჯონსი (12), კ. ანდერსენი (8+10 მოხსნა)

შ: უოკერი (20+5 მოხსნა+6 პასი), ჯეფერსონი (18+10 მოხსნა), ნილი (17), მაკრობერტსი (15+7 მოხსნა).

**სერია:** 1-0

**ჩიკაგო-ვაშინგტონი 93:102**

22:24, 32:24, 21:24, 18:30

ჩ: ჰაინრიხი (16), ოგასტინი (16), ბატლერი (15+7 მოხსნა+3 ჩაჭრა), გიბსონი (12+6 მოხსნა+3 დაფარება), ბუზერი (11+9 მოხსნა), დანლივი (11), ნოა (10+10 მოხსნა).

ვ: ნენე (24+8 მოხსნა), არიზა (18+7 მოხსნა), უოლი (16+6 მოხსნა+6 პასი), გორტატი (15+13 მოხსნა), ბილი (13+7 პასი), მილერი (10).

**სერია:** 0-1

**დასავლეთი**

**კლიპერსი-გ. სტეიტი 105:109**

29:24, 23:28, 27:35, 26:22

კ: პოლი (28+8 პასი+7 მოხსნა+4 ჩაჭრა), რედიკი (22), გრიფინი (16), ჯორდანი (11+14 მოხსნა+5 დაფარება).

გ-ს: ტომპსონი (22+7 მოხსნა+5 პასი), ლი (20+13 მოხსნა), კარი (14+7 პასი+3 ჩაჭრა), ბარნსი (14+8 მოხსნა), ო'ნილი (13).

**სერია:** 0-1

**ოკლაჰომა-მემფისი 100:86**

29:16, 27:18, 13:31, 31:21

ო: დურანტი (33+8 მოხსნა+7 პასი), ვესტბრუკი (23+10 მოხსნა+5 პასი), იბაკა (17+9 მოხსნა+4 დაფარება).

მ: რენდოლფი (21+11 მოხსნა), კონლი (16+11 პასი+5 მოხსნა+3 ჩაჭრა), გასოლი (16+6 მოხსნა+3 ჩაჭრა), ალენი (13+6 მოხსნა).

**სერია:** 1-0

**სან ანტონიო-დალასი 90:85**

21:12, 22:32, 22:21, 25:20

ს-ა: დანკანი (27+7 მოხსნა), პარკერი (21+6 პასი), ჯინობილი (17+6 მოხსნა), ლეონარდი (11+10 მოხსნა), სპლიტერი (8+11 მოხსნა).

დ: ჰარისი (19+5 პასი), ნოვიცკი (11+8 მოხსნა), ელისი (11), რაიტი (11), კარტერი (10+5 მოხსნა).

**სერია:** 1-0

**ჰიუსტონი-პორტლენდი 120:122 (ო)**

20:27, 29:21, 30:25, 27:33, 14:16

ჰ: ჰარდენი (27+15 მოხსნა+4 დაფარება), ჰარდენი (27+5 მოხსნა+6 პასი), პარსონსი (24+6 მოხსნა), ლინი (14+6 მოხსნა), ჯონსი (12+13 მოხსნა).

პ: ოლდრიჯი (46+18 მოხსნა), ლილარდი (31+9 მოხსნა+5 პასი), მეტიუზი (18+3 ჩაჭრა), ბატუმი (14+9 მოხსნა).

**სერია:** 0-1პ

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

კრივი

# კიდევ 10 წელი რინგზე

სუპერმძიმეწონაში მსოფლიოს ჩემპიონმა **ვლადიმირ კლიჩკომ** ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მინიმუმ 10 წელი აპირებს პროფესიულ კრივში დარჩენას. მოკრივის თქმით, მისი მისია რინგზე ჯერ არ შესრულებულა. ამ ინფორმაციას გერმანული გამოცემა Die Welt აქვეყნებს.

*„ამასწინათ 38 წელი შემისრულდა, მაგრამ ეს უბრალოდ ციფრია. გამოცდილების, ფიზიკური მონაცემების, ტექნიკისა და ტაქტიკის შერწყმა საშუალებას მაძლევს კარგ მოკრივედ დავრჩე“*, - განაცხადა უმცროსმა კლიჩკომ.

უკრაინელი სუპერმძიმეწონოსანი მორიგ ბრძოლას 26 აპრილს, გერმანიის ქალაქ ობერჰაუზენში გამართავს. მისი მეტოქე იქნება ავსტრალიელი **ალექს ლეაპაი**. ამ ბრძოლაში თამაშდება ტიტულები IBF-ის, WBO-სა და WBA-ის ვერსიებით. სამივე საჩემპიონო ქამრის მფლობელი ვლადიმირ კლიჩკო გახლავთ.

თუ უკრაინელი IBF-ის ტიტულს 2018 წლამდე შეინარჩუნებს, ის დაამხობს ამერიკელი **ჯო ლუისის** რეკორდს ჩემპიონის რანგში ყოფნის ხანგრძლივობით. ლუისი მსოფლიოს ჩემპიონი იყო 1937-49 წლებში. უკრაინელმა IBF-ის ტიტული 2006 წელს მოიპოვა.

ვლადიმირ კლიჩკოს პროფესიულ რინგზე 64 ბრძოლა აქვს ჩატარებული, აქედან მოიგო 61 (51 - ნოკაუტით) და წააგო - სამი.


ვლადიმირ კლიჩკო

# 49 წლის ჩემპიონი

ამერიკელი **ბერნარდ ჰოპკინსი** კვლავაც რჩება პროფესიულ კრივში ყველაზე ასაკოვან ჩემპიონად. გასულ უქმეებზე, მან საკუთარი რეკორდი გააუმჯობესა. ყაზახ **ბეიბუთ შუმენოვთან** ბრძოლაში, რომელიც ვაშინგტონის არენა DC Armory-ში გაიმართა, 49 წლის ჰოპკინსმა ქულებით გაიმარჯვა. სამივე არბიტრმა ამერიკელის მხარე დაიჭირა - 116:111, 116:111, 114:113.

30 წლის შუმენოვის დამარცხებით, ჰოპკინსმა დაიცვა IBF-ის ტიტული 79.3 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში, გარდა ამისა, ყაზახს წაართვა ამავე წონაში WBA-ის საჩემპიონო ქამარი, რომელსაც შუმენოვი 2010 წლიდან ფლობდა. გარდა ამისა, ამერიკელმა კიდევ ერთი რეკორდი დაამყარა - 49 წლის ასაკში არავის გაუერთიანებია ორი საჩემპიონო ტიტული. ბრძოლის დღეს ბერნარდი 49 წლის, სამი თვისა და ოთხი დღის იყო.

შუმანოვმა კარიერაში მე-16 ბრძოლა ჩაატარა და მეოთხედ დამარცხდა. ამერიკელის ანგარიშზე 55 მოგება (32 - ნოკაუტით), ექვსი ნაგება და ორი ფრე მოიდის.

*„50 წლის ასაკშიც მე ვიქნები ულაპარაკო და აბსოლუტური ჩემპიონი. ამას აუცილებლად მოესწრებით“*, - განაცხადა ბრძოლის შემდეგ ბერნარდ ჰოპკინსმა, მეტსახელად, „მოჩვენებამ“.


ჰოპკინსი შუმენოვთან ბრძოლის წინ

ფორმულა 1. ჩინეთის გრანპრი



ჩინეთის პოდიუმი: როსბერგი, ჰემილტონი, ალონსო

# ჰემილტონის ჰეთ-თრიკი შანხაიში

ჩინეთის გრანპრი ლუის ჰემილტონის პროგნოზირებადი გამარჯვებით დასრულდა - შანხაის ტრასაზე გაგრძელდა ბრიტანელისა და გერმანული „მერსედესის“ მოგებათა სერია.

ლუისმა ამ სეზონში ზედიზედ მესამე რბოლა მოიგო, რაც მისი კარიერის პირადი რეკორდია. ამგვარი სერია გასაკვირი არ არის იმ სრულყოფილი მანქანის წყალობით, როგორიც ამჟამად ბრიტანელს ჰყავს. ჰემილტონის ერთადერთი მეტოქე მხოლოდ მისი თანაგუნდელი **ნიკო როსბერგი** თუ იქნებოდა, მაგრამ გერმანელს სტარტი არ გამოუვიდა და თავიდანვე ბევრით ჩამორჩა, თან კონტაქტი ჰქონდა **ვალტერი ბოტასთან**. საბოლოოდ, სწრაფმა ბოლიდმა ნიკოს წინსვლის საშუალება მისცა და მან მეორე ადგილი დაიკავა, რითაც „მერსედესმა“ ზედიზედ მესამე დუბლი შეასრულა.

„მერსედესების“ უკან კი მოულოდნელად „ფერარიმ“ გაიბრწყინა. გუნდის შეფის **სტეფანო დომენიკალის** დათხოვნის შემდეგ, იტალიურ გუნდს სეზონში პირველი პოდიუმი **ფერნანდო ალონსომ** მოუტანა.

მსოფლიოს მოქმედ ჩემპიონს **სებასტიან ფეტელს** კარგი სტარტი გამოუვიდა და მეორე ადგილზე გადავიდა. რალაც მომენტში გერმანელს ალონსომ შეუტია, მაგრამ გასწრება ვერ შეძლო, სამაგიეროდ, ესპანელმა მიზანს პიტსტოპების პირველი სერიის შემდეგ მიაღწია და მეორე პოზიცია მოიპოვა, რომელიც მოგვიანებით როსბერგმა წაართვა. ფეტელის უიღბლობა ამით არ დასრულებულა. რბოლის მსვლელობისას ჩემპიონმა მისთვის დამამცირებელი ბრძანება მიიღო „რედ ბულის“ ხელმძღვანელობისგან: გერმანელს გზა უნდა დაეთმო თანაგუნდელ **დანიელ რიკარდოსთვის**, რომელიც ფეტელზე გაცილებით სწრაფად მოძრაობდა. გარკვეული დროის შემდეგ, სებასტიანი ბრძანებას დამორჩილდა. ამ გზით „რედ ბულს“ სურდა პოდიუმის მესამე საფეხურისთვის ებრძოლა ალონსოსთან, მაგრამ, საბოლოოდ, რიკარდომ ნამი წააგო ფინიშზე ფერნანდოსთან და მეოთხე ადგილს დასჯერდა, ფეტელი კი მეხუთეზე გავიდა.

სანახაობრივი თვალსაზრისით, ჩინეთის გრანპრი ძალიან ჩამორჩებოდა ბაჰრეინის რბოლას. ბოლო წრეებზე პელოტონი გაიწელა და ქულათა ზონაში მყოფ პილოტებს შორის ბრძოლა თითქმის არ ყოფილა.

როგორც გითხარით, ლუის ჰემილტონმა სეზონში მესამე რბოლა მოიგო, სულ კი კარიერაში ეს მისი 25-ე ტრიუმფია. ამით ბრიტანელი ფორმულა 1-ის ყველაზე წარმატებული პილოტების ათეულში შევიდა - ის **ჯიმ კლარკთან** და **ნიკი ლაუდასთან** ერთად მერვე-მეათე ადგილებს იყოფს. სამი რბოლის მოგების მიუხედავად, ჰემილტონი მაინც აგებს საერთო ჩათვლაში - ის ლიდერ როსბერგს ოთხი ქულით ჩამორჩება.

კონსტრუქტორთა თასზე „მერსედესის“ უპირატესობა კოლოსალურია: გერმანულ საჯინიბოს თითქმის იმდენი ქულა აქვს, რამდენიც ერთად აღებულ მის სამ უახლოეს კონკურენტს.

ახლა, ფორმულა 1-ში სამკვირიანი პაუზაა პირველი ევროპული ეტაპის (ესპანეთის გრანპრი) წინ.

**ჩინეთის გრან-პრი. IV ეტაპი**

**შანხაი (56 წრე, 305.256 კმ)**

1(1). ლუის ჰემილტონი (მერსედესი, ბრი) 1:36.52,810; 2(4). ნიკო როსბერგი (მერსედესი, გერ) +18,686; 3(5). ფერნანდო ალონსო (ფერარი, იტა) +25,765; 4(2). დანიელ რიკარდო (რედ ბული, ავსტრა) +26,978; 5(3). სებასტიან ფეტელი (რედ ბული, გერ) +51,012; 6(8). ნიკო ჰიულკენბერგი (ფორს ინდია, გერ) +57,581; 7(7). ვალტერი ბოტასი (უილიამსი, ფინ) +58,145; 8(11). კიმი რაიკონენი (ფერარი, ფინ) +1.23,990; 9(16). სერხიო პერესი (ფორს ინდია, მექ) +1.26,489; 10(13). დანიილ კვიატი (ტორო როსო, რუს) 1 წრე; 11(12). ჯენსონ ბატონი (მაკლარენი, ბრი) 1 წრე; 12(9). ჟან-ერიკ ვერნი (ტორო როსო, საფ) 1 წრე; 13(15). კევინ მაგნუსენი (მაკლარენი, დან) 1 წრე; 14(22). პასტორ მალდონადო (ლოტუსი, ვენ) 1 წრე; 15(6). ფელიპე მასა (უილიამსი, ბრა) 1 წრე; 16(17). ესტებან გუტიერესი (ზაუბერი, მექ) 1 წრე; 17(18). კამუი კობაიაში (კატერჰემი, იაპ) 1 წრე; 18(19). ჟიულ ბიანკი (მარუსია, საფ) 1 წრე; 19(21). მაქს ჩილტონი (მარუსია, ბრი) 2 წრე; 20(20). მარკუს ერიქსონი (კატერჰემი, შვედ) 2 წრე; 21(10). რომენ გროსჟანი (ლოტუსი, საფ) 27 წრე; 22(14). ადრიან სუტილი (ზაუბერი, გერ) 50 წრე.

**საერთო ჩათვლა**

1. **როსბერგი** - 79 (1 მოგება); 2. **ჰემილტონი** - 75 (3 მოგება); 3. **ალონსო** - 41; 4. **ჰიულკენბერგი** - 36; 5. **ფეტელი** - 33; 6. **რიკარდო** - 24; 7. **ბოტასი** - 24; 8. **ბატონი** - 23; 9. **მაგნუსენი** - 20; 10. **პერესი** - 18; 11. **მასა** - 12; 12. **რაიკონენი** - 11; 13. **ვერნი** - 4; 14. **კვიატი** - 4.

**კონსტრუქტორთა თასი**

1. **მერსედესი** - 154; 2. **რედ ბული** - 57; 3. **ფორს ინდია** - 54; 4. **ფერარი** - 52; 5. **მაკლარენი** - 43; 6. **უილიამსი** - 36; 7. **ტორო როსო** - 8.

ჰოკეი

# კანადა ბელარუსში მიდის

ცნობილი გახდა კანადის ნაკრების შემადგენლობა მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატზე, რომელიც 9-25 მაისს ბელარუსში გაიმართება. ჯერჯერობით განაცხადში 20 ჰოკეისტია (2 მეკარე, 7 მცველი და 11 თავდამსხმელი). ყველანი ჰოკეის ეროვნული ლიგის იმ კლუბებს წარმოადგენენ, რომლებიც პლეი ოფში ვერ მოხვდნენ.

კანადელებს კიდევ ხუთი ჰოკეისტის დამატება შეეძლებათ, თანაც ამის გაკეთება შესაძლებელი იქნება ჩემპიონატის მსვლელობისის დროს. სავარაუდოდ, ხუთ ვაკანსიას ინახავენ იმ ჰოკეისტებისთვის, რომლებიც ამჟამად პლეი ოფის პირველ რაუნდში თამაშობენ და ამ ეტაპიდან გამოეთიშებიან სტენლის თასის გათამაშებას.

შეგახსენებთ, რომ ნაკრების მთავარი მწვრთნელია „ფლორიდა პანტერზის“ დამრიგებელი **დეივ ტიპეტი**. მისი თანაშემწეები იქნებიან: **პიტერ დებური** („ნიუ ჯერსი“) და **პოლ მორისი** („ვინიპეგი“).

კანადის ნაკრების შემადგენლობა ასე გამოიყურება:

**მეკარეები:** ჯეიმს რაიმერი („ტორონტო“), ბენ სკრივენსი („ედმონტონი“);

**მცველები:** კევინ ბიეკსა, ჯეისონ გარისონი (ორივე - „ვანკუვერი“), რაიან ელისი („ნეშვილი), ერიკ გუდბრენსონი („ფლორიდა“), მარკ მეტო („ოტავა“), მორგან რაილი („ტორონტო“), ტაილერ მაიერსი („ბაფალო“);

**ფორვარდები:** ტროი ბრიუერი, ჯეისონ ჩიმერა, ჯოელ უორდი (ყველა - „ვაშინგტონი“), ალექს ბაროუზი („ვანკუვერი“), კოდი ჰოჯსონი („ბაფალო“), ჯონათან იუბერდო („ფლორიდა“), ნაზემ კადრი („ტორონტო“), შონ მონეჰანი („კალგარი“), დევიდ პერონი („ედმონტონი“), მარკ შაიფლი („ვინიპეგი“), კაილ ტარისი („ოტავა“).

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**
მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე **გია თვალაბეიშვილი** (599 56 17 38); მოადგილე: **ნიკოლოზ ნეფარიძე** (595 09 03 28)
მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **თამუნა ყულუმბეგაშვილი**.
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).
ცხელი ხაზი: 2 19 60 13; 2 19 60 53. ელფოსტა: leloltd@gmail.com; მისამართი: იოსებიძის, 49. ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:35 ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: გოდერძი ლენცი
ტელეფონი: 238 84 44; 238 74 44 (რედაქცია). 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. სარეკლამო განყოფილება: 237 78 07; 2 38 78 70
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო“, 205262062. ბანკი „ქართუ“ CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608